აგვისტო 22-23 1996 წ.

# კავკასიონი

The KAVKASIONI © ყოველდღიური გაზეთი № 145-146 (438-439) ფასი 40 თეთრი




## რატომ «გაიქცა» აფხაზეთის ეკონომიკა?

აფხაზეთის მოსახლეობის 2-3-ჯერ შემცირების გამო, რესპუბლიკაში 7-8-ჯერ დაეცა ჩაისა და თამბაქოს წარმოება. სოხუმის და ოჩამჩირის რაიონებში, სადაც ბოლო ხუთი წლის მანძილზე მოსახლეობა სამჯერ შემცირდა, იგრძნობა სამუშაო ძალის კატასტროფული ნაკლებობა, რის გამოც ათასობით ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული დაუმუშავებელი რჩება. ადგილობრივი სპეციალისტები ჩაისა და თამბაქოს წარმოების დაცემის სხვა მიზეზად დაბალ შესასყიდ ფასებსაც ასახელებენ. ყოველივე ეს მოქმედებს სამრეწველო საწარმოების ფუნქციონირებაზე, რომელთა უმეტესი ნაწილი გაჩერებულია.

## „რა განუხებთ, პრეზიდენტო?"



ბორის ელცინის ჯანმრთელობის თემას დასავლეთის პრესა ...მაოდ ინტენსიურად აშუქებს ...ა ხშირ შემთხვევაში, მის შესახებ ძალზე პესიმისტურ პროგნოზებს იძლევა. მაგალითად, ამერიკული ჟურნალი „ტაიმი" ამტკიცებს, თითქოს, რუსეთის პრეზიდენტისთვის აუცილებელია შვეიცარიის კლინიკაში გულის ოპერაციის გაკეთება. უფრო შორს მიდის „ბილდი" — „ასეთი ქირურგიული ჩარევა შეიძლება მხოლოდ ტრანსპლანტაცია იყოს. პრეზიდენტის გულზე მრავალრიცხოვანი ნაწიბურია, გულის კუნთი ისეა მოშვებული, როგორც დაჩუტული საჰაერო ბუშტი. დიაგნოზი კარდიომიოპატიაა. მედიკამენტები ამ სტადიაზე უკვე საქმეს ველარ შველიან", — წერს გერმანული გაზეთი.

ამგვარ პუბლიკაციებს ბორის ელცინის ახალმა პრესმდივანმა სერგეი იასტრჟემბსკიმ „პანიკური ხმების და მონაჭორის კამპანია" უწოდა.

## რუსეთის ახალი მთავრობა იწყებს...

გუშინ რუსეთის პრემიერმინისტრმა ვიქტორ ჩერნომირდინმა ჩაატა... თათბირი, რომელიც მინისტრთა კაბინეტის პირველი სხდომის ჩატარე... მოსამზადებელ საკითხებს მიეძღვნა — დღეს რუსეთის ახალი მთავ... ობის სრული შემადგენლობა ქვეყნის 1 997 წლის ბიუჯეტის კანონპრო... ს განიხილავს. მას ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე ვლადი... პეტროვი წარადგენს.

თემის გაგრძელება მე–6 გვერდზე

## დანაშაულებათა ჯაჭვი თბილსრესში

### ...ნერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებლის ...ვან ყიფიანის ინფორმაცია

...შსს-ს სამინისტროს ტრანს...რტის პოლიციის და პროკუ...ტურის ერთობლივი ღონისძი...ს გატარების შედეგად გამო...ნდა ქუთაისის აეროპორტის ...ერალური დირექტორის რამინ ...ბანის და მთავარი ბუღალტ... ვლადიმერ კვირიკაშვილის ...ს სამსახურებრივი მოვალეო...ბოროტად გამოყენებით 32 ...ი დოლარის დატაცებისა და ...დანაშაულებათა ჩადენის ფა...ბი, რის გამოც აღძრულია ...ლის სამართლის საქმე. და...ულისთვის გათვალისწინებუ... საქართველოს სისხლის სა...ლის კოდექსის 96-ე პრიმა ...ლი.

...გაერთიანებული ქართული ...ის ქუთაისის მე-15 ფილია... ჩახხიანისა და კვირიკაშვი... მიერ ნაღდ ანგარიშზე 12 ... დოლარის გამოტანის და მითვისების ფაქტის შესწავლისას დადგინდა ამ ბანკიდან სხვა სავალუტო თანხების უკანონოდ გაცემის შემთხვევებიც. გარდა ამისა, გაერთიანება თბილსრესიდან განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მაზუთის გატაცებასთან დაკავშირებით ასევე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე იგივე მუხლების მიხედვით. გამოძიებით დადგინდა, რომ ქუთაისში მცხოვრებმა თენგიზ ქობულაძემ, თეიმურაზ კოზიანიძემ, ჰამლეტ მეძმარიაშვილმა და ავთანდილ გაბუნიამ გაერთიანებული ქართული ბანკის ქუთაისის მე-15 ფილიალის თანამშრომელთან, სავალუტო ოპერაციების განყოფილების უფროსთან ავთანდილ სიხარულიძესთან წინასწარი შეთანხმებით, გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხანასთან ყალბი ხელშეკრულება გააფორმეს, რის საფუძველზეც აღნიშნული ქარხანა მიანედიდა მაზუთს. გარდაბნის რაიონის მკვიდრების ჟიული ჯანხოთელის და იოსებ ავალიანის მეშვეობით, დანაშაულებრივად დაუკავშირდნენ თბილსრესის გენერალურ დირექტორს ბადრი დარჩიას. თავის მხრივ, ამ უკანასკნელმა დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩააბა სათბობ-სატრანსპორტო საამქროს უფროსი ვლადიმერ დევისაშვილი, მისი მოადგილე ავთანდილ ონიანი. 1995 წლის 21 ნოემბერს წინასწარი შეთანხმებით, თბილსრესის საცავებიდან გაიტაცეს და მიითვისეს 300 ტონა მაზუთი. სადგურ „გარდაბანში" გამოიყენეს მუყაო-რუბეროიდის ქარხანასთან დადებული ყალბი ხელშეკრულება, გააფორმეს ვაგონების ტრა-

გაგრძელება მე–4 გვერდზე

## თბილისელების 60% თავს უბედურად იგრძნობდა, თუ ემიგრაციაში მოუწევდა წასვლა

სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგები იხილეთ მე–8 გვერდზე

## მიზანი — დაუცველი ფენების სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება

გაიმართა ახლადდაფუძნებული საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის გამგეობის პირველი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეკონომიკური რეფორმების საკითხებში, ფონდის გამგეობის თავმჯდომარე თემურ ბასილია. ფონდის მიზანია საქართველოში სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის ხელის შეწყობა და მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენების სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

როგორც თ. ბასილიამ განაცხადა, ეკონომიკური რეფორმის ფონზე უმნიშვნელოვანეს საკითხს სოციალური პრობლემების მოგვარება წარმოადგენს. აღნიშნულ პროგრამაზე მუშაობა დიდი ხანია მიმდინარეობს. ფონდის შექმნა საქართველოს პრეზიდენტის და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი. თავდაპირველად, სოციალური ინვესტიციების პროექტის განხორციელების ვადა 15 თვეს მოიცავს და იგი გავრცელდება საქართველოს ორ რეგიონზე — თბილისსა და სამცხე — ჯავახეთზე.

სხდომაზე დამტკიცდა მუშაობის დღის წესრიგი და დაისახა შემდგომი თანამშრომლობის გზები.

იფრინდა

## „თუ ჩვენ ვერ შევძლებთ ნორმალურად გამოზამთრებას, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ უძლურები ვართ", — აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი

დაწვრილებით იხილეთ მე–5 გვერდზე

## იბრძვიან გროზნოში და... კრემლის დერეფნებში

იხილეთ მე–7 გვერდი

## გამოჩნდა „ლავრენტი ბერია!"

ქართული ალკოჰოლური სასმელების კოლექცია შეავსო არაყმა „ლავრენტი ბერია"-მ. იგი სულ ახლახანს გამოჩნდა ბაზრობებზე და კვების ობიექტებში და დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს.

## რატომ უზის ქართველს გულში ევროპა

### ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა თავის მომავალს ევროკავშირში ხედავს

სელინა უილიამსის სტატიას გაეცნობით მე–10 გვერდზე

## განსასჯელები ჩივიან სასამართლოს გაჭიანურების გამო, თუმცა არც თავად ჩქარობენ

უკვე ტრადიციად დამკვიდრდა, რომ კიტოვან-სურგულაძე-ფისიუნის სასამართლო ვალერი ფისიუნის განცხადებებისა და შუამდგომლობების მოსმენით იწყება ხოლმე. გამონაკლისი არც გუშინდელი დღე აღმოჩნდა. ფისიუნმა პრეტენზია გამოთქვა იმის გამო, რომ სასამართლო ძალიან ჭიანურდება — საშუალოდ, კვირაში მხოლოდ ერთხელ ტარდება. „დასაკითხია, დაახლოებით, 200 მოწმე, დაკითხული კი მხოლოდ ოცია. თუ ასე გაგრძელდება, მხოლოდ მოწმეების დაკითხვას 3 წელი და 8 თვე მოუნდება, სასამართლო კი კიდევ ოთხნახევარი წელი გაგრძელდება," — თქვა მან.

ფისიუნის განცხადების საფუძველზე ირაკლი სურგულაძემ მოითხოვა, რომ სასამართლო თავისუფალი გრაფიკით წარმართულიყო, ანუ, როცა მოწმე არ გამოცხადდება, სასამართლოს გადადების მაგიერად სხვა საბუთების განხილვა დაეწყოთ. მოსამართლე სოსო ხურციძე და პროკურორი კახა კობერიძე დაეთანხმნენ ამ შუამდგომლობას, მაგრამ ფისიუნმა ახალი შუამდგომლობა აღძრა. „რადგან არ არის არავითარი გარანტია, რომ სასამართლო გონივრულ ვადებში დამთავრდება, ვითხოვ აღმკვეთი ღონისძიება შემეცვალოს", — მოითხოვა მან. პროკურორმა უარი თქვა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე — განსასჯელებს ამგვარი შუამდგომლობები ადრეც არაერთხელ დაუყენებიათ, მაგრამ მათი დაკმაყოფილება შეუძლებლად მიიჩნიეთო. ასეთმა მოტივაციამ ირაკლი სურგულაძის პროტესტი გამოიწვია.

ამის შემდეგ ფისიუნმა ახალი შუამდგომლობა აღძრა და სასამართლოზე გენერალური პროკურორის მოსვლა მოითხოვა. მან წაიკითხა გასული წლის ცამეტ იანვარს გენერალური პროკურორის მიერ გაცემული სანქცია, რომელშიც ეწერა, რომ მისადმი წარდგენილი მასალები საკმარისია სანქციის გასაცემად. „ამგვარი მასალები საქმეში არ გვხვდება, ამიტომ მოვითხოვე, რომ ჯამლეთ ბაბილაშვილი სასამართლოზე მოწმის სახით დაიკითხოს", — განაცხადა განსასჯელმა. მისი თქმით, გენერალური პროკურორის მიერ ტელევიზიით გაკეთებული განცხადება, რომ სანქცია გაიცა ქვეყნის ხელმძღვანელობის ზეპირი მითითების საფუძველზე, ცხადს ხდის, რომ იგი პოლიტიკურ კონიუნქტურას ემსახურება და არა სამართლიანობას. პროკურორის განმარტებით, „მასალები" არაა აუცილებელი წერილობითი იყოს, ზეპირად კი მთელმა საქართველომ იცოდა რაც ხდებოდა და სანქციის გასაცემად ეს საკმარისი საფუძველი იყო.

რადგან სასამართლომ გენერალური პროკურორის მოწმედ მოყვანაზე უარი თქვა, კიტოვანმა ბაბილაშვილს ახალი ბრალდება წამოუყენა. „გენერალურმა პროკურორმა პოლიციასთან ერთად ქართული პასპორტებით გააპარა რუსები, რომლებმაც კახეთში 27 კაცი ტანკებით მოკლეს

გაგრძელება მე–2 გვერდზე

# «ქურთები ჩემი ხალხია და თუ მინდა, დავხოცავ»

## აცხადებს სადამ ჰუსეინი

გუშინ ქურთული კულტურის ცენტრის ოფისში ერაყელი ქურთების ხელისუფლების ემისარმა საქართველოში, პროფესორმა იზადინ მუსტაფა რასულმა თემაზე — „ერაყელი ქურთები დღეს“ პრესკონფერენცია ჩაატარა. იზადინ მუსტაფა რასული ერაყის ქურთისტანის პარლამენტის წევრია და ამდენად, ბოლო დროს ერაყში განვითარებული მოვლენების თვითმხილველიცაა. საქართველოში მისი ჩამოსვლის მიზანი ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის ლიდერის ჯერარ ტალაბანის დავალებაა, შეისწავლოს საქართველოში მცხოვრები ქურთების ცხოვრების პირობები და ამასთან, თავისი სიმპათიები გადასცეს ქართველ ხალხს.

ერაყში განვითარებული მოვლენების შესახებ იზადინ მუსტაფა რასულმა მოგვითხრო, რომ სპარსეთის ყურის კრიზისის შემდეგ, 1991 წელს ქურთებმა ბრძოლით გაათავისუფლეს ერაყის ქურთისტანის 70 პროცენტი. შეიარაღებულმა ქურთებმა ბაღდადიდან 20 კმ-მდე მიაღწიეს და რასულის თქმით, შეეძლოთ კიდეც, ბაღდადის აღებაც და შესაბამისად, სადამ ჰუსეინის ავტორიტარული რეჟიმის დამხობაც, მაგრამ აშშ-ს მითითებების გამო, ქურთები იძულებულნი გახდნენ, დაეთმოთ პოზიციები და გაეთავისუფლებინათ ბრძოლით აღებული ტერიტორიები; რის შემდეგაც სადამ ჰუსეინის ჯარებმა განახორციელეს ძლიერი შტურმი, რომლის შედეგად 2 მილიონამდე ქურთი გაიხიზნა ირანსა და ერაყის მთიან ნაწილებში, საიდანაც რამდენიმე თვის შემდეგ გაეროს მეოხებით დაუბრუნდნენ მშობლიურ-მიწაწყალს. შეერთებულმა შტატებმა მკაცრად გააფრთხილა სადამ ჰუსეინი, რომ არ გადაელახა 36-ე პარალელი, რომლის იქითაც ქურთები სახლობენ, რამაც საშუალება მისცა მათ შეექმნათ, ფაქტობრივად, დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელსაც ქურთები ერაყის ქურთისტანის ფედერაციას უწოდებენ.

1992 წლის 4 ივნისს მათ აირჩიეს პარლამენტი და ჩამოაყალიბეს ხელისუფლება. პარლამენტში მოხვდნენ ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის (ტალაბანის მეთაურობით) და ქურთისტანის პატრიოტული კავშირის (ბარზანის მეთაურობით) წარმომადგენლები, ასევე მაჟორიტარული სიით გასული დეპუტატები ქურთისტანის კომუნისტური პარტიიდან, ქურთისტანის სოციალისტური პარტიიდან და ქურთისტანში მცხოვრები ასირიელების წარმომადგენლები.

ქურთ პოლიტიკოსებს ერაყის ქურთისტანის ფედერაციის საფუძველზე, ერაყთან გაერთიანება სურთ. ამას კარნახობს პოლიტიკური ლოგიკა და მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების მიდგომა ამგვარი საკითხებისადმი. ქურთები თანამშრომლობენ სადამ ჰუსეინის ოპოზიციასთან, რომლებიც ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ თანახმანი არიან ქვეყნის ფედერაციულად მოწყობაზე. ამდენად, ოპოზიციას და ქურთებს ერთი მტერი ჰყავთ ჰუსეინის სახით და აქტიურადაც თანამშრომლობენ მისი რეჟიმის დასამხობად. იზადინ მუსტაფა რასულის თქმით, კომპრომისი სადამ ჰუსეინთან გამორიცხულია. ჰუსეინი არ არის მუსლიმი, რამეთუ უამრავი მშვიდობიანი მოსახლე გაჟლიტა და კვლავაც ხმამაღლა აცხადებს, რომ ერაყში მცხოვრები ქურთები მისი ხალხია და თუ მოესურვება, დახოცავს მათ.

გაგრძელება მე—6 გვერდზე

# სასურველი იყო, ორივე უწყებას ერთობლივი განცხადება გაგვეკეთებინა

## ასე მიაჩნია შინაგან საქმეთა ორგანოებში მოკვლევასა და ადამიანის უფლებათა დაცვის კანონიერებაზე პროკურატურის ზედამხედველობის სამმართველოს უფროსს თენგიზ მახარაძეს

**პროკურატურის პრესცენტრის მიერ 14 აგვისტოს გამოქვეყნებულ განცხადებაში უკანონობით დაზარალებულ მოქალაქეებს მოუწოდებენ, მიმართონ პროკურატურაში არსებულ შინაგან საქმეთა ორგანოებში მოკვლევასა და ადამიანის უფლებათა დაცვის კანონიერებაზე ზედამხედველობის სამმართველოს. ამასთან, საზოგადოება ინფორმირებულია იმის შესახებ, რომ პროკურატურის ხელმძღვანელობამ პრესაში ოფიციალურად განმარტა: პრესცენტრის განცხადების ტექსტი ჩვენთან არ იყო შეთანხმებული და ამდენად, პროკურატურის ხელმძღვანელობის აზრს არ გამოხატავსო. ამან გაუგებრობა შექმნა. კერძოდ, მაშ რა ქნას მოქალაქემ მისი კონსტიტუციური უფლებების დარღვევის შემთხვევაში — მიმართოს თუ არა პროკურატურას? გარდა ამისა, ისიც გასარკვევი იყო, რა მონაცემებით სარგებლობდა პროკურატურის პრესცენტრი, როდესაც შსს-ს თანამშრომელთა მიერ ადამიანთა უფლებების დარღვევის და უკანონობის ფაქტების გახშირებაზე ტეხდა განგაშს? ეს მონაცემები ხომ სწორედ შინაგან საქმეთა ორგანოებში მოკვლევასა და ადამიანის უფლებათა დაცვის კანონიერებაზე ზედამხედველობის სამმართველოსგან უნდა მიეღო?**

**ამ ბუნდოვანების გასაფანტავად, განმარტებისთვის მივმართეთ პროკურატურის ზემოხსენებული სამმართველოს უფროსს, ბატონ თენგიზ მახარაძეს.**

1996 წლის 14 აგვისტოს გამოქვეყნებული საქართველოს პროკურატურის განცხადება შედგენილია პირადად პროკურატურის პრესცენტრის ხელმძღვანელის თემურ კვირკველიას მიერ, რასაც იგი არ უარყოფს და პრესისთვის მიცემულ ინტერვიუებშიც ადასტურებს. ჩვენს სამმართველოს — არც ხელმძღვანელობას და არც თანამშრომლებს — განცხადების ტექსტის შედგენაში მონაწილეობა არ მიუღია, არც მასში მოტანილი ფაქტების შესახებ ინფორმაცია გადაუცია პრესცენტრისთვის და არც განცხადების ვიზირება მოუხდენია.

პრესცენტრის მიერ შედგენილი ტექსტი, ისევე, როგორც ყველა მკითხველისთვის, ჩვენთვისაც პრესაში გამოქვეყნების შემდეგ გახდა ცნობილი.

მინდა ხაზი გავუსვა შემდეგ გარემოებას: პროკურატურას შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არავითარი კონფლიქტი არ ჰქონია და ვერავინ დაასახელებს ამის თუნდაც ერთ ფაქტს მაინც. ჩვენ მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა გვაკავშირებს და მუშაობისთვის სათანადო კოლეგიალური ფორმებიც გვაქვს შემუშავებული. უკანასკნელ პერიოდში ამ თანამშრომლობამ კიდევ უფრო გამოკვეთილი სახე მიიღო — ჩვენს მიერ ჩატარებულ შემოწმებებში თითქმის ყოველთვის მონაწილეობენ შსს-ს შესაბამისი პროფილის სპეციალისტები, საკითხებსაც ერთობლივად განვიხილავთ კოლეგიებზე და თათბირებზე.

რა თქმა უნდა, პროკურატურის პრესცენტრის განცხადებაში აღნიშნული დარღვევის ფაქტები არსებობს, ამას არც შინაგან საქმეთა სამინისტრო უარყოფს, მაგრამ მე არ ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ ასეთი ფაქტები მთელ ქვეყანაში გახშირდა. როცა კანონიერების ცალკეულ დარღვევაზეა საუბარი, მხოლოდ პოლიციის დასახელება არასწორად მიმაჩნია, რადგან მსგავს შემთხვევებს სხვა სამართალდამცავ ორგანოებშიც, მათ შორის პროკურატურაშიც აქვს ადგილი. განცხადების ტექსტის ჩასწორების საშუალება რომ გვქონოდა, დარღვევათა შესახებ მსჯელობას უფრო განვაზოგადებდით, ამასთან, ჩვენი ტელეფონების გვერდით აუცილებლად მივუთითებდით შსს-ს პირადი შემადგენლობის ინსპექციის მისამართსა და ტელეფონებს, რადგან მიგვაჩნია, რომ უკანონობის შემთხვევაში მოქალაქეებმა ისევე უნდა მიმართონ ამ ორგანოსაც.

მიმაჩნია, რომ პროკურატურის პრესცენტრის განცხადების ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი უნდა დამთავრდეს და ოფიციალურად ვაცხადებ: არავითარი კერძო ინტერესები ან დაპირისპირება ჩვენსა და შსს-ს თანამშრომლებს შორის არ არსებობს და არც კონფლიქტის საფუძვლები გაგვაჩნია.

რაც შეეხება დარღვევებს, მათი განხილვა უნდა ხდებოდეს საქმიან, მშვიდ ვითარებაში, საქმიანი თანამშრომლობის პირობებში და არა — ასეთი აჟიოტაჟის ფონზე.

სასურველი იყო, რომ პრესაში გამოქვეყნებულიყო პროკურატურის და შსს-ს ერთობლივი განცხადება, რაც საზოგადოებას დაანახვებდა, რომ ეს უწყებები ერთმანეთს კი არ ექიშპებიან, არამედ დაინტერესებულნი არიან კანონიერების დარღვევების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლით.

# საარჩევნო ციებ-ცხელება აჭარაში

დასრულდა სამზადისი აჭარის უმაღლესი საბჭო საარჩევნო არჩევნებისთვის. 20 რეგისტრირებული პარტიიდან 13 გაერთიანდა 4 ბლოკში, 7 პარტია კი არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღებს მონაწილეობას. აჭარაში შექმნილია 276 საარჩევნო უბანი და 40 საარჩევნო ოლქი. ახლო მომავალში ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნდება საარჩევნო უბნების სია. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაზე უარი უთხრა პოლიტიკურ კავშირ „დედა საქართველოს“. მიზეზი — მას არ გააჩნია აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია.

BGI

# დაკითხეს ზუგდიდის პოლიციის თანამშრომლები

გუშინ ქობალიას, ბოკუჩავას, ძიძიგურის და მოლოდინაშვილის სასამართლო პროცესზე მოწმედ გამოცხადდა ზუგდიდელი თორნიკე ქირია, რომელიც 1990-92 წლებში ზუგდიდის მილიციის უფროსად მუშაობდა. შემდეგ იგი გადადგა და 1993 წლიდან კვლავ აღადგინეს თანამდებობაზე. 1992 წელს იანვრის ბოლოს მხედრიონი სამტრედიაში იდგა. ზუგდიდში ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტი მოქმედებდა. ქირიასა და კიდევ 5 პიროვნებას ჯაბა იოსელიანთან დაუმორჩილებლობის კომიტეტის ხელმძღვანელების ვალტერ შურღაიასა და ზაურ ქობალიას შეხვედრა მოუწყვიათ. ეს შეხვედრა დახურულ კარს მიღმა მომხდარა. ქირიამ დეტალების შესახებ არაფერი იცის. ამ შეხვედრის შემდეგ შურღაია და ქობალია ზუგდიდის მიტინგზე გამოსულან, სადაც შეხვედრის ფაქტის კონსტატაცია მოუხდენიათ. ამის შემდეგ ვილაცას აღნიშნული შეხვედრის ორგანიზატორები, ქირია და მისი თანმხლები პირები, რომლებიც პირველად შურღაიასა და ქობალიას გარეშე შეხვდნენ იოსელიანს, მოღალატედ გამოუცხადებია. ამას ვერ გაუძლო ქირიამ, მიტინგი დატოვა, გადადგა და 1993 წლის ნოემბრამდე მილიციაში არ უმუშავია. ნოემბერში კი სახელმწიფო რწმუნებულის მოთხოვნით პოლიციის სამმართველოს უფროსად დაინიშნა.

ქირიას ჩვენებით, მხედრიონის შემოსვლას ძარცვა და ყაჩაღობა მოჰყვებოდა ხოლმე. ზუგდიდიდან დაახლოებით 1200 მანქანა გაუტაციათ. როცა ზუგდიდში ქობალიას შენაერთები ბრუნდებოდნენ, წესრიგი მყარდებოდა. ამ საქმისთვის ქობალიას ხალხი გამოუყვია. წესრიგს ერთად ვამყარებდითო, თქვა ქირიამ.

მან რკინიგზაზე ტვირთის დატაცების მისთვის ცნობილ ორ ფაქტზე გაამახვილა ყურადღება: პირველად საქმე შეეხებოდა 7 ტანკს. ქირია გულუასთან და დათუაშვილთან ერთად შეხვდა ქობალიას. უნახავთ ტანკები, რომლებიც ბრძოლისთვის აღარ გამოდგებოდნენ. დათუაშვილს უთქვამს, ეს ტანკები არაფრად ვარგა, ჯობს აქ ეგდონო. ქირიას ვარაუდით, ეს ტანკები ჯართად თუ უნდოდათ, გაეყიდათ. ერთი ვაგონი მინის დატაცების შემდეგაც მიუმართავს ქირიას ქობალიასთვის. ეს დატაცება გალში მოხდა თუ ოჩამჩირეში, ქირიას კარგად არ ახსოვს, მაგრამ ვარაუდობს, რომ ქობალიას ბრძანებით დააბრუნეს.

ლტოლვილების გადმოსაყვანად ზუგდიდში 18 ავტობუსი ყოფილა გამზადებული. ქირიას თქმით, ექსპრეზიდენტის მომხრეების დავალებით პოლიცია სვანეთიდან ლტოლვილების შეუფერხებელ გადმოყვანას უზრუნველყოფდა.

ქირიამ გამსახურდიასთან შეხვედრაზეც ისაუბრა. პირველი შეხვედრის დროს გამსახურდიას თათბირზე მოუწვევია ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელები და განუცხადებია, რომ ისინი კანონიერ ხელისუფლებას უნდა დამორჩილებოდნენ. ვისაც ეს არ უნდოდა, წერილობით უნდა გაეგზავნა უარი. ერთ პროკურორს ეს გაუკეთებია. სხვებს კი მუშაობა გაუგრძელებიათ.

შემდეგი მოწმე ქობალიას მოგვარე გამოდგა — გრიგოლი. იგი 1991 წლიდან ზუგდიდის სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს კომპიუტერული-მეთოდური სამსახურის უფროსია. მოწმემ აღნიშნა, რომ პოლიტიკაში არ ერევა და მისი ერთადერთი მიზანია, ქართველმა ქართველის სისხლი არ დალვაროს. ეს მიზანი ამოძრავებდა მას, როცა საკუთარ სახლში ორი დაპირისპირებული მხარის შეხვედრას აწყობდა. მოწმის თქმით, ასეთი შეხვედრა 5-ჯერ შედგა. ფაქტობრივი ხელისუფლების მხრიდან მას ესწრებოდნენ ფაცაცია, ნათაძე, ხაინდრავა, ურიდია და სხვები (რომელთა გვარები ქობალიამ უცებ ვერ გაიხსენა. მათ თან ახლდათ ათამდე სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტი. გამსახურდიას მხრიდან იყვნენ ვახტანგ ქობალია, ვალტერ შურღაია, ზაურ ქობალია და სხვები. მოწმის განცხადებით, ვახტანგ ქობალია ყოველთვის კომპრომისზე მიდიოდა. მაგრამ, როცა ქობალია ზუგდიდიდან გადიოდა, ქალაქს მაშინვე „მხედრიონი“ და სხვა შეიარაღებული ფორმირებები ებლაუქებოდნენ. მოკლედ, გრიგოლ ქობალიას სახლში შემდგარი შეხვედრები, რომლებიც მასპინძელს იმედს უსახავდა, უნაყოფო გამოდგა, თუ არ ჩავთვლით ერთ-ერთი ასეთი შეხვედრის დროს მიღწეულ მოლაპარაკებას გია ყარყარაშვილის გათავისუფლების შესახებ.

ზაზა ფაჩუაშვილი

# განსასჯელები ჩივიან სასამართლოს გაჭიანურების გამო, თუმცა არც თავად ჩქარობენ

პირველი გვერდიდან

და მე ამას დავამტკიცებ“, — თქვა მან, თუმცა არ დააზუსტა საიდან გააპარეს ეს რუსები ან კონკრეტულად როდის და რომელ სოფელში მოკლეს 27 კაცი.

ამგვარი მშფოთვარე დასაწყისის შემდეგ, როგორც იქნა, მოწმეების დაკითხვაც დაიწყო. თენგიზ კიტოვანის მძღოლმა ჯუმბერ გოძიაშვილმა დაკითხვისას განაცხადა, რომ კიტოვანის სახლში ჩატარებული ჩხრეკის დროს ოჯახის არც ერთი წევრისთვის არ მიუციათ ჩხრეკაზე დასწრების უფლება. კიტოვანის თქმით, მის სახლში ჩხრეკის დროს დაიკარგა მშვილდ-ისარი, წიგნები და საიდუმლო რუკები, რომელთა გამოაშკარავებამ, შეიძლება, რუსეთ-თურქეთის ომიც კი გამოიწვიოსო, თუმცა არ დაუზუსტებია, საიდან ჩაუვარდა ხელში ამგვარი დოკუმენტები ან უფრო საიმედო ადგილას რატომ არ ინახავდა. სურგულაძემ კი განაცხადა, რომ მის სახლში ჩხრეკის დროს ძვირფასეულობა დაიკარგა. სასამართლომ გუშინდელმა სხდომამ ამგვარ ბრალდებათა ფონზე ჩაიარა. თანაც მიუხედავად განსასჯელთა პროტესტისა, რომ სასამართლო ზედმეტად ჭიანურდება, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ თვითონ განსასჯელები დიდად არ ჩქარობენ პროცესის დამთავრებას.

რაც შეეხება თენგიზ კიტოვანს, იგი კვლავაც აგრძელებს შიმშილობას.

სოზარ სუბელიანი

# თუ მომხმარებლები გადაიხდიან, ენერგოსისტემა მზადაა მოამარაგოს ისინი ელექტროენერგიით

## …ჯი-აი-ს კორესპონდენტმა ირაკლი გოგოლაძემ …ნტერვიუ ჩამოართვა „საქენერგოგენერაციის“ …ენერალურ დირექტორს ნოდარ ბადურაშვილს

— ზამთარი კარს მოგ…ა, როგორ ემზადებით … შესახვედრად?

—ზამთრისთვის ჩვენ …ზაფხულიდანვე ვემზა…ით, მაგრამ ყველაფე… იმაზეა დამოკიდებუ…, თუ როგორ კეთდება … წელს, მაგალითად, … გავითვალისწინეთ …ლილი ზამთრის მწა… გამოცდილება და …საცავებში წყლის …როვებისთვის ვიზრუ… ვცდილობთ, რაც …ლება ეკონომიურად …ხარჯოთ წყლის რე…ები და ისინი უფრო …ხისულ პერიოდებში …იყენოთ. ამიტომ …იღეთ ელექტროე…ის მოწოდებაში …ლუდვები, რასაც ასე …ის დღეს ყველა.

—…გვაქვს თუ არა სა…ის მარაგი?

—ზამთარში ჩვენ …რდება მინიმუმ 160 …ი ტონა მაზუთი და …500 მილიონი კუბუ… მეტრი გაზი. ამ რა…ობის სანვავის შე… 39 მილიონი დო… სჭირდება, რაც, …ნიკული გადაუხდე…ის გამო, არ გაგვა…

—გამოდის, რომ სან… არ იქნება?

—არც მთლად ასეა …, ისევე, როგორც …მან, ამერიკის შეერ…ული შტატები ჰუმა…რული დახმარების … წელსაც მოგვაწვ… 60 ათას ტონა მა…. მაზუთის შესყიდ…ან დაკავშირებით …ფორმეთ რამდენიმე …ან მომგებიანი ხელ…რულება, მაგრამ თა… გალახდას მხოლოდ … შემდეგ შევძლებთ, … გადასახადის გა…ელები დავალიანე… დაფარავენ. ერთ-ერ… ავსტრიულმა ფირმამ მომხიბლავი წინადადება შემოგვთავაზა — ზამთარში ის საწვავით მოგვამარაგებს, გაზაფხულზე კი ვალი ჭარბი ელექტროენერგიით უნდა დავაბრუნოთ. გარდა ამისა, ძველი მარაგიდანაც 23 ათასი ტონა მაზუთი გვაქვს შემორჩენილი.

—მთელი ზამთარი გვიმტკიცებდნენ, რომ საწვავი არ არის, ახლა კი აღმოჩნდა, რომ გასული წელს გადაგვრჩა კიდეც?

—23 ათასი ტონა მაზუთი მიზერული ციფრია, რომელიც თბილსრესს მხოლოდ ხუთ დღეს თუ ამუშავებს.

—არ მესმის, თბილსრესის დირექტორი ბადრი დარჩია 300 ტონა მაზუთის დატაცებისთვის დააპატიმრეს, სათბობისა და ენერგეტიკული რესურსების სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე ეს ფაქტი კორუფციის მაგალითად დაასახელეს და თქვენ ამბობთ, რომ 23 ათასი მიზერია?

—ფაქტი ფაქტად რჩება, მაგრამ ენერგეტიკოსს, რომელმაც იცის, რომ თბილსრესი მუშაობის ერთი საათის განმავლობაში ორას ტონა მაზუთს „ჭამს“, ეს ციფრი სასაცილოდ მოეჩვენება.

—თბილსრესის ახალი დირექტორი უკვე დაინიშნა?

—დღეისთვის ამ მოვალეობას მთავარი ინჟინერი ასრულებს. ახალი დირექტორი დაინიშნება მას შემდეგ, რაც სატრანსპორტო პოლიციისა და კონტროლის პალატის თანამშრომლები რევიზიასა და გამოძიებას დაამთავრებენ.

—რა ხდება ყბადაღებულ მეცხრე ბლოკზე?

—გერმანელი სპეციალისტები აგრძელებენ სარემონტო სამუშაოებს. ამისთვის ათი მილიონი დოლარია გამოყოფილი.

—გამოდის, რომ ამ ენერგობლოკის აღსადგენად შარშან დახარჯული 20 მილიონი დოლარი არ იყო საკმარისი?

—შარშან ჩატარდა ენერგობლოკის გასაშვებად აუცილებელი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სარებილიტაციო სამუშაო. ახლა მიმდინარეობს სტაბილიზაციის სამუშაო. ინერგება საწვავის მოწოდების მთლიანად ავტომატიზებული თანამედროვე სისტემა, რაც საწვავის ეკონომიის საშუალებას მოგვცემს.

—რა მდგომარეობაშია თბილსრესის სხვა ენერგობლოკები?

—სრული რემონტის ჩასატარებლად საჭიროა 7,5 მილიონი დოლარი, საქენერგოს კი თანამშრომლებისთვის 6 მილიონი ლარი აქვს გადასახდელი — შარშანდელი ხელფასი.

—გამოდის, რომ ამჟამად სარემონტო სამუშაოები შეჩერებულია...

—რაღაც მაინც კეთდება. მოგვიხდა ბანკიდან კრედიტის აღება.

—რა რაოდენობით?

—ეს ჩვენი კომერციული საიდუმლოა.

—ბოლოს და ბოლოს, გვექნება თუ არა ზამთარში დენი, თუ ესეც კომერციული საიდუმლოა?

—აქ საქმე ბევრად მარტივადაა. მომხმარებლებმა უნდა იცოდნენ — ენერგოსისტემა ყოველთვის მზადაა, რომ ისინი ელექტროენერგიით მოამარაგოს, მაგრამ ამისთვის აუცილებელია გადახდა. წინააღმდეგ შემთხვევაში სინათლე არ იქნება.

# ფოთის პორტი და რუსთავის მეტალურგიული ქარხანა ბიუჯეტს კვლავ აკლებენ თანხებს, შემოსავლების დამალვის ყოველნაირ ფორმასა და ხერხს მიმართავენ

სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის მონაცემებით, აგვისტოს განვლილ პერიოდში ბიუჯეტის საშუალო დღიურმა შემოსავლებმა 1,7 მილიონი ლარი შეადგინა. მიმდინარე წლის დასაწყისიდან ბიუჯეტში მობილიზებულია 150 მილიონი ლარი, რაც თითქმის სამჯერ აღემატება გასული წლის შესაბამის პერიოდში მიღწეულ დონეს.

როგორც ბიუჯეტის ფორმირების პროცესი გვიჩვენებს,ქვეყანაში თანმიმდევრულად ყალიბდება შემოსავლების ზრდის მყარი ტენდენცია. მიუხედავად ამისა, მიღწეული დონე ჯერ კიდევ არაა საკმარისი წლიური საპროგნოზო მაჩვენებლების უზრუნველსაყოფად. ამ მიმართებით საჭიროა კიდევ უფრო გაძლიერდეს მუშაობა რეზერვების გამოვლენისა და მათი ამოქმედების, ბიუჯეტის კუთვნილი თანხების უდანაკარგოდ მობილიზებისთვის.

საგადასახადო ორგანოების მიერ ჩატარებული შემოწმებები ცხადყოფს, რომ მთელი რიგი საწარმოები და ორგანიზაციები ხშირად უგულებელყოფენ კანონის მოთხოვნებს, ყოველგვარი წესებისა და ნორმების გვერდის ავლით თავს არიდებენ ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას, მალავენ შემოსავლებს და მნიშვნელოვან თანხებს აკლებენ ბიუჯეტს. ყოველივე ამის გამო, სერიოზული სირთულეები იქმნება ბიუჯეტის ფორმირების საქმეში, ფერხდება სოციალურ-ეკონომიკურ ღონისძიებათა დაფინანსება, ზარალდება მოსახლეობის დიდი ნაწილი.

ამ მხრივ ძალზე ცუდი მაჩვენებლები აქვს ფოთის პორტს, რომელმაც ბიუჯეტს 630 ათასი ლარი, ხოლო სოციალური დაცვისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს წლის დასაწყისიდან 600 ათასი ლარი დააკლო. უფრო მეტიც, მიუხედავად საგადასახადო ორგანოების არაერთგზის მოთხოვნისა, პორტის ხელმძღვანელობა ყურადღებას არ აქცევს ბიუჯეტთან ანგარიშსწორების მოწესრიგებას, ხშირად კი ბიუჯეტის კუთვნილი თანხები არამიზნობრივად იხარჯება.

კიდევ უფრო არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. აღნიშნული საწარმო მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში, ფაქტობრივად, ნორმალურ პირობებში მუშაობდა. ამ ხნის განმავლობაში მას გამოშვებული და რეალიზებული აქვს, დაახლოებით, 12 მილიონი ლარის ღირებულების პროდუქცია, საიდანაც ბიუჯეტს არანაკლებ 2,5 მილიონი ლარი უნდა მიეღო. ქარხანას კი ბიუჯეტში ჩარიცხული აქვს მხოლოდ 96 ათასი ლარი. ორგანიზაციის დავალიანება, გასული წლის ვალების ჩათვლით, უკვე 4,5 მილიონ ლარს აჭარბებს.

საგადასახადო სამსახურის წინასწარი მონაცემებით დადგინდა, რომ მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელობა, ბიუჯეტთან ანგარიშსწორების თავის არიდების მიზნით, შემოსავლების დამალვის ყოველნაირ ფორმასა და ხერხს მიმართავს. სასაქონლო ოპერაციებს, როგორც წესი, ბანკის გვერდის ავლით ახორციელებს. სამწუხაროდ, ასეთი ფაქტები სხვა ორგანიზაციებშიც დაფიქსირდა.

ზემოხსენებული ფაქტები ხელისუფლების შესაბამისი უწყებების სერიოზული მსჯელობის საგნად უნდა იქცეს, რამეთუ, ესოდენ მნიშვნელოვანი საქმისადმი ასეთი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ძირეულად ეწინააღმდეგება ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ რეფორმებს, დამატებით სირთულეებს ქმნის საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის საქმეში.

სადღეისოდ, აღნიშნულ ორგანიზაციებში მიმდინარეობს კომპლექსური შემოწმებები, გამოვლენილ ფაქტებს მიეცემა პრინციპული შეფასება, განხორციელდება კანონით გათვალისწინებული ზემოქმედების ყველა ზომა.

საანგარიშო პერიოდში საგადასახადო სამსახური მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა ხორბლისა და ფქვილის გადასახდელების ბიუჯეტში დროულად და სრულად ამოღებას. სადღეისოდ, ბიუჯეტში მობილიზებულია 35 მილიონი ლარი. მხოლოდ გასულ კვირას ვადაგადაცილებული დავალიანებები შემცირებულია 100 ათასი ლარით. საგრძნობლად გააუმჯობესეს მდგომარეობა და ვადაგადაცილებული დავალიანებების გარეშე მუშაობენ თბილისის ნისქვილქარხანა და პურპროდუქტების კომბინატი, სამტრედიის პურის მიმღები საწარმო, ზუგდიდისა და მარნეულის პურპროდუქტების კომბინატები.

პურპროდუქტების სისტემის შემოწმებებით დასტურდება, რომ ადგილებზე ძირითადად დაცულია პურით ვაჭრობის დადგენილი წესები. თუმცა, ცალკეულ რაიონებში გამოვლენილია ვაჭრობის წესების სხვადასხვა სახის დარღვევები. კერძოდ, ფასმაჩვენებლების გარეშე ვაჭრობის ფაქტები დაფიქსირდა თბილისის მთაწმინდის, ჩუღურეთის, კრწანისის, სამგორის, ვაკის, დიდუბის, ისნის რაიონების მაღაზიებში.

სულ გამოვლენილია პურითა და პურპროდუქტებით ვაჭრობის წესების დარღვევის 43 შემთხვევა. მათ მიმართ შედგენილია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები და მასალები გადაგზავნილია შესაბამისი რაიონების სასამართლოებში სათანადო ეკონომიკური სანქციების განსახორციელებლად.

**დიანა ბაბროშვილი**

# ჯორჯ ჰიუიტი ამჯერად ქართული ენის სახელმძღვანელოში ლანძღავს ქართველებს

…გუშინ ქალბატონმა დოდონა კიზირიამ პრესკონფერენცია გამართა …ფაქტთან დაკავშირებით, რომ ინგლისში გამოიცა ქართული ენის …წავლელი სახელმძღვანელო ინგლისურენოვანი სტუდენტებისთვის. … 483-გვერდიანია და აშშ-ში 35 დოლარი ღირს, ხოლო კანადაში 40 დოლარი. როგორც ქალბატონმა დოდონამ ბრძანა, ასეთი …ები დაახლოებით 2000-იანი ტირაჟით გამოიცემა და მას, პირველ …, უნივერსიტეტები და ბიბლიოთეკები შეიძენენ ხოლმე. თუ …ტერესებული პირებიც გამოჩნდნენ და ტირაჟი ამოიწურა, ამ …ევაში წიგნს ხელახლა გამოსცემენ.

…როდენ სასიამოვნო იქნებოდა ამგვარ ფაქტზე საუბარი, რომ არა …ნკრეტული სახელმძღვანელოს ავტორი და ამით განპირობებული … უბედურება, რაც წიგნს ახლავს. ჯორჯ ჰიუიტი — ამ …ებამ, ალბათ, ბევრ ქართველს დაამახსოვრა თავი. იგი აფხაზების … და თავს აფხაზეთის ელჩად ასაღებს ინგლისში, თან ლონდონის …რსიტეტის პროფესორია. თუმცა, ერთხელ უკვე გაუძევებიათ …რსიტეტიდან მის ერთ-ერთ ნაშრომთან დაკავშირებით ქართველი …ერების პროტესტის გამო. მაგრამ, როგორც ბატონმა რამაზ …აშვილმა ბრძანა პრესკონფერენციის მსვლელობისას, ლონდონის …რსიტეტში კავკასიური ენების სხვა სპეციალისტი არ ჰყოლიათ …ის გამო ჯორჯ ჰიუიტი, თურმე, კვლავ დიდ პატივშია.

### …ა თავად წიგნის …ხებ.

…ლბატონი დოდონა კიზი…აზრით, წიგნს სამი ნაკლი … პროფესიული უმეცრება, …წუნებელი არაეთიკურობა …ჭარბებული პოლიტიზი…ობა.

…ვიწყოთ თავიდან. ქალბა… დოდონას აზრით, ჰიუიტმა … კარგად იცის ქართული …მ ნებისმიერი ადამიანის…საკმაყოფა უცხო ენის ასეთ … დაუფლება. მიუხედავად … წიგნი სავსეა შეცდომებით (ამ შეხვედრაზევე ითქვა, რომ სპეციალისტებმა სახელმძღვანელოში 154 შეცდომა დააფიქსირეს). წიგნის ავტორმა არ ისურვა, ნაშრომი გამოქვეყნებამდე ექსპერტებისთვის წარედგინა. განსაკუთრებით დიდი გაუგებრობებია სინტაქსთან დაკავშირებით. ზოგიერთი წინადადებიდან აზრის გამოტანაც კი ჭირს. ქალბატონმა მზექალა შანიძემ, რომელსაც უკვე გამოქვეყნებული აქვს რეცენზია გაზეთში „ბურჯი ეროვნებისა“, ნაშრომი შეაფასა, როგორც „მეთოდურად ცუდი სახელმძღვანელო“. „ავტორმა ზმნის მწკრივები კი იცის, მაგრამ სახელმძღვანელო მაინც არაპროფესიული გამოუვიდა“, — ბრძანა ქალბატონმა მზექალამ. ახლა, მკითხველი რომ იოლად დარწმუნდეს ზემოთ მოცემულ შეფასებებში, რამდენიმე ნაწყვეტს მოვიტანთ ჯორჯ ჰიუიტის ნაშრომიდან: „ვისზე ხარ უფრო მაღალი?“, „ხომ ყველაზე ხარ უფრო მაღალი?“, „შენ ცოლად მყვები“, „საფუძვლებია ვიფიქროთ, რომ სტალინმა ეს არ იცოდა“, „დედა საძილეში აზის თავის სკამს და თავს ილამაზებს სარკის წინ“, „თაგვებმა ჰუჰრუტანიდან გამოირბინეს“.

ახლა ნაშრომის შემაძრწუნებელი არაეთიკურობის შესახებ.

საყოველთაოდ ცნობილია: ამა თუ იმ ენის შემსწავლელი სახელმძღვანელო უსათუოდ უნდა მოიცავდეს ინფორმაციას იმ ქვეყნის შესახებ, სადაც აღნიშნული ენა მშობლიურია. მაგალითად, იტალიური ენის სახელმძღვანელოში უსათუოდ შეხვდებით მასალას იტალიის მდებარეობის, კულტურის, წარსულის, იტალიელთა წეს-ჩვეულებების და ხასიათის შესახებ. ასეა ნებისმიერ შემთხვევაში. ჯორჯ ჰიუიტის სახელმძღვანელოში მოთავსებულ დიალოგებში კი ქართველები წარმოჩნდებიან, როგორც უხაქმურები, ზარმაცები, ტრაბახები, ქურდები, და არავითარი ინფორმაცია საქართველოს შესახებ. ახლა ზოგიერთი დიალოგის ნაწყვეტს წარმოგიდგენთ სიტყვასიტყვით და თავად განსაჯეთ:

1) ერთ-ერთ დიალოგში ქართველი უცხოელს სტუმართმოყვარეობაზე ესაუბრება, უცხოელი კი აღნიშნავს, რომ ჩემი დაკვირვებით, ეს თვისება კავკასიის ხალხებს ერთნაირად უნდა ახასიათებდეთო. აი, რას მიუგებს ქართველი პასუხად: „რა ეშმაკი ბრძანდებით! ქართველებს უკვე მიგვიხვდით ტრაბახობას თქვენ! უცხოელებმა მართლა არ უნდა დაიჯეროთ ყველაფერი, რასაც ჩვენ, ქართველები გეუბნებით“ (172 გვ.).

2) ერთ დიალოგში ქართველმა მასწავლებელმა უცხოელთან შეხვედრაზე დაიგვიანა და ასე დაამშვიდა სტუმარი: „ეს საქართველოა, სადაც არავინ არაფერს ასწრებს დროზე“. უცხოელი პასუხობს: „ინგლისელებს რომ საქართველო დაეპყროთ უფრო ადრინდელ საუკუნეებში, ეგ ნაკლი (და არა მხოლოდ ეგ) არ დაგახასიათებდათ“ (251 გვ.).

3) ერთ-ერთ დიალოგში კი აღწერილია სიტუაცია, როდესაც მემარჯვენე „ეროვნული ფრონტი“ ქალაქში აწყობს დემონსტრაციას, პრეზიდენტის ვაჟი კი ვერ იტანს ამ „ფრონტის“ მესვეურს. „როგორც კი პრეზიდენტის ვაჟიშვილს გაუგია დემონსტრაციის ამბავი, ... ქუჩაზე გადაურბენია, ჯიბიდან გამოუტანია თოფი, თვალის დახამხამებაში დაუმიზნებია თავისი მტრისთვის და უსროლნია მისთვის კიდეც!.. როცა პრეზიდენტს შეუტყვია ვაჟიშვილის ამბავი, თავი ვერ შეუკავებია, გაუსტუმრებია უცხოელების დელეგაცია, და დაუბარებია თავისი მრჩევლები. მათ სასწრაფოდ გადაუწყვეტიათ ყველაფერი. ნახევარი საა…ს შემდეგ გაუთავისუფლებიათ მკვლელი, დაუსახელებიათ იგი სამშობლოს გმირად, ორდენა მიუციათ მისთვის და დაუნიშნავთ იგი ჩვენს მომდევნო ელჩად გაეროში!“ (232 გვ.).

4) ერთ დიალოგში კი პირდაპირ ასეთი შეკითხვაა დასმული: „გადატრიალებიდან რამდენი თვის შემდეგ ჩაიგდო ხელში მმართველობის სადავეები შევარდნაძემ?“

როგორც ვნახეთ, ბოლო მაგალითები არა მხოლოდ არაეთიკურობის, არამედ პოლიტიზირებულობის ნიმუშებიცაა. მაგრამ წიგნის პოლიტიზაცია ამით არ ამოიწურება. შემდეგი მაგალითების წასაკითხად მკითხველს კიდევ მეტი მოთმინების მოხმობა დასჭირდება:

1) ერთ შემთხვევაში ჟურნალისტი და ქართველი (?!) პოსტსაბჭოთა პერიოდის პრობლემებზე საუბრობენ:

„ქართველი: ისე თავხედი რომ არ ვყოფილიყავით, უფრო დიდი მოთმინება რომ გვქონოდა,.. ყურადღება მიგვექცია იმ ბრძნული რჩევისთვის, რომელსაც ზოგი ჩვენი მეგობარი გვთავაზობდა...

გაგრძელება მე—4 გვ.

# ჯორჯ ჰიუიტი ამჯერად ქართული ენის სახელმძღვანელოში ლანძღავს ქართველებს

მე-3 გვერდიდან

ჟურნალისტი: მაგალითად?

ქართველი: უმცირესობების ბედი ფეხებზე არ უნდა გვკიდებოდა". (334 გვ.).

2) ერთ დიალოგში ფილოლოგი მიმართავს ფიზიკოსს: „განა სერიოზულად მეუბნები, რომ მეგრული დამოუკიდებელი ენა არ არის? რა აბდა-უბდას ლაპარაკობ ხანდახან" (225 გვ.).

სახელმძღვანელოდან ამ და სხვა ნაწყვეტების მოსმენის შემდეგ პრესკონფერენციაზე დამსწრე საზოგადოება, რომელთა უმრავლესობას ენათმეცნიერები და ლიტერატორები შეადგენდნენ, აღშფოთებას ვერ მალავდა. გამოიკვეთა აზრი, რომ ლონდონის უნივერსიტეტის რექტორს უნდა გაეგზავნოს საპროტესტო წერილი, რომელსაც ხელს მოაწერენ ცნობილი ქართველი მეცნიერები, უცხოელი ქართველოლოგები. იგივე წერილი უნდა გაეგზავნოს უაღრესად პრესტიჟულ გამომცემლობა „რუტლეჯს", რომელმაც ჯორჯ ჰიუიტის წიგნი დასტამბა. ითქვა, რომ სასურველია, ინგლისში მოქალაქეთა ხელმოწერილი საპროტესტო წერილიც გაიგზავნოს, რომ ჰიუიტის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი უნდა აღიძრას, ჰიუიტი კი, რომელიც თავს აფხაზეთის ელჩად აცხადებს, „persona non grata"-დ უნდა გამოცხადდეს და საქართველოში ჩამოსვლა აეკრძალოს (საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის გარდა). ქალბატონ მზექალა შანიძის აზრით, უნდა დაიწეროს აკადემიური, დასაბუთებული რეცენზია ჯორჯ ჰიუიტის ნაშრომზე, რომელიც სასურველია, ლონდონის უნივერსიტეტის ბიულეტენში გამოქვეყნდეს. იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელმა, ბატონმა სოსო ბურნაძემ განაცხადა, რომ მისი უწყება საკითხის სამართლებრივ მხარეს შეისწავლის და საერთაშორისო სამართლის ნორმებთან შესაბამისობაში მოიყვანს. გაცხოველებული ნაუბარი იყო ჰიუიტისთვის საკადრისი პასუხის მიზღვისთვის საჭირო თანხების მოზიდვაზეც. ჟურნალისტებზეც ითქვა, ხვალ მკერდში ხელების ბაგუნს დაიწყებენ და ვინძლო, ყველაფერი ამით დასრულდესო.

არც ის არის უინტერესო, რაც თავად ბატონ ჰიუიტს უბრძანებია: „ამ წიგნით საქართველოსთან და ქართველებთან ურთიერთობა დავამთავრე"-ო.

არადა, მთელ ამ ისტორიაში ყველაზე გულსაკლავად ის მეჩვენება, რომ, ეპიგრაფის თანახმად, ჯორჯ ჰიუიტმა წიგნი ბატონი აკაკი შანიძის ნათელ ხსოვნას მიუძღვნა.

ია ანთაძე

# პარლამენტის თავმჯდომარე სამეგრელოს რეგიონში

გუშინ გაგრძელდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას სტუმრობა სამეგრელოს რეგიონში. იგი იმყოფებოდა წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონებში, სადაც მოინახულა ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკები, მათ შორის „მარტინ ბაუერის" ფაბრიკაც. იგი შეხვდა აღნიშნული რაიონების მოსახლეობას და იქ განსახლებულ ლტოლვილთა წარმომადგენლებს. შეხვედრებს ესწრებოდნენ სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლები ბონდო ჯიქიას ხელმძღვანელობით.

დღეს ზურაბ ჟვანია ფოთს მიემგზავრება.

# საქართველოს ეწვევა სერბეთის პატრიარქი

27 აგვისტოს, საქართველოს ეწვევა სერბეთის პატრიარქი, მისი უწმინდესობა პავლე. იგი მონაწილეობას მიიღებს მარიამობის დღესასწაულთან დაკავშირებულ საზეიმო წირვაში, რომელიც სიონის საკათედრო ტაძარში ჩატარდება. სერბეთის პატრიარქი, ასევე, მოინახულებს ბათუმსა და რუსთავს. შეხვდება საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს. 31 აგვისტოს დაგეგმილია ან პრესკონფერენციის ჩატარება, ან სერბეთის პატრიარქის სატელევიზიო გამოსვლა.

სერბეთის პატრიარქის ვიზიტი საქართველოში 31 აგვისტოს დასრულდება.

იბერია

# "გადახდა უნდა ვალსაო"...

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში არსებული სავაჭრო სამრეწველო კომპანია „აჩი"-ს პრეზიდენტის გ. მინდიაშვილის და სხვათა ბრალდების სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში გამოვლინდა, რომ შპს „ნუგო"-ს პრეზიდენტმა ნ. პაპიაშვილმა სესხის სახით კომპანიიდან გაიტანა და აღარ დააბრუნა 20 ათასი დოლარი. ამ ფაქტთან დაკავშირებით 19 აგვისტოს იგი დააკავეს.

იფრინდა

# ძალად მაცხონე სეპარატისტები



იტალიის „ჩრდილოეთის ლიგის" პარტიის ლიდერ უმბერტო ბოსის, რომელსაც რომში ისედაც ცუდი თვალით უყურებენ, თვით ჩრდილოეთ იტალიის სამართალდამცველები აუმხედრდნენ. საქმე ისაა, რომ მოსამართლეთა ჯგუფი ბოსის ბრალს სდებს მოქალაქეებზე თავისი პარტიის იდეოლოგიის ძალდატანებით გავრცელებაში. მოსამართლეთა განცხადებით, არსებობს ფაქტები, როდესაც უმბერტო ბოსის პარტიის წევრები იტალიელ მოქალაქეებს იძულებით „ეპატიჟებოდნენ" თავიანთ ორგანიზაციაში.

მოსამართლეები ითხოვენ, რომ ბოსი სასამართლოში გამოცხადდეს. მაგრამ იგი იტალიის კონსტიტუციას „აფარებს თავს" და აცხადებს, რომ მას, როგორც პარლამენტის წევრს, აქვს ხელშეუხებლობის უფლება და შეუძლია არ დაემორჩილოს მოსამართლეთა მროთხოვნას.

საპარლამენტო კომიტეტი აღნიშნულ საკითხს სექტემბრის დასაწყისში განიხილავს.

# ედპ-ის აფხაზეთის ბიუროს განცხადება

საქართველოს პარლამენტმა 1996 წლის 17 აპრილს მიიღო დადგენილება „აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ". მასში დიდი ადგილი ეთმობოდა სამშვიდობო ძალების მანდატის საკითხს, რომელიც წამყვან თემად იქცა მოსკოვში ბოლო დროს გამართულ სამმხრივ კონსულტაციებზე. „კავკასიონმა" ამ საკითხებთან დაკავშირებით გამოაქვეყნა პარლამენტარების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოსაზრებები, მათ შორის იყო ვახტანგ ყოლბაიას კომენტარიც.

გუშინ ეროვნულ დემოკრატიული პარტიის აფხაზეთის ბიურომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც უარყოფითადაა შეფასებული ვ. ყოლბაიას პოზიცია და მისი მსჯელობა პარლამენტის 17 აპრილის დადგენილების უაპელაციო რევიზიადაა მიჩნეული.

„ჩვენი აზრით, — მიიჩნევენ განცხადების ავტორები, — აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე, დევნილთა დიდი ნაწილის დაბრუნება გააძლიერებს არძინბას რეჟიმს და მას აფხაზეთში რეფერენდუმისა და არჩევნების ჩატარების საშუალებას მისცემს, რაც დეფაქტოდ არსებული აფხაზური სახელმწიფოს იურიდიული გაფორმება იქნება". აქედან გამომდინარე, განცხადების ავტორებს მიაჩნიათ, რომ ვახტანგ ყოლბაიასთვის მთავარია არა აფხაზეთის პრობლემის მთლიანობაში გადაჭრა, არამედ გალელი დევნილების ვიწრო ინტერესების დაკმაყოფილება. ამან კი, „შეიძლება დევნილთა შორის დამღუპველ დაპირისპირებამდე მიგვიყვანოს", — ნათქვამია განცხადებაში.

# არჩევნების წინ ხელფასების მომატება ამერიკაშიც მიღებული ყოფილა



შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბილ ქლინთონმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა 5 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების გზაზე. სამშაბათს მან ხელი მოაწერა ახალ კანონპროექტს, რომელიც მინიმალური საათობრივი შრომის ანაზღაურების 4,25—დან 5,15 დოლარამდე გაზრდას ითვალისწინებს. ხელფასების მომატების ასეთი მაჩვენებელი (17 პროცენტი) ყველაზე მაღალია ქვეყანაში ბოლო ხუთი წლის მანძილზე.

# დანაშაულებათა ჯაჭვი თბილსრესში

**გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებლის რევაზ ყიფიანის ინფორმაცია**

პირველი გვერდიდან

ნსპორტირებისთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და 25 ნოემბერს 21 ნოემბერს გატაცებული მაზუთი გადაიტვირთა ქ.ქუთაისში. აქვე სააქციო საზოგადოება „კოლხურ აბრეშუმს" გადასცეს 140 ტონა მაზუთი და გადაახდევინეს 15 ათასი ლარი. 55 ტონა მაზუთი 5800 ლარად შეასყიდინეს ქუთაისის ბავშვთა კვების პროდუქტების მწარმოებელ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბაიას", ხოლო 105 ტონა მაზუთი შესყიდვის აქტით, მართლაც, შეიძინა საწარმოო გაერთიანება ქუთაისის პურპროდუქტმა და გადაიხადა 13 ათას 400 ლარი. 300 ტონა მაზუთის რეალიზაციით მიღებული თანხა — 34 ათასი ლარი ზემოდასახელებულმა დამნაშავე პირებმა გაინაწილეს.

გამოძიების მიერ შემოწმდა მაზუთის გადამისამართების, ასევე, თბილსრესში მაზუთის მიღებისა და მიზნობრივად გამოყენების კანონიერება. დადგინდა მაზუთის დიდი რაოდენობით დატაცების და რეალიზაციის მთელი რიგი სხვა ფაქტებიც.

1995 წლის 24 თებერვალს ქალაქ ქუთაისში არსებულ ფირმა „აიას" პრეზიდენტს რევაზ დვალიშვილს და თბილსრესის გენერალურ დირექტორს ბადრი დარჩიას შორის დაიდო ყალბი ხელშეკრულება ქუთაისის მკვიდრის დავით გვენეტაძის მეშვეობით ისე, რომ მათ არავითარი ურთიერთობა არ ჰქონიათ. ხელშეკრულება ითვალისწინებდა თბილსრესიდან სამი ვაგონ-ცისტერნით 160 ტონა მაზუთის მიწოდებას. „აიას" კი, თითქოს „თბილსრესისთვის" უნდა მიეწოდებინა სხვა საქონელი, რაზეც ხელშეკრულებაში არაფერი იყო მითითებული.

ბადრი დარჩიამ ვლადიმერ დევისაშვილთან წინასწარი შეთანხმებით, ისარგებლა რა ყალბი ხელშეკრულებით, 27 თებერვალს წერილით მიმართა საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტს სამი ვაგონ-ცისტერნის გამოყოფის თაობაზე, მიმართვის მიხედვით მაზუთი ვითომ ეგზავნებოდა საწარმოო გაერთიანება „ქუთაისპურს". შემდეგ გაფორმდა სარკინიგზო საბუთები ხადგურ გარდაბანში, გაიტაცეს 160 ტონა მაზუთი და გადასცეს შპს „აიას". ამასთან დადგინდა, რომ დვალიშვილს, მაზუთის შეძენის მიზნით, ფირმის სალაროდან აღებული ჰქონდა 13 მილიარდი კუპონი, რომელსაც ქალაქ თბილისში გაუკეთეს კონვერტაცია და გამოიყენეს როგორც ვაგონების გამოსყიდვის, ისე გატაცებული მაზუთის გადაზიდვისთვის. 2 ათასი ამერიკული დოლარი კი დავით გვენეტაძემ გადასცა ვლადიმერ დევისაშვილს.

გარდა ამისა, დადგინდა, რომ დევისაშვილმა და მის მოადგილეებმა — კაპანაძემ და ონიანმა, წინასწარი შეთანხმებით, 1995 წლის 25 სექტემბერს თბილსრესიდან გაიტაცეს ერთი ვაგონი ცისტერნა — 60 ტონა მაზუთი, რომელიც 2 ათას ამერიკულ დოლარად მიჰყიდეს საჩხერის პურის ქარხნის დირექტორს ბადრი კომლაძეს და ყალბი სარკინიგზო საბუთების გაფორმებით გადაზიდეს საჩხერეში.

საწარმოო გაერთიანება თბილსრესში მიმდინარეობს საფინანსო საქმიანობის დოკუმენტური რევიზია. დადგინდა, რომ 1994-95 წლებში ევროგაერთიანების სახელით, ჰუმანიტარული დახმარების სახით თბილსრესში მაზუთის მიწოდება ხდებოდა ირლანდიის ფირმა „კლარიდის" მეშვეობით. ამ ფირმას უნდა შემოეტანა 38 ათას 500 ტონა მაზუთი. 1994 წლის 10 აგვისტოს რუსეთის მთავრობის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი სამთავრობო კრედიტით თბილსრესში მაზუთი შემოჰქონდა ქალაქ მოსკოვში არსებულ დახურული ტიპის სააქციო საზოგადოება „სანდოს", რომელსაც თბილსრესის დირექციის მიერ კრედიტის ათვისების ნაწილში უსაფუძვლოდ ჩათვლილი აქვს ფირმა „კლარიდის" მიერ 1994 წლის 3 სექტემბერს ჰუმანიტარული დახმარებით შემოტანილი 3 ათას 700 ტონა მაზუთი.

თბილსრესში, ფაქტობრივად, არ წარმოებდა ჰუმანიტარული დახმარებით შემოსული საწვავის აღრიცხვა. ამასთან, დოკუმენტური რევიზიის წინასწარი მონაცემებით აღმოჩნდა 3 ათას 500 ტონამდე ზედმეტი მაზუთი, რაც დამნაშავე პირებს შესაძლებლობას აძლევდა, დიდი რაოდენობით დაეტაცათ სახელმწიფოს კუთვნილი მაზუთი, რომელსაც სხვადასხვა ორგანიზაციებსა და პირებზე ყიდდნენ, ხოლო მიღებულ თანხებს ითვისებდნენ.

გამოძიებას ართულ[...] ის მდგომარეობა, რომ, [...] უხედავად ჩატარებ[...] ღონისძიებებისა, ვერ და[...] გინდა, საერთოდ სად [...] ბოდა თბილსრესში ჰუმანი[...] ტარული დახმარებით შე[...] მოსული მაზუთის აღრი[...] ხვა და ვის ევალებოდა [...]

ამჟამად გამოძი[...] გრძელდება. მიმდინარე[...] დამატებითი შემოწმებ[...] ჩადენილი დანაშაულის [...] ქტებზე წინასწარ პატიმ[...] რობაში იმყოფებიან: საწა[...] რმოო გაერთიანება თბილ[...] სრესის გენერალური დი[...] რექტორი ბადრი დარჩია[...] სათბობ-სატრანსპორტ[...] საამქროს უფროსი ვლადი[...] მერ დევისაშვილი, [...] მოადგილეები ავთანდ[...] ონიანი და თემურ კაპან[...] ძე, გაერთიანებული ქარ[...] თული ბანკის ქუთაი[...] მე-15 ფილიალის სავალ[...] ტო ოპერაციების გან[...] ფილების ყოფილი უფრ[...] ავთანდილ სიხარულიძ[...] უმუშევარი თეიმურაზ [...] ეზიანიძე. გაცემულია [...] რეთვე, სანქცია თეიმურაზ [...] ქობულაძის დაპატიმრ[...] შესახებ. ტარდება [...] ძიებები მათი თანამონ[...] ლე სხვა პირების დ[...] ვებლად.

# «თუ ჩვენ ვერ შევძლებთ ნორმალურად გამოზამთრებას, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ უძლურები ვართ»

...ში გაიმართა მთავრობის ...ხდომა, რომელსაც უძღ...ა საქართველოს პრეზიდენტი ...შევარდნაძე. სხდომის ...წესრიგში იყო შემდეგი საკი...: „სახელმწიფო ეკოლოგიური ...ტიზის შესახებ" — კანონპრო...; „სელექციური მიღწევების გა...ისა და დაცვის შესახებ" — ...პროექტი. ინფორმაციები: სა...თბობ-ენერგეტიკული კო...ის 1996-1997 წლების შემოდ...ზამთრის სეზონისთვის მზადების ...ბათა შესახებ; საქართველოს ...სისტემის რესტრუქტურიზაციის მიმდინარეობის შესახებ; პურპრო...ქტების კორპორაციის რეორგანი...ის მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს გენერალური პრო...ის მოვალეობის შემსრულებ... რევაზ ყიფიანმა გააკეთა ინფორ...ა თბილისში თანამდებობის ...თა დანაშაულებრივ ქმედებათა ...ბის შესახებ.

...ფამოსა და ბუნებრივი რესუ...ის დაცვის მინისტრმა ისაუბრა ...ურიო ექსპერტიზის შესახებ" ...პროექტზე. პროექტი შედგება ...ისგან. სახელმწიფო ეკოლო... ექსპერტიზის ძირითადი პრო...: დასახული საქმიანობის ...მდე გარემოზე მისი ზეგავ...ის შეფასების კომპლექსურობა — ...ტიზის ჩატარებაზე უშუალებით... გარემოსა და ბუნებრივი ...ების დაცვის სამინისტროს ...ტიზა ფინანსირდება მეწარმე ...ის მიერ. ხსენებული კანონის ...ისთვის პასუხისმგებლობა ...საქართველოში მოქმედი ად...ციული, სამოქალაქო და ...საქართველოს კანონმდებლო...ის შესაბამისად.

...კონზე დამტკიცდა კანონპრო... და დასამტკიცებლად გადაეგ... საქართველოს პარლამენტს.

...უარდ შევარდნაძის წინადადე... მომზადდება პრეზიდენტის ბრძა... „სელექციური მიღწევების ...ის და დაცვის შესახებ.

...თბობ-ენერგეტიკის მინისტრმა ... ზუბიტაშვილმა ისაუბრა სათ...ენერგეტიკული კომპლექსის 1996-...ის შემოდგომა-ზამთრის სე...ის მზადების ღონისძიებათა ...გაზაფხულის დადგომისთა... მომზადდა პროგრამა, რომელიც ... ყველა ასპექტს მოიცავს ...ებულად უსახსრობისა, შეიძ...ოქის, ძირითადში ხრულდება. ... დავით ზუბიტაშვილის თქმით, ...ბისთვის ბოლომდე ჯერ კიდევ ...ულია.

...ლეისოდ სარემონტო სამუშა... მიმდინარეობს ჰიდროელექტრო...ებში: ენგურჰესში, რიონჰესში, ...ში, ვარციხეჰესების კასკადზე ...ობიექტებზე. აღდგენილია ...ენერგოსისტემასთან დამაკა... 500-კილოვოლტიანი მა...ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი „კავკასიონი". გერმანიის ფირმის დახმარებით დაიწყო სამუშაოები ენერგოსისტემის აღმოსავლეთ ნაწილში 500-220 კილოვოლტის საკვანძო ქვესადგურებზე. მიმდინარეობს წყალსაცავების შევსება მარეგულირებელ წყალსაცავებში. განახლდა ელექტროენერგიის მიწოდება თურქეთში. აღდგენილია პარალელური მუშაობა აზერბაიჯანის ენერგოსისტემასთან. საგულისხმოა, რომ ივლისიდან 12-15 მეგავატის ოდენობის ელექტროენერგია მიეწოდება ცხინვალს. ბუნებრივი აირის მისაღებად მომზადდა გლდანის, ვარკეთილის, თემქის, ვაზისუბნის, დიღმის მასივის ზოგიერთი მიკრორაიონი. ბუნებრივი აირი მიეწოდება 41 საწარმოს და დაწესებულებას, მათ შორის, სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებს, 4 მაღლივ საცხოვრებელ კორპუსს (300 ოჯახს) გაზის ახალი მრიცხველების გამოყენებით.

სარემონტო სამუშაოების სრულყოფილად წარმართვას, ისევ და ისევ უსახსრობა განაპირობებს. რეალიზებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდაში სერიოზული წინსვლა შეიმჩნევა, მაგრამ მიღწეული შედეგები ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს ისეთ აუცილებელ მოთხოვნებს, როგორიცაა: საწვავის შეძენა, ხელფასების დროული გადახდა, სარემონტო სამუშაოები და სხვა. მიუხედავად ამისა, სისტემა იმ დონეზეა მზად, თუკი მომხმარებლები თუნდაც დღევანდელი მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს გადაიხდიან, გამართულად იმუშავებს.

მხოლოდ სარემონტო კომპანიის ჩატარებას და სათბობის შეძენას, დაახლოებით, 50-60 მილიონი ლარი სჭირდება. ყოველთვიურად საქენერგო აწვდის 10 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების ელექტროენერგიას. გადახდის შემთხვევაში ზემოხსენებული პრობლემები მოიხსნებოდა. შედეგ თვის განმავლობაში მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღებამ 32 პროცენტი შეადგინა.

ეკონომიკის მინისტრმა ლადო პაპავამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ მოხმარებული ელექტროენერგიის და წყლის საფასურის დაქვითვა შესაძლოა, ხელფასებიდან მოხდეს, მაგრამ არა უმეტეს მთლიანი ხელფასის 20 პროცენტისა. მით უმეტეს, რომ არასაბიუჯეტო ორგანიზაციებში, რომლებიც ფუნქციონირებენ, ხელფასები სოლიდურია.

იმისთვის, რომ ენერგოსისტემამ ზამთარში შედარებით ნორმალურად იმუშაოს, საჭიროა 280 ათასი ტონა მაზუთი. დღეისთვის კი ადგილზეა 20 ათასი ტონა. 60 ათას ტონას, ჰუმანიტარული დახმარების სახით, აშშ მოგვაწვდის, 13 ათას ტონას შემოიტანენ კონსიგნაციით, 21 ათასი ტონა, შარშანდელი ვალის ანგარიშში, შემოსატანი აქვს ფირმა „სანდოს". აღსანიშნავია, რომ გრაფიკი, რომლის მიხედვითაც ფირმა „სანდოს" მაზუთი უნდა შემოეტანა, დარღვეულია და დღემდე არც ერთი ტონა არაა შემოტანილი.

შემოდგომა-ზამთრის სეზონისთვის შეძლებისდაგვარად ემზადება სათბობ-ენერგეტიკული სექტორის სხვა დარგებიც. დამტკიცებული გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს სამუშაოები დეპარტამენტ „საქნავთობის" სისტემაში, დამთავრდა თელეთის №1 ჭაბურღილი. ნინოწმინდის საბადოზე ინტენსიურად დაიწყო ნავთობის მოპოვება. ამჟამად დღეღამური მოპოვება 400 ტონას შეადგენს.

როგორც სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა განაცხადა, თხევადი გაზითა და ნავთობპროდუქტებით მომარაგებაში სერიოზული პრობლემები არაა. ამ საქმეში ჩართულია კერძო ფირმები და კომპანიები. ფასებიც ნორმალურია. მისი თქმით, თხევადი გაზი ბინაზე მიტანით ღირს 6 ლარი (ჩვენ გვაქვს სარწმუნო ინფორმაცია, რომ თხევადი გაზის სახლში მიტანა 6 ლარი არ ღირს — „კავკასიონი"), ჭირს გაზის ბალონების ტრანსპორტირება მესტიის, ომალოს რაიონებში.

მაღალმთიან რაიონებში დაიწყო ნახშირის შეზიდვა. გამართულ მდგომარეობაშია გაზის ჩამოსასხმელი სადგურები. გადახდის შემთხვევაში მაღალმთიან რაიონებში შეიქმნება შევსებული ბალონების მარაგიც. მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ბატონმა დავითმა ბრძანა, ამ მნიშვნელოვან საქმეში, ისევე, როგორც საერთოდ შემოდგომა-ზამთრის სეზონისთვის მზადებაში, ინერტულობას იჩენენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, რაც მეტად საშიშ პერსპექტივებს ქმნის. რეგიონების, რაიონების და ქალაქების ხელმძღვანელებს ორჯერ გაეგზავნათ წერილი, რათა შესაბამის ორგანოებს გაეფორმებინათ ხელშეკრულება და მოეგვარებინათ ღირებულების ანაზღაურების საკითხი. სამწუხაროდ, დღემდე მხოლოდ ორი რაიონის წარმომადგენელი გამოეხმაურა ამ მნიშვნელოვან საქმეს.

მწვავე დისკუსია გამოიწვია მოსახლეობისთვის ელექტროენერგიის ღირებულების 1,5 თეთრით გაზრდის საკითხმაც. სავარაუდოდ, ერთი კილოვატსაათი ელექტროენერგია 4 თეთრი ეღირება და დავით ზუბიტაშვილის აზრით, მსხვილ საწარმოებთან ტარიფების გათანაბრება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს თანხების ამოღებას როგორც მოსახლეობიდან, ისე საწარმოებიდან. თუმცა, მინისტრის ამ მოსაზრებას არ დაეთანხმა ედუარდ შევარდნაძე, ვინაიდან, ელექტროენერგიის დეფიციტის პირობებში ფასის გაზრდა სასიკეთო შედეგებს ვერ მოიტანს. ელექტროენერგიის ღირებულების მომატება მეტროს, რკინიგზის ტრანსპორტის გაძვირებას გამოიწვევს, რაც კიდევ უფრო მძიმედ დააწვება გაჭირვებულ მოსახლეობას.

იქვე ფინანსთა მინისტრმა დავით იაკობიძემ კორექტივა გააკეთა: „როცა ამბობენ, რომ ტარიფების გათანაბრება მოსახლეობასა და ორგანიზაციებს შორის სოციალურ სიდუხჭირეს გამოიწვევს, ეს დემაგოგიაა".

პრეზიდენტმა კი ფინანსთა მინისტრის ასეთი განცხადება მკაცრად შეაფასა: „როცა სოციალურ საკითხებზე მსჯელობთ, სიტყვა დემაგოგია არ იხმაროთ. ათი წლის შემდეგ, როცა ხალხს ბევრი ფული ექნება, შეგიძლიათ, თქვათ".

გადაწყდა, რომ სატარიფო პოლიტიკის უზრუნველსაყოფად შეიქმნება სახელმწიფო კომისია.

ედუარდ შევარდნაძემ ბრძანა, რომ შემოდგომა-ზამთრის სეზონისთვის აუცილებელია ზაფხულში და შემოდგომაზე მიღწეული დონის შენარჩუნება. მისი თქმით, თუ ვერ შევძლებთ ნორმალურად გამოზამთრებას, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ უძლურები ვართ.

ნიდერლანდების მიერ გამოყოფილი 5 მილიონი დოლარის დახმარება გამოიყოფა სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს სათბობის შესაძენად. „სისტემამ ისე უნდა იმუშაოს, რომ ამ კრედიტის დაბრუნება შეძლოს", — თქვა პრეზიდენტმა.

სოფლის მეურნეობის და სურსათის მინისტრმა ბაკურ გულუამ ვრცელი ინფორმაცია გააკეთა პურპროდუქტების კორპორაციის რეორგანიზაციის შესახებ. მან აღნიშნა, რომ სადღეისოდ 50 ათასი ტონა ხორბალია, 30 ათასი ტონა კი მალე შემოვა საქართველოში. არსებობს ფულადი რესურსება, რომელიც 6-8 დღის განმავლობაში საჭირო რაოდენობის ხორბლის შეძენის შესაძლებლობას იძლევა. ბაკურ გულუამ განაცხადა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა გაამართლეს საქართველოს მხარე. ფრანგული ფირმისგან, რომელმაც ვერ უზრუნველყო ხარისხიანი ხორბლის მოწოდება, საქართველო 10 ათასი ტონა ხორბლის სრულ კომპენსაციას მიიღებს.

ქალაქის მერმა ბადრი შოშიტაიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ უხარისხო პურის საკომპენსაციოდ მოსახლეობას უფასოდ დაურიგდეს სამ-სამი კილოგრამი პური. ქალაქის მერის წინადადებას მხარი დაუჭირა პრეზიდენტმაც.

ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ პურპროდუქტების დავალიანება 21 მილიონი ლარია. საჭიროა, შემუშავდეს მექანიზმი, რომელიც კომერციული სტრუქტურებიდან თანხების ამოღების შესაძლებლობას მოგვცემს.

ედუარდ შევარდნაძის აზრით, აუცილებელია შეიქმნას საგანგებო კომისია, რომელიც წლის ბოლომდე უზრუნველყოფს თანხების ამოღებას.

მან ყურადღება გაამახვილა საექსპორტო პოტენციალის გაზრდაზე, შიდა ბაზრის დაცვაზე, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ეროვნული ვალუტის სტაბილიზაციას.

გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებელმა რევაზ ყიფიანმა გააკეთა ინფორმაცია თბილისში თანამდებობის პირთა დანაშაულებრივ ქმედებათა გამოძიების შესახებ.

- შესაძლოა, მოხმარებული ელექტროენერგიის და წყლის საფასური ხელფასებიდან დაიქვითოს, მაგრამ არა უმეტეს 20 პროცენტისა.
- „თხევადი გაზი ბინაზე მიტანით ღირს ექვსი ლარი", — აცხადებს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით ზუბიტაშვილი.
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ინერტულობას იჩენენ შემოდგომა-ზამთრის სეზონისთვის მზადებაში.
- მოსალოდნელია ელექტროენერგიის ღირებულების გაზრდა 1,5 თეთრით. სავარაუდოდ, ერთი კილოვატსაათი ელექტროენერგიის ღირებულება 4 თეთრი იქნება.
- საქართველოს პრეზიდენტი ამ ეტაპზე ელექტროენერგიის ღირებულების გაზრდის წინააღმდეგია.
- შესაძლოა, მოსახლეობას უხარისხო პურის საკომპენსაციოდ სამ-სამი კილოგრამი პური უფასოდ დაურიგდეს.

**დიანა ბაბროშვილი**

---

# ...ლიციამ ...უდენტური ...გადელი აიღო

...ხრეთ კორეაში ...ნსეს უნივე...ის სტუდენტებისა ...სამართალდამცავი ...ურების წარმო...ლთა დაპირისპი...როგორც ადრე გა... მათ შორის კონ... განაპირობა მო...ახალგაზრდობის ...ტო მოთხოვნამ, ...ეთ და სამხრეთ ...დაუყოვნებლივ ...ებისა და სამხ...რეიდან 37 ათა...მ სამხედრო კო...ყვანის შესახებ. ...ციამ ოთხჯერ ...ერ.ში სტუდე...ტადელზე და ...ბოლო შრტუმი, ...ძლიერი ცრემ... გაზის „აკომპო..." მიდიოდა, გა...ედეგიანი. საერთო ჯამში, დაკავებულია 5.670 სტუდენტი. ამჟამად მიმდინარეობს მათი ინტენსიური დაკითხვა. რამდენიმე დაკავებული „მეამბოხე" ეროვნული უშიშროების დარღვევის „სტატიის ქვეშ" ხვდება. ეს კი სასჯელის უმაღლეს ზომას — სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს.




# ავარია კუვეიტში



აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ვერტმფრენმა „სი კინგმა" კუვეიტში კატასტროფა განიცადა. ეკიპაჟის ერთი წევრი დაიღუპა, სამი დაშავდა. ვერტმფრენი ასრულებდა სანვრთნელ ფრენას, როდესაც მის ძრავას ცეცხლი გაუჩნდა, ექსტრემალური დაჯდომის მცდელობა კი უშედეგო აღმოჩნდა...

# ხანძარი სასტუმროში




საფრანგეთის ქალაქ კლერმონ-ფერანში ცეცხლი გაუჩნდა სასტუმროს შენობას. ხანძრის შედეგად დაიღუპა ოთხი და მძიმედ დაშავდა 14 ადამიანი. განგაში სასტუმროში დაახლოებით დღის ორ საათზე ატყდა. ვიდრე მაშველთა სამსახურები შენობამდე მიაღწევდნენ, შეიდსართულიანი შენობა თითქმის მთლიანად ცეცხლის ალში გაეხვია. დაღუპულთაგან ორი ფანჯრიდან გადახტომის შედეგად გარდაიცვალა. ხანძრის მიზეზები ჯერჯერობით უცნობია.

# არჩევნები მწვანე კედარის ქვეყანაში: სენსაცია თუ კანონზომიერება?



სენსაციური ინფორმაცია მოვიდა ახლო აღმოსავლეთიდან: ლიბანში, საპარლამენტო არჩევნების პირველ ეტაპზე დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს პროსირიული მთავრობის მომხრეებმა ე.ი. ამიერიდან დამასკო არაპირდაპირ კონტროლს განახორციელებს მეზობელი ქვეყნის პოლიტიკაზე. თუმცა, ბევრმა მიმომხილველმა ლიბანელთა ასეთი არჩევანი სულაც არ ჩათვალა მოულოდნელად. მათი აზრით, სენსაცია სწორედ სირიული ორიენტაციის ძალების მარცხი იქნებოდა — ბეირუთს ხომ უკვე დიდიხანია დამასკოს შვილობილს უწოდებენ. აქ საქმე მარტო საზღვრების ერთიანობასა და საერთო აღმსარებლობაში, ან სირიული 35 ათასიანი სამხედრო კონტინგენტის ლიბანის ტერიტორიაზე დიდი ხნის განმავლობაში ყოფნაში როდია — სწორედ დამასკომ თავის დროზე, ხელის ერთი დარტყმით აღკვეთა სამოქალაქო ომი მწვანე კედარის ქვეყანაში, როდესაც გაანადგურა ქრისტიანების არმია მეამბოხე გენერალ მიშელ აუნის მეთაურობით. სირიელების მიერ დასმულ პრეზიდენტ ილიას გრაუის კი დღესაც სირიელი (და არა ლიბანელი) ჯარისკაცები იცავენ. ძნელი სათქმელია, ლიბანში სირიელების მიმართ შიშის სინდრომი მოქმედებს თუ პატივისცემის (ალბათ, ორივე ერთად), მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ისრაელის მთავარი მტერი- მოძრაობა „ჰისბულაჰი" ლიბანში თავს უშიშრად სწორედ სირიელთა გამოსარჩლების წყალობით.

## ვახტანგ რჩეულიშვილი:
# «მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭს ვიყრი. მხოლოდ...»

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრის, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის რამაზან აბდულატიპოვის მიწვევით მოსკოვში ხანმოკლე ვიზიტით იმყოფებოდნენ საქართველოს სოციალისტური პარტიის, პოლიტიკურ ბლოკ „მემარცხენე ცენტრის" და საპარლამენტო კოალიცია „საქართველოს რეგიონების" თავმჯდომარე ვახტანგ რჩეულიშვილი და საქართველოს სოციალისტური პარტიის გენერალური მდივანი თეიმურაზ გამცემლიძე. მოსკოვში ისინი შეხვდნენ რუსეთის პოლიტიკური წრეების წარმომადგენლებს. ვიზიტის შესახებ მათ ისაუბრეს 20 აგვისტოს გამართულ პრესკონფერენციაზე.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ტიპის პარტიების ხელმძღვანელები, როგორც ვახტანგ რჩეულიშვილმა აღნიშნა, მიესალმებიან საქართველოში მემარცხენე ცენტრისტული ძალების ერთ ბლოკად გაერთიანებას. ანალოგიური მცდელობები ყოფილა რუსეთშიც, მაგრამ, ჯერჯერობით, ივან რიბკინის, გავრილ პოპოვისა და სხვათა ძალისხმევას შედეგი არ მოაქვს. მემარცხენეთა ბანაკში აქტიურად მოღვაწეობს ყოფილი პრეზიდენტობის კანდიდატი ვლადიმერ ბრინცალოვი, რომლისთვისაც ვახტანგ რჩეულიშვილს „შინაურულად" არასერიოზული პოლიტიკოსი უწოდებია.

სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის მოადგილე ა.ჩილინგაროვთან და სათათბიროს ფრაქცია „რუსეთის რეგიონების" ხელმძღვანელ ს.მედვედევთან მსჯელობის შემდგომ გადაწყდა, რომ საპარლამენტო კოალიცია „საქართველოს რეგიონებსა" და ფრაქცია „რუსეთის რეგიონებს" შორის ურთიერთობები გაფართოვდება. წელიწადში ორჯერ თბილისში და მოსკოვში გაიმართება დეპუტატთა ჯგუფების ერთობლივი სხდომები, გაიცვლება ინფორმაციები ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემის, სახელმწიფოთა ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის შესახებ.

რუსეთის დუმის 450 წევრიდან 102 დეპუტატი გაერთიანდა კავკასიისა და რუსეთის სამხრეთის პრობლემების საბჭოში, რომელსაც დუმის თავმჯდომარის მოადგილე მ.გუცერიევი ხელმძღვანელობს (მ.გუცერიევი პარლამენტში ვ.ჟირინოვსკის პარტიის სიით გავიდა. როგორც ამბობენ, მან დეპუტატის მანდატში მილიონი დოლარი გადაიხადა — აღნიშნა ვ.რჩეულიშვილმა).

ბატონი ვახტანგ რჩეულიშვილის თქმით, აფხაზი სეპარატისტების დელეგაციას მ.გუცერიევისთვის თხოვნით მიუმართავს — აფხაზეთის ეკონომიკური ზონის შექმნაში დაგვეხმარეთო, რის შესახებაც მ.გუცერიევს დახმარება აღუთქვამს, ოღონდ ერთი პირობით: თუკი ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თანხმობაც იქნებაო. „მ.გუცერიევის აღნიშნული მოქმედება არის ჭეშმარიტი პოლიტიკური და ფინანსური მიდგომა საკითხისადმი", — აღნიშნა ვახტანგ რჩეულიშვილმა.

რამაზან აბდულატიპოვის საიუბილეო საღამოს კავკასიის მთის ავტონომიური რესპუბლიკების მაღალი პოლიტიკური ეშელონების წარმომადგენლები დაესწრებიან. მათთან შეხვედრის შემდეგ აშკარად იგრძნობოდა საქართველოსადმი დადებითი დამოკიდებულება. „იმ სუფრაზე საქართველოს სადღეგრძელოს დალევა გარკვეული მიღწევაა", — მიაჩნია ბატონ ვახტანგს.

საქართველოს სოციალისტური პარტია, როგორც გენერალურმა მდივანმა თეიმურაზ გამცემლიძემ აღნიშნა, შავი ზღვის აუზის რეგიონის ქვეყნების მემარცხენე-ცენტრისტული პოლიტიკური პარტიების მუდმივმოქმედი ასამბლეის შექმნის იდეით გამოდის. ბულგარეთის „სამოქალაქო ალიანსთან" ერთად გაფორმებული კომუნიკეს შემდეგ ამ იდეით დაინტერესდნენ რუმინეთის, ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფოების, სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის მემარცხენეები. ნოემბრის დასაწყისისთვის განზრახულია რუსეთის სოციალისტურ პარტიასთან ხელშეკრულების დადება თანამშრომლობის შესახებ, რაც, ფაქტობრივად, ასამბლეის შექმნის დასაწყისიც იქნება. ფინანსურ დახმარებას ასამბლეის შესაქმნელად ქართველ სოციალისტებს რუსები ჰპირდებიან, „თუმცა არსებობს ფინანსირების მეორე წყაროც — „მოქალაქეთა კავშირის ასამბლეაში გაწევრიანება", — იხუმრა ბატონმა ვახტანგ რჩეულიშვილმა.

პრესკონფერენციის ბოლოს ჟურნალისტების მიერ დასმულ შეკითხვაზე — საქართველოს სოციალისტური პარტიის, პოლიტიკური ბლოკის „მემარცხენე ცენტრის" ლიდერს საქართველოში ევროპული სოციალიზმის დამკვიდრება ხომ არ გაუადვილდება გაპრეზიდენტების შემთხვევაში — მან აღნიშნა, რომ თუკი მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭს იყრის ედუარდ შევარდნაძე, იგი არ შეეცილება მას ამ პოსტს, პირიქით, დაეხმარება, მაგრამ თუკი ჯანმრთელობის თუ სხვათა გამო ბატონი ედუარდი კენჭს ვერ იყრის, მაშინ მემარცხენეთა ერთპიროვნული ლიდერი მზად იქნება, იბრძოლოს პრეზიდენტობისთვის.

ბადრი კაკაბაძე

# «ქურთები ჩემი ხალხია და თუ მინდა, დავხოცავ», —
## აცხადებს სადამ ჰუსეინი

მეორე გვერდიდან

და თანაც, ქურთების მასობრივ ჟლეტას შინაურ საქმედ განიხილავს, რაც არც ერთი სხვა სახელმწიფოს საქმე არ არისო.

ქურთების გაერთიანებულ ძალისხმევას ჰუსეინის რეჟიმის წინააღმდეგ ბოლო მოუღო 1994 წელს ატეხილმა სამოქალაქო ომმა. ომის შედეგად განდევნილ იქნა ბარზანის ხელისუფლება და სათავეში ქურთისტანის დემოკრატიული პარტია მოვიდა, მაგრამ სამოქალაქო ომი დღესაც გრძელდება. ბარზანი იბრძვის დაკარგული ხელისუფლების იარაღის ძალით დაბრუნებისთვის. დღეს რეალობა შემდეგია: ტალაბანის რეჟიმი აკონტროლებს დედაქალაქ ერბილს და ქურთისტანის დიდ ნაწილს და შედარებით მცირე ტერიტორიას აკონტროლებს განდევნილი ბარზანი. პარლამენტი ამჯერად შევებულებაშია. შემოდგომაზე ან ახალი საპარლამენტო არჩევნები გაიმართება, ან ლეგიტიმურ პარლამენტს 1 წლით უგრძელებენ უფლებამოსილებას.

საერთაშორისო პოლიტიკაზე საუბრისას იზადინ მუსტაფა რასულმა აღნიშნა, რომ თუკი რეგიონს დატოვებს აშშ, რასაც დაჟინებით ითხოვენ ერაყი და ირანი, ქურთისტანის დამოუკიდებლად არსებობას თურქეთის ხელისუფლება შეუწყობს ხელს. თურქეთის პრემიერი ერბაქანი გამოდის წინადადებით — იმ სახელმწიფოს მეთაურები, რომელთა ფარგლებშიც კომპაქტურად ცხოვრობენ ქურთები (თურქეთი, ირანი, ერაყი,. სირია) შეიკრიბონ და მეტ-ნაკლებად მოაგვარონ ქურთული საკითხი.

ქურთი ხალხის პრობლემებზე საუბრისას, იზადინ მუსტაფა რასულმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ თურქეთი იგნორირებას უკეთებს მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქურთებს და მათ მთის თურქებს უწოდებს. თურქეთის მოქალაქის პასპორტში ეროვნება არ ალინიშნება, ყველას თურქად მიიჩნევენ. თუმცა, ქურთებს ხელისუფლებაში მაღალი პოსტებიც უკავიათ. თურქეთის ყოფილი პრეზიდენტი თურგუთ ოზალი ქდპ-ს ლიდერს ტალაბანს შინაურულად გამოსტყდომია, რომ და ქურთი მყავსო, ხოლო „რამდენადაც ვიცი, დემირელს დედაც და მამაც ქურთი ჰყავსო", — აღნიშნა იზადინ მუსტაფა რასულმა. მისივე თქმით, პოლიტიკური კარიერისთვის თურქეთში დამღუპველია ქურთული წარმომავლობა. ასე მაგალითად, თურქეთის მშენებლობის ქურთი მინისტრი ეჯავითი იმის გამო, რომ თავისი წარმოშობის შესახებ გერმანიაში ხმამაღლა განაცხადა, ჯერ მინისტრობიდან მოხსნეს, ხოლო შემდეგ 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

კომპენსაციის სახით ერაყის დღევანდელმა რეჟიმმა ქურთებს 150 მლნ. დოლარი უნდა გამოუყოს იმ თანხიდან, რომელსაც ბენზინის ექსპორტის მეშვეობით მიიღებს. შტატების მიერ ერაყისთვის გამოცხადებული ემბარგოს და, თავის მხრივ, ერაყის მიერ ქურთისტანისთვის გამოცხადებული ემბარგოს გამო, ქურთისტანი ორმაგი წნეხის ქვეშ მოექცა, რის გამოც მიმდინარეობს ქურთების მასობრივი მიგრაცია ქვეყნის საზღვრებს გარეთ.

# რუსეთი ახალი მესაჭეების ხელშია

რუსეთი მოუთმენლად ელოდა ახალი მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობის გამოცხადებას. დიდ ინტერესს იწვევდა საკითხი, თუ ვინ შევიდოდა მის რიგებში. გამოითქვა არაერთი საინტერესო მოსაზრება და შეიძლება ითქვას, რომ, საბოლოო ჯამში, პროგნოზები, ძირითადად, არ გამართლდა. მიუხედავად იმისა, რომ კაბინეტში ახალი და უცხო არავინ აღმოჩნდა, მისი ბევრი წევრის არჩევა, ცოტა არ იყოს და, მოულოდნელი იყო. გაოცებას იწვევს მინისტრთა და ვიცეპრემიერთა „სიუხვეც". თუმცა, როგორც რუსეთის პრემიერმინისტრმა ვიქტორ ჩერნომირდინმა აღნიშნა, რეფორმატორული მუშაობის წყალობით, სამინისტროებისა და სამთავრობო უწყებათა რიცხვი 89-დან 66-მდე შემცირდა, აქედან სამინისტროებმა 25-დან 24-მდე იკლო.

კაბინეტის შემადგენლობაში სამი ვიცეპრემიერია: ალექსეი ბოლშაკოვი, ვიქტორ ილიუშინი და ვლადიმერ პოტანინი. როგორც აღნიშნავენ, ეს მიღწევაა — ელოდნენ უფრო მეტს — ოთხს, ან სულაც — ხუთს. დასახელებულ პიროვნებათაგან უპირატესობა ბოლშაკოვს მიენიჭა. იგი, როგორც თვით ჩერნომირდინმა განაცხადა, პრემიერმინისტრის მარჯვენა ხელი იქნება.

ბოლშაკოვის ასეთი წარმატება საკმაოდ მოულოდნელია, ვინაიდან რუსეთში მოელოდნენ, რომ პირველი ვიცეპრემიერის პოსტს კვლავ ვლადიმერ კადანიკოვი დაეუფლებოდა, მაგრამ პროგნოზი არ გამართლდა — ჩერნომირდინმა გაწეული მუშაობისა და დახმარებისთვის მადლობის გადახდის შემდეგ, ზრდილობიანად აგრძნობინა კადანიკოვს, რომ კაბინეტში მისთვის ადგილი აღარ მოიძებნა.

ბოლშაკოვის წინსვლა, ალბათ, დიდწილად, ჩუბაისის მისდამი კეთილგანწყობამაც განაპირობა. ეს ორი პოლიტიკოსი უკვე დიდი ხანია იცნობს ერთმანეთს. ისინი 1990-91 წლებში ერთად მუშაობდნენ და ამდენად, თუ გავითვალისწინებთ ჩუბაისის უდიდეს გავლენას არა მხოლოდ ახალი კაბინეტის ჩამოყალიბებაზე, არამედ თვით პრეზიდენტზეც, ძნელი მისახვედრი არ იქნება, თუ რატომ გაუღიმა ბედმა ბოლშაკოვს.

რაც შეეხება ილიუშინს, იგი „სოციალურ ბლოკზე" იქნება პასუხისმგებელი, ხოლო პოტანინი — ფინანსურ-ეკონომიკურ ბლოკზე. პოტანინზე რუსეთში დიდ იმედებს ამყარებენ. ისიც, თავის მხრივ, თავისი კოლეგებისგან მოელის მხარდაჭერას. იგი მხოლოდ მსხვილი ბანკირი როდია. სწორედ მას ეკუთვნის საგირაო აუქციონთა ჩამოყალიბების იდეაც. თუ ამ რევოლუციური რეფორმის განხორციელებისთვის საჭირო საშუალებების მასშტაბს გავითვალისწინებთ, შეიძლება ითქვას, რომ პოტანინის მთავრობაში შესვლა მისთვის დიდ ნახტომს არ წარმოადგენს, რადგან იგი, გარკვეულწილად, უკვე შედიოდა მთავრობის შემადგენლობაში. მიუხედავად ამისა, კომერსანტის ასეთ დიდ სახელმწიფო პოსტზე დანიშვნა უპრეცედენტოა პოსტსაბჭოეთის ისტორიაში.

აღნიშნულ სამეულს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, მინისტრთა კაბინეტის აპარატის ხელმძღვანელი ვლადიმერ ბაბიჩევი მოსდევს. მას პარლამენტთან თანამშრომლობის კოორდინირება და პოლიტიკურ პარტიებთან ურთიერთობათა წარმართვაც დაეკისრება.

გარდა პირველი ვიცეპრემიერებისა, მთავრობაში შედის რვა ვიცეპრემიერი, რომელთაგან შვიდი უკვე არჩეულია:

პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში, ალექსანდრე ლივშიცი მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეობასთან ერთად ფინანსთა მინისტრის მოვალეობასაც შეითავსებს. ექს პირველი ვიცეპრემიერი ოლეგ ლობოვი მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ბლოკს უხელმძღვანელებს, თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ იგი მომავალში დიპლომატიურ მუშაობაზე „გადართონ". დსთ ქვეყნებთან თანამშრომლობაზე, ეროვნულ, რეგიონულ და სამართალდამცავ პოლიტიკაზე პასუხს ვიცეპრემიერი ვალერი სეროვი აგებს. აგროსამრეწველო კომპლექსისა და გარემოს დაცვის კურატორად კვლავ ვიცეპრემიერი ალექსანდრე ზავერიუხა დატოვეს. თანამდებობა შეინარჩუნა ოლეგ დავიდოვმაც, რომელსაც შიდაეკონომიკური საქმიანობა „მიანდეს". საინფორმაციო პოლიტიკის საკითხები სააგენტო იტარ-ტასის გენერალურ დირექტორს, ვიცეპრემიერ ვიტალი იგნატენკოს კომპეტენციაში შევიდა და მეშვიდეა ბაბიჩევი, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, აპარატის ხელმძღვანელობას გაუძღვება.

ელცინმა და ჩერნომირდინმა მინისტრთა თანამდებობებიც გაანაწილეს, თუმცა, ჯერჯერობით, უცნობია ჯანდაცვის, კულტურის, მრეწველობის და კიდევ რამდენიმე სამინისტროს ხელმძღვანელთა ვინაობა.

მშენებლობის მინისტრად ეფიმ ბასინი დანიშნეს, კავშირგაბმულობის მინისტრად — ვლადიმერ ბულგაკი, განათლების — ვლადიმერ კინელევი, იუსტიციის — ვალენტინ კოვალიოვი, შინაგან საქმეთა მინისტრად — ანატოლი კულიკოვი, შრომისა და სოციალური განვითარების მინისტრად — გენადი მელიქიანი, ატომური ენერგიის სამინისტროს ხელმძღვანელად — ვიქტორ მიხაილოვი, ეროვნული საკითხების და ფედერალური ურთიერთობების საქმეთა მინისტრად — ვიაჩესლავ მიხაილოვი, თავდაცვითი მრეწველობის მინისტრად — ზინოვი პაკი, საგარეო საქმეთა მინისტრად — ევგენი პრიმაკოვი, თავდაცვის მინისტრად — იგორ როდიონოვი, სოფლის მეურნეობის მინისტრად — ვიქტორ ხლისტუნი, ტრანსპორტის მინისტრად — ნიკოლაი ცახი, სამოქალაქო თავდაცვის, საგანგებო მდგომარეობისა და სტიქიურ უბედურებათა შედეგების ლიკვიდაციის საკითხთა მინისტრად სერგეი შოიგუ, ხოლო ეკონომიკის მინისტრად — ევგენი იასინი.

რუსი მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ მთავრობის ახალი შემადგენლობა ... მაინც უფერული და ... ლამაა. გაუგებარია, ... შნავენ ისინი, რა საქ... ახალი პირველი ვიცეპრემიერები, როდესაც მთავრობაში რჩება ხალხი, რომლთაც წარმოდგენილ ... ტორებზე უკეთ შეუძ... საქმის კეთება.

ასეა თუ ისე, ... კაბინეტის ქმედითუნარიანობაზე საუბარი ჯერ ... მათ შესაძლებლობებს ... თის ეკონომიკური კრიზისის დაძლევაზე წარმართულ ... შაობა გამოავლენს.

„კავკასიონის" საინფორმაციო სამსახური

# იბრძვიან გროზნოში და... კრემლის დერეფნებში

...მოვლენები ჩეჩნეთში და მის ...ელივ საოცარი სისწრაფით ...ლება და ვითარდება: ორი ...რის წინ რუსეთის ფედერალუ- ...ძალების პოზიციები ამ რე- ...ნში, თითქოს, საკმაოდ მყარი ...და. ისინი, გროზნოს გარდა, ...თის ტერიტორიის უდიდეს ...ლს აკონტროლებდნენ და შე- ...რალებულ ოპოზიციას „მთებში ...ვას უპირებდნენ", მაგრამ 6 ...სტოს ჩეჩენი მებრძოლების ... რამდენიმე მიმართულებით ...ებულმა წარმატებულმა ...რიმა რუსების სტრატეგია ...ყირა დააყენა და მათ ბა- ... არეულობა და „შინაომი" ...ნეია: სამხედრო-სასიცოცხ- ... გადაეკიდნენ ერთმანეთს ში- ...ნ საქმეთა მინისტრი ანატო- ...კულიკოვი და უშიშროების ...ის მდივანი ალექსანდრე ლე- ... დაიწყო „ჩეჩნეთის კატას- ...ფის" მიზეზების ერთმანეთზე ...ბრალება. კრემლში, იანდარ- ...მასხადოვის ტანდემი, თით- ... სერიოზულ ანგარიშგასაწევ ...დ მიიჩნიეს, მათ გროზნოს ...უხისმგებლობის ზონებად" ...ფა შესთავაზეს და შესაძლე- ...დ ცნეს სამშვიდობო მოლაპა- ...კების განახლება. და აი, ..., კვლავ ახალი შემობრუნე-

...ჩეჩნეთში ფედერალური ძა- ...ის მეთაურის მოვალეობის შე- ...ულებელი გენერალი პულიკო- ... კვლავ გროზნოს დალაშქვ- ... აპირებს და მშვიდობიან ...ხლეობას 48 საათს აძლევს ...ქის დასატოვებლად! ასეთი ...ცხადება მან 19 აგვისტოს, ...ნ ღამით, ჟურნალისტების ...დასწრებით გააკეთა. ულტიმა- ...ის ვადის გასვლის შემდეგ ... გენერალი გროზნოს ცენტ- ... გამაგრებულ ჩეჩნებს, ავია- ... და მძიმე არტილერიის ...ყენებით, მასიური შეტევის ...ებას „დაპირდა" (უცნაურია, ...ამ ფაქტია, რომ ზუსტად ... დღეს, 19 აგვისტოს, დი- ..., ალექსანდრე ლებედი კატე- ...ულად უარყოფდა ჰაერიდან ...ზნოს ბომბარდირების შესაძ- ...ლობას — „ეს მხოლოდ კონ- ...ქტის გამწვავებას გამოიწ- ...", — ამტკიცებდა ჩეჩნეთში ...თის პრეზიდენტის სრულუ- ...ბიანი წარმომადგენელი). შე- ...ვაზე, თუ როგორ აპირებს ...კოვსკი გროზნოს სარდაფე- ...მყოფი მშვიდობიანი მოსახ- ...ბის ინფორმირებას ულტიმა- ...ს თაობაზე, „დროებითმა მე- ...რმა" მშვიდად უპასუხა: „ეგ ...პრობლემა არ არის!"

...სგან მიიღო გენერალმა პუ- ...ვსკიმ თანხმობა თავის გან- ...ვაზე, ჯერჯერობით, უცნო- ...იქნებ მას „ღირსეულად წა- ...ს" აქვს განზრახული და ...ს სიღრმეში დარწმუნებუ- ..., რომ არ მისცემენ განზრა- ...ის რეალიზაციის საშუალე- ...მით უმეტეს, რომ გენერლის ... აგრესიული განცხადების- ...ე არენაზე კვლავ გამოჩნდა ...ური დასის წამყვანი მსახი- ... — ფედერალური დაჯგუფე- ...სარდალი, გენერალი ტიხო- ...ი და თავისი მოვალეობის ...ულებას შეუდგა. ეს გადაწყ- ...ლება მიღებულ იქნა პრემი- ...ერნომირდინის ხელმძღვანე- ...ით გამართულ თათბირზე, ...ესაც ყველა ძალოვანი ...ბის პირველი პირი ესწრე- ... (კულიკოვის, როდიონოვის ...ლებედის ჩათვლით).

... შემთხვევაში, ყველაზე სა- ...ცხო მაინც ის არის, რომ ...ის საკითხზე თათბირს უძ- ...ოდა პრემიერმინისტრი — ...ა, რომელიც ოფიციალუ- ... არ არის დაკავებული ჩეჩ- ... პრობლემის დარეგულირე- ...და არა უშიშროების საბჭოს ...ი, რომელსაც რუსეთის ...იდენტმა კონფლიქტის მოსა- ...ვებლად საკმაოდ ფართო ...მამოსილებანი მიანიჭა. მა- ...ეს მხოლოდ ერთი მხარეა ...ნელი „ჩეჩნური განტოლე-

ბისა", რომლის ფესვებსაც ანალიტიკოსები სამხედრო სფეროზე მეტად პოლიტიკურ კულუარებში ეძებენ.

ასეთ ორომტრიალში საქმის დეტალებში ჩახედულ მიმომხილველებს ფაქტების თანმიმდევრული დალაგებაც კი უჭირთ, მოვლენათა განვითარების პროგნოზირებაზე რომ არაფერი ვთქვათ. მით უმეტეს, რომ მათ მიერ ჯერ კიდევ არ არის „გაშიფრული" უშიშროების საბჭოს მდივნის უპრეცედენტო უფლებამოსილების „ფორმულა". კიდევ უფრო მეტ საგონებელში ჩააგდო ჟურნალისტები რუსეთის პრეზიდენტის ახალმა „რუპორმა" — პრესმდივანმა სერგეი იასტრჟემბსკიმ, რომელმაც ერთ-ერთ ბრიფინგზე განაცხადა: „ალექსანდრე ლებედის ბრძანებები უნდა შეასრულონ ყველა რანგის სამხედრო და სამოქალაქო ხელმძღვანელებმა, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად არიან დაკავშირებულნი ჩეჩნეთის საკითხთან". ასეთ შემთხვევაში გაოცებას იწვევს ზემოაღნიშნული ულტიმატუმის „წარმომავლობა" — ის ან კონსტანტინე პულიკოვსკის დამოუკიდებელი გადაწყვეტილებაა, ან თავდაცვის სამინისტროსთანაა შეთანხმებული, ან მოსკოვის ხელისუფლების რომელიმე სერიოზული ფიგურის ახალი ინიციატივის „გახმოვანებას" წარმოადგენს (უშიშროების საბჭოს მდივნის პრესსამსახურის ხელმძღვანელის განცხადებით, იმასთან, რასაც პულიკოვსკი ამბობს ან აკეთებს, ლებედს არანაირი კავშირი არ გააჩნია).

საბოლოოდ, პულიკოვსკის ულტიმატუმი, მაინც ორ მიზანს უნდა ისახავდეს: 1. მოახდინოს ფსიქოლოგიური ზემოქმედება ჩეჩენ მებრძოლთა ლიდერებზე და მათ რიგებში განხეთქილება შეიტანოს; 2. შემუშავდეს მოსკოვის ერთიანი, კონკრეტული და რეალური პოლიტიკა ჩეჩნეთის შეიარაღებული ოპოზიციის მიმართ.

ამასობაში, ჩეჩენმა მებრძოლებმა საკუთარი ულტიმატუმი წაუყენეს რუსეთს — „ფედერალისტებმა" სამი დღის განმავლობაში უნდა დატოვონ გროზნო. წინააღმდეგ შემთხვევაში, „კონფლიქტის მასპინძლები" ბრძოლების ჩეჩნეთის მთელ ტერიტორიაზე გავრცელებით იმუქრებიან. ამით, ყოველგვარი სამშვიდობო ძალისხმევა, გროზნოს თავზე ტრადიციად ქცეული შავი კვამლისგან განსხვავებით, მყისეულად გაიფანტება. შედეგიც ასეთივე „ტრადიციული" იქნება — ახალი მასობრივი მსხვერპლი, მათ შორის, მშვიდობიან მოსახლეობაში.

ასეთ გაურკვეველ სიტუაციას მეტი „ბუნდოვნება შემატა" რუსეთის პრეზიდენტის უშიშროების საბჭოს მდივნისადმი მიცემულმა ერთ-ერთმა ბოლო დავალებამ, რომელშიც ხაზგასმულია: „1 სექტემბრისთვის დამთავრდეს ჩეჩნეთიდან ჯარების ნაწილობრივი გამოყვანა".

თუმცა, საკითხის გარშემო გაურკვევლობა ამით არ დამთავრებულა: ლებედის პრესსამსახურმა ეჭვი შეიტანა, რომ თავად ელცინი იღებდა მონაწილეობას ზემოთ მოხსენებული დავალების საბოლოო რედაქტირებაში (?!). „დავალების ტექსტი პრეზიდენტის ფაქსიმილეთი, რომელიც ალექსანდრე ლებედმა მის ოფიციალურ გამოცხადებამდე ოცი წუთით ადრე მიიღო, შედგენილია უშიშროების საბჭოს მდივნის ზურგს უკან, შეთანხმების არსებული წესის გვერდის ავლით", — ნათქვამია ლებედის პრესსამსახურის განცხადებაში.

ამას პრეზიდენტის პრესსამსახურის ახალი ხელმძღვანელის საკმაოდ მკვახე რეაქცია მოჰყვა: „პრეზიდენტის დავალება, მისი განკარგულებისგან განსხვავებით, შეთანხმებას არ საჭიროებს. თუ დავალების მთელი მოცულობით შესრულება ვერ ხერხდება, მისმა შემსრულებელმა ამის თაობაზე პრეზიდენტს უნდა მოახსენოს".

შეიძლება ითქვას, რომ პრეზიდენტისა და უშიშროების მდივნის პრესცენტრებს შორის „ატეხილი სროლა" ალექსანდრე ლებედის გავლენის ზრდის მომხრე-მოწინააღმდეგეთა სააშკარაოზე გამოტანილი აშკარა დაპირისპირების ნათელი დადასტურებაა. ძნელი დასაჯერებელია, რომ ახლადაღზევებული ძალაუფლებისმოყვარე და მისკენ მსწრაფი გენერალი თავის ამჟამინდელ გაურკვეველ სტატუსს დიდხანს დაჯაბულდეს. ამიტომ, მას გზაჯვარედინთან ყოფნა აღარ შეუძლია: ან შემდგომი წინსვლის ხელისშემშლელ ფიგურებთან (რა დონისაც არ უნდა იყვნენ ისინი) გადამწყვეტ ბრძოლაში უნდა ჩაებას, ან საპრეზიდენტო არჩევნების დროს „დამეგობრებულ" ბორის ელცინთან ტარანზე წავიდეს...

ამასობაში, ფედერალური ძალების ვერტმფრენებმა გროზნოს ქუჩებში პროკლამაციების ჩამოყრა დაიწყეს, რომელზეც პულიკოვსკის ულტიმატუმია დაბეჭდილი. ფედერალური საემიგრაციო სამსახურის მონაცემებით, დღეისთვის ჩეჩნეთის დედაქალაქში 100 ათასამდე მშვიდობიანი მოსახლე ცხოვრობს. გროზნოს დატოვებას მხოლოდ მისი გარეუბნების მცხოვრებლები ახერხებენ, ცენტრალური რაიონებიდან



ევაკუაცია კი, მუდმივი საბრძოლო მოქმედებების გამო, მეტად გართულებულია. დაძაბულობა ზენიტს მოედან „მინუტკას" მიდამოებში აღწევს, სადაც ქალაქის ძირითადი სატრანსპორტო მაგისტრალები კვეთს ერთმანეთს. რუსი სამხედროების ცნობით, აქ 500-მდე ჩეჩენი მებრძოლია თავმოყრილი. ბრძოლებში მათ „სპარინგ პარტნიორობას უწევენ" შინაგანი ჯარების 101-ე ბრიგადის ქვედანაყოფები, რომლებიც სამხედრო ექსპერტების ენით, აქტიური თავდაცვის მდგომარეობაში იმყოფებიან (ეს ნიშნავს, რომ ფედერალური ძალები ცდილობენ კონტროლის ზონის გაფართოებას, რომლის დროსაც ანადგურებენ მოწინააღმდეგის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას). როგორც განვლილმა თვეებმა უჩვენა, ჯაბანნი არც ჩეჩნები არიან — პულიკოვსკის ულტიმატუმი მათ ჩირადაც არ უღირთ და მომავალი ბრძოლებისთვის ემზადებიან — ამაგრებენ საცეცხლე წერტილებს, არემონტებენ ტექნიკას, ნაღმავენ გზებს, ალავლენენ ლოცვას ალაჰის მიმართ. უფრო მეტიც: რუსეთის სამხედრო დაზვერვის ინფორმაციით, მათი რაზმები ახლო მომავალში აეროპორტ „სევერნის" და ხანკალას სამხედრო ბაზის ალებასაც აპირებენ. ამ ოპერაციის დროს „ცოცხალ ფარად" მათ მრავალრიცხოვანი სამხედრო ტყვეების კოლონაც გამოადგებათ...

# ლებედი კვლავ გროზნოშია...

რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი ალექსანდრე ლებედი გუშინ, დღის მეორე ნახევარში, ჩეჩნეთში გაფრინდა. ორდღიანი ვიზიტის მთავარი მიზანია გროზნოში სიტუაციის განმუხტვა. როგორც იტარ-ტასს ლებედის გარემოცვიდან ინფორმირებულმა წყარომ აცნობა, უშიშროების საბჭოს მდივანს განზრახული აქვს, შეხვდეს ფედერალური დაჯგუფების მეთაურის მოვალეობის შემსრულებელ კონსტანტინე პულიკოვსკის, რომელმაც ორშაბათს გააკეთა განცხადება გროზნოს შტურმის განზრახვის შესახებ.

იმავე წყაროს ცნობით, გენერალ პულიკოვსკის პოზიცია, ფაქტობრივად, ძირს უთხრის ალექსანდრე ლებედსა და ჩეჩენ მებრძოლთა შტაბის უფროს ასლან მასხადოვს შორის ახლახანს მიღწეულ შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის, ჯარების დაშორიშორებისა და სპეციალური სამეთვალყურეო კომისიის შექმნის შესახებ.

ლებედის გარემოცვა არ გამორიცხავს, რომ ამჟამინდელი ვიზიტის დროს უშიშროების საბჭოს მდივანი შეეცდება შეხვდეს ჩეჩნეთის შეიარაღებული ოპოზიციის ლიდერებს, რომლებმაც პულიკოვსკის განცხადების საპასუხოდ, ხანკალაში განლაგებულ ფედერალური ძალების შტაბზე შეტევა წამოიწყეს.

გარდა ამისა, ალექსანდრე ლებედს განზრახული აქვს 26 აგვისტოს ქვეყნის პრეზიდენტს წარუდგინოს ჩეჩნეთის კრიზისის დარეგულირების გეგმა.

# რუსი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეები ჩეჩნეთის შესახებ:

**რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი, გენერალი ანატოლი კულიკოვი:** „ჩემი აზრით, ჩეჩნეთის პრობლემა ძალისმიერი მეთოდებით ვერ გადაწყდება. არსებობს მისი მოგვარების მხოლოდ პოლიტიკური გზა. ამისთვის საჭიროა გონივრული პოლიტიკური ღონისძიებები, რომლებიც შესაძლებელს გახდიან რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების კვალობაზე, დაკმაყოფილდეს კონფლიქტში ჩაბმული ყველა მხარის მოთხოვნები. ასეთი სამუშაო მრავალ წელზე უნდა გაითვალოს, მაგრამ ყველაფერი საგანგებო რეჟიმის შემოღებით უნდა დაიწყოს".

**რუსეთის თავდაცვის მინისტრი, გენერალი იგორ როდიონოვი:** „ამ რეგიონის მიმართ უნდა შემუშავდეს სახელმწიფო პროგრამა, რომელშიც შევა არა ერთ და ორ, არამედ მრავალ წელზე გათვლილი ღონისძიებები. იგი უნდა ითვალისწინებდეს ყველა — პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სამხედრო, უშიშროების — პრობლემას".

**სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ვლადიმერ ლუკინი:** „მე დარწმუნებული არა ვარ, რომ ჩეჩნეთის პრობლემას სამხრეებიანი და თოფიანი ადამიანები მოაგვარებენ. ჩეჩნეთის კონფლიქტი უფრო დიპლომატიის საკითხია, ვიდრე სამხედრო პრობლემა. ამიტომ, გონივრულად უნდა შეხამდეს პოლიტიკური დიპლომატია და ძალის დემონსტრირება".

**ჩეჩნეთის ოპოზიციის საკონსულტაციო ჯგუფის ხელმძღვანელი რუსლან ხასბულატოვი:** „მოსკოვმა, როგორც მინიმუმი, უნდა აღიაროს, რომ ჩეჩნეთში არ არსებობს კანონიერი ხელისუფლება. ზავგაევის მთავრობის კანონიერების აღიარება კრემლის მთავარი შეცდომაა. ეს არაფერია, თუ არა მირაჟი... რუსი ჯარისკაცები და ოფიცრები ჩეჩნეთში მხოლოდ მისთვის იღუპებიან. აქედან მომდინარეობს კრემლის სტრატეგიების არასწორი ტაქტიკაც, როდესაც, ერთი მხრივ, ლაპარაკობენ შეთანხმების აუცილებლობაზე, მეორე მხრივ კი, ხელ-ფეხს უხსნიან შეიარაღებულ ძალებს საბრძოლო ოპერაციების წარმოებისთვის".

**სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი, რუსეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრია კოზირევი:** „არ შეიძლება მოლაპარაკებების წარმოება, როდესაც შენს პარტნიორებს ბანდიტებს უწოდებ. თუ ისინი ბანდიტები არიან, საჭიროა მათი დაპატიმრება, განადგურება, თუ პარტნიორები — მოლაპარაკება უნდა წარმოებდეს, როგორც ტოლთან. პრეზიდენტის პროგრამის რეალიზაცია დღეს მხოლოდ ძლიერ პოლიტიკურ ფიგურას ძალუძს, რომელსაც ძალოვანი სტრუქტურების მართვა შეუძლია. ამიტომ ძალზე სწორია, რომ ალექსანდრე ლებედს რეალური პოლიტიკის წარმოების საშუალება მისცეს".

**სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი სერგეი იუშენკოვი:** „მიმდინარე მოვლენებში ვხედავ ალექსანდრე ლებედის, როგორც პოლიტიკოსის, ჩაძირვის მცდელობას. იქმნება შთაბეჭდილება, რომ გარკვეული პოლიტიკური ძალები ხაფანგებს აგებენ, რათა იგი პოლიტიკურ არენას ჩამოაშორონ".

„კავკასიონის"
საინფორმაციო სამსახური




## »თელასის« მორიგი· »ხუმრობანი«

მუნიციპალურ საწარმოო გაერთიანებასა და მის ხელმძღვანელს, ბატონ აკაკი გაბრიჭიძეს, ვფიქრობ, წარდგენა არ სჭირდება. როცა საჭირო გახდება, იგი ხან პრესის საშუალებით "მიმართავს" საზოგადოებას, ზოგჯერ კი საინფორმაციო-მუსიკალურ პროგრამა "ალიონში" გამობრძანდება ხოლმე საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით.

ჯერ იყო, ხალხის "დაშინება" დაიწყეს - თუ ელექტროენერგიის საფასურს არ გადაიხდით, სინათლეს გამოგითიშავთო. არადა, ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ ელექტროენერგიის საფასური ნამდვილად არის გადასახდელი, მას არავინ შეგარჩენს. უსახსრობას რა ვუთხარი, თორემ არავინაა "თელასის" "დასამოძღვრავი".

"თელასელებს" წუწუნი გამოსდით უბრწყინვალესად: - რა ვქნათ, გაჭირვებულები ვართ, ჩვენს თანამშრომლებს, აი, უკვე რამდენი ხანია, ხელფასი არ მიუღიათო, - გაიძახიან გამუდმებით. დალხინებული ცხოვრება დღეს ყველას როდი აქვს, მაგრამ "თელასელებს" ზოგიერთი წვრილმანი მხედველობიდან რჩებათ, ან კიდევ, ნაკლებად სურთ მათი გახსენება. იციან კი, თუ რას სჩადიან კონტროლიორები, როდესაც მოსახლეობის მრიცხველებს ამოწმებენ? ნახევარზე მეტ თანხას თავად ითვისებენ (მთლიანად თუ არ მოინდომეს), მცირეოდენს თუ გაიმეტებენ სახელმწიფოსთვის.

ნუთუ "თელასელებმა", მისმა ხელმძღვანელებმა არ იციან, რას სჩადიოდნენ გასულ ზამთარში დედაქალაქის სხვადასხვა რაიონულ განყოფილებაში? სადაც ქორწილი ან ჭირი იყო, სპეციალურად გამოთიშავდნენ დენს. სხვა რა გამოსავალი რჩებოდა, გარდა ერთისა - მისულიყავი რაიონულ განყოფილებაში, გადაგეხადა საკმარისი რაოდენობით დოლარები. ქალაქში მოარული ხმები დადის, მოსახლეობას სინათლე რომ ჰქონოდა, კორპუსებისა და კვარტლების მიხედვით აგროვებდნენ ფულს და სადაც საჭიროა, იქ მიჰქონდათო. ეს კია, და შესაძლოა, ოფიციალურად ხელფასი არ მიუღიათ...

საკითხავია, სად იკარგება ის ჰუმანიტარული დახმარება, რომელიც სხვადასხვა დროს შემოდიოდა. საბოლოოდ დამთავრდა კი მე-9 ბლოკის რემონტი? რა მდგომარეობაშია დანარჩენები - "თბილსრესი"? ყოველი ზამთრის დამთავრების შემდეგ უყვარს ბატონ აკაკი გაბრიჭიძეს "ალიონში" გამობრძანება და დაახლოებით ასეთი შინაარსის განცხადების გაკეთება: - აი, ზამთარი მიილია, ჩვენ გავითვალისწინეთ წინანდელი ხარვეზები, შეცდომები, აქედანვე ზომებს ვიღებთ, რომ მომავალი ზამთარი უფრო ცივი არ იყოსო.

დაიღალა ხალხი ამდენი ტყუილის მოსმენით, ყოველი ზამთარი უფრო მკაცრი და მკაცრი ხდება. დაპირებები კი რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა...

მომავალი ზამთარიც წინანდელზე საშინელი რომ არ გამოვიდეს, ამიტომაც დააწესა "თელასმა" აგვისტოს თვიდან გარკვეული შეზღუდვები. შემოღებულია სპეციალური გრაფიკი, რომლის მიხედვითაც, საცხოვრებლო ობიექტების გარდა, სინათლე უნდა ჩაუქრონ ყველას დღის 11 საათიდან 6-7 საათამდე, ღამით 1 საათიდან დილის 7 საათამდე. თუ ეს ძალიან საჭირო და აუცილებელი ღონისძიებაა, რა გაეწყობა, მოსახლეობა გაგებით შეხვდება მას. მაგრამ რომელ გრაფიკზეა საუბარი, როცა იგი აქედანვე ირღვევა. რას ნიშნავს, როცა ქუჩის, კვარტლის ერთ ნაწილს თიშავთ, მეორეს კი - არა. მაგალითისთვის შორს წასვლა არ დამჭირდება. ერთი კონკრეტული შემთხვევის დასახელებაც კმარა. დოლიძის ქუჩის მხოლოდ დასაწყისში ამოიჩემებენ თოთხმეტ კორპუსს, რვა და თექვსმეტ სართულიანებს. ქუჩის მეორე ნაწილში, სინათლე გრაფიკით რომ არ უნდა იყოს, მაინც ჩახჩახებს, თანაც ისეთ კორპუსებში, რომლებსაც თითქმის 24 საათის განმავლობაში უნთიათ შუქი. არ გვგონია, იქ მცხოვრებთაგან ყველა დროულად იხდიდეს გადასახადს. რატომ ხდება ასე? "თელასს" რატომ სურს შუღლი და ბოროტება ჩამოაგდოს მეზობლებს შორის? როცა გამოსათიშია, ყველგან გამოითიშოს ერთნაირად. არ გახდეს სალაპარაკო, იმ კორპუსს აქვს, ჩვენ რატომ არ გვაქვსო. ზამთარშიც ქუჩის მეორე ნახევარს ურთავენ სინათლეს რამდენიმე საათით ადრე, ქუჩის დასაწყისში მდგარი თოთხმეტი კორპუსი კი მერე მოაგონდებათ. ამბობენ, ქუჩის მეორე ნახევარს, მათ შორის, 28-ე კორპუსსაც იმიტომ რთავენ ადრე, ან სინათლეს საერთოდ არ უთიშავენ, რომ იქ მერიის ან "საქენერგოს" თანამშრომელი ცხოვრობსო. მოდით, ზედმეტად აღარ დავწვრილმანდეთ, აბსოლუტურად არ ვფიქრობ, ვინმეს ოდნავაც კი ჩრდილი მივაყენო, მაგრამ სხვებსაც, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ნუ დაგვჩაგრავენ. წლების განმავლობაში იბეჭდება პრესაში ამ ქუჩის გასაჭირზე, მაგრამ "თელასის" არც წინანდელი, არც ამჟამინდელი ხელმძღვანელობა ყურადღებას აბსოლუტურად არ იჩენს. როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ასეთი გულგრილობა?

დოლიძის ქუჩის საწყისი კორპუსების მცხოვრებლები თავს იმით იმშვიდებენ, რომ, თურმე, სხვაგანაც ირღვევა გრაფიკი. მაგალითად, ნუცუბიძის პლატოს მე-4 მიკრორაიონში თითქმის ყოველთვის აქვთ სინათლე, სხვაგან კი - არა. საკითხავია, ვინმეს საპატივცემულოდ კეთდება ყველაფერი? მაშ, სხვა რა ვიფიქროთ? წესი და კანონი ყველასთვის ერთნაირი უნდა იყოს. საუბედუროდ, "თელასი" მას არღვევს. საწყალ გლდანელებს, მუხიანელებს, ვაზისუბნელებს რაღა ეთქმით. სინათლე მხოლოდ პრივილეგირებული რაიონების წარმომადგენლებს ეკუთვნით. მათ შორის უცილობლად უნდა მოვიხსენიოთ ვაკე, დიღუბე და სხვა. კი მაგრამ, რატომ? სხვებმა რაღა დააშავეს? მთელი ზამთარი შეუწყვეტლად მხოლოდ მათ უნდა ჰქონდეთ ელექტროენერგია? თურმე, ასე ყოფილა, რადგანაც "თელასს" ასე სურს. მას კი წინ ვერაფერი აღუდგება. პატარას როცა ჰკითხეს, რატომ ტირიო, უპასუხა: - გამდის და იმიტომო. "თელასიც" ზუსტად ასე იქცევა, მაგრამ როდემდე?..

ირაკლი საბახტარაშვილი

## დიდი მევახშე

თბილისში ზამთარი დაიწყო. უშუქობა, ჯერ კიდევ აგვისტოში მთელი თავისი ბნელი ხანგრძლივობით თავს დაატყდა თბილისის მრავალკორპუსიან რაიონებს. მართალია, ბუნება მზით გვათბობს, მაგრამ ტანში მაინც ჟრუანტელი გვივლის. ეს შიშით გამოწვეული ჟრუანტელია. არა სიცივისა და შიმშილის, არამედ უპატრონობის შიშით გამოწვეული ჟრუანტელი.

ენერგეტიკული კრიზისი, აგერ უკვე ოთხი წელია, ვერ მოგვარდა. ამ ხნის განმავლობაში კი, წლიდან წლამდე, ზაფხული თითქოს თანდათან კლებულობს და ზამთარი იზრდება. "საქენერგო" პირდაპირ - გვეუბნება, მოსახლეობა ფულს თუ არ გადაიხდის, უწინდელზე უარესი ზამთარი გვექნებაო. მისი ვალიდან ვერ ამოვიდა საქართველო. დაუჯერებელია, რომ ამ ხნის განმავლობაში ჭკვიანად გამოყენებული მიზნობრივი კრედიტი მწყობრში ვერ ჩააყენებდა ენერგოსისტემას იმდენად, რომ დედაქალაქი მაინც უზრუნველეყო ელექტროენერგიით. ხოლო მოსახლეობისა და საწარმოების მხრიდან ვალის გადაუხდელობა, "საქენერგოს" მიერ გამოყენებული მოხერხებული ფანდია თავისი არაპროფესიული საქმიანობის დასაფარავად. ამიტომ, "საქენერგო" ამჯერადაც მოუმზადებელი ხვდება ზამთარს, რომელიც, მისი წყალობით, აგვისტოში "დაიწყო".

ხარიტონ დარბაიძე
რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი ვაზისუბნის დასახლების მცხოვრები

# რას ფიქრობ

## «კავკასიონის» სოციოლ
## რეპრეზენტული შერჩ

### 1. თქვენი აზრით, რა აიძულებთ საქართველოს მოქალაქეებს ემიგრაციაში წასვლას?

| | |
|---|---|
| გამდიდრების სურვილი | 47% |
| სამართალდამცავ ორგანოებს ემალებიან | 25% |
| ეკონომიკური გაჭირვება | 17% |
| პროფესიული ინტერესები | 8% |
| პოლიტიკური შეხედულებების გამო დევნა | 3% |

### 2. თქვენ რომ მოგიხდეთ საზღვარგარეთ გადასახლება, როგორი გრძნობით დატოვებდით ქვეყანას?

| | |
|---|---|
| ეს იქნებოდა ტრაგედია | 60% |
| თავს უბედურად ვიგრძნობდი | 15% |
| სულერთი იქნებოდა | 15% |
| სიხარულით | 7% |

### 3. როგორ შეხვდებოდით თქვენი შვილების სურვილს საზღვარგარეთ წასვლის შესახებ?

| | მივესალმებოდი | წინააღმდეგი ვარ |
|---|---|---|
| სასწავლებლად | 82% | 5% |
| მუდმივ საცხოვრებლად | 4% | 86% |
| დროებით სამუშაოდ | 71% | 16% |
| ტურისტულად | 97% | — |

### 4. რომელ ქვეყნებში ისურვებდით, რომ თქვენმა შვილებმა მიიღონ განათლება?

(რესპოდენტებს ასარჩევად შესთავაზეს: საქართველო, რუსეთი, აშშ, გერმანია, საფრანგეთი, ინგლისი, იტალია, ესპანეთი, საბერძნეთი, თურქეთი, იაპონია, ისრაელი, ყოფილი საბჭოთა ქვეყნები)

| | |
|---|---|
| გერმანია | 29% |
| აშშ | 26% |
| ინგლისი | 22% |
| საქართველო | 12% |
| საფრანგეთი | 4% |
| იაპონია | 3% |
| სხვა | 5% |

### 5. რამდენად რეგულარულად კითხულობთ გაზეთებს?

| | |
|---|---|
| ყოველდღე | 4% |
| კვირაში ერთი-ორჯერ | 32% |
| შემთხვევიდან შემთხვევამდე | 53% |
| საერთოდ არ ვკითხულობ | 11% |

# თბილისელები

## სამსახურმა 1-18 აგვისტოს
## ...ოკითხა 300 თბილისელი

### ...რის მასალები გაინტერესებთ გაზეთებში?

| | |
|---|---|
| ...ობი მასალა | 23% |
| ...ფიზიკური შესახებ | 22% |
| | 16% |
| | 15% |
| | 9% |
| | 7% |
| ...ებები | 5% |
| | 3% |

### 9. რომელი საინფორმაციო წყაროთი სარგებლობთ რეგულარულად და ენდობით?

(გათვალისწინებულია მხოლოდ იმ რესპოდენტთა პასუხები, რომლებმაც შეკითხვაზე დადებითად უპასუხეს)

| | |
|---|---|
| დასავლეთის ტელეარხები | 18% |
| რუსეთის დამოუკიდებელი ტელევიზია (НТВ) | 15% |
| საქართველოს ტელევიზიის 1-ლი არხი | 12% |
| საქართველოს ტელევიზიის მე-2 არხი | 11% |
| დამოუკიდებელი ქართული პრესა | 10% |
| რუსეთის საზოგადოებრივი ტელევიზია | 8% |
| რუსეთის პრესა | 8% |
| ტელეკომპანია „რუსთავი 2" | 6% |
| ოფიციალური ქართული პრესა | 5% |
| ტელეკომპანია „საქართველოს ხმა" | 3% |

### 10. რა გაწუხებთ ყველაზე მეტად?

(...ნტებს თვითონ უნდა დაესახელებინათ პრობლემა)

| | |
|---|---|
| | 44% |
| | 21% |
| | 15% |
| | 9% |
| | 7% |
| | 4% |

### ...მის მოგვარებას ისურვებდით პირველ რიგში?

(რესპოდენტებს შესთავაზეს პრობლემათა ნუსხა)

| | |
|---|---|
| | 34% |
| ...მაკეთილდობა | 24% |
| | 18% |
| | 17% |
| | 7% |




## სახლი თავზე გვენგრევა, პრეზიდენტის დავალება კი არ სრულდება

გრიბოედოვის ქუჩაზე, იუსტიციის სამინისტროს შენობის გვერდით მდებარე საცხოვრებელი სახლი ნგრევის პირასაა მისული. შარშან პრეზიდენტ შევარდნაძის განკარგულებით დაიწყო სახლის რემონტი, მაგრამ შერემონტდა მხოლოდ ცალი მხარე, რამაც შენობის მეორე ნახევრის დაჩქარებული რღვევა გამოიწვია. ამის შესახებ ვაცნობეთ ქალაქის მერიასაც და რაიონის გამგეობასაც. მათ დახმარება აღგვითქვეს, მდგომარეობის შესასწავლად კომისიაც გამოგვიგზავნეს, რომელმაც ამა წლის 21 მარტს შენობაზე გაჩენილ ბზარებზე სანიშნეები გააკრა და საკონტროლო ამოლესვები ჩაატარა. ეს სანიშნეები და ამოლესვები ერთ თვეში დასკდა. ამის შესახებ ვაცნობეთ მერიასაც და გამგეობასაც; ყოველდღე ვურეკავთ - სანამ სახლი თავზე დაგვენგრევა, მანამ მოგვხედეთ-მეთქი, მაგრამ ყურადღებას არავინ გვაქცევს.

ჩვენს უბედურებას ისიც დაემატა, რომ იუსტიციის სამინისტროში გაჩენილმა ხანძარმა შენობა კიდევ უფრო დააზიანა. ჩვენ ბინების გარემონტებას არ ვითხოვთ, უბრალოდ, დაადგინონ რღვევის გამომწვევი მიზეზები და შეაჩერონ შენობის ნგრევა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ სახლს ისტორიული ღირებულებაც აქვს - ამ სახლში ცხოვრობდა კონსტანტინე გამსახურდია. კოლხურ კოშკს ვერ მოვუარეთ და ეს შენობა მაინც შევუნახოთ შთამომავლობას.

გრიბოედოვის ქუჩის 21 სახლის მცხოვრებლები

## მივხედოთ წყალსაცავებს

წლეულს ზაფხულში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მთის შემსწავლელი კომისიის წევრებმა სამჯერ მოაწყვეს შემოვლა საქართველოს მდინარეთა აუზებში და, კერძოდ, არაგვის ხეობის ჟინვალის წყალსაცავზე. როგორც ამ კომისიის ერთ-ერთმა წევრმა, ბოტანიკოსმა ალექსი არაბულმა გვითხრა, ამ წყალსაცავს უფრო გონიერული გამოყენება სჭირდება. ჯერ ერთი, მისი დაცვა ჩვენი დედაქალაქის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასაც ნიშნავს, ის კი ისეა დაბინძურებული, რომ მისი სასმელად გამოყენება ცოტა არ იყოს, საჭოჭმანოა. წყალსაცავში ჩადის არაგვის ხეობის სოფელთა კანალიზაციიდან, მესაქონლეობის ფერმებიდან და გომურებიდან გამოსული ჩანარეცხი. ასეთი დაბინძურებული ირგვლივ 64 წერტილია.

აქ ერთი ბედნიერება ისაა გახლავთ, რომ ცხვრის განაბანი წყლების შხამიანი ჩანარეცხი უკვე მოისპო.

წყალსაცავს სხვა მხრივაც ვერ ვიყენებთ. ანანურში წყალსაცავი ბრაკონიერების სათარეშოდ გადაქცეულა. ბრაკონიერების მაფიამ სიონის წყალსაცავზეც შეაღწია. უარესი მდგომარეობა შეიქნა იერის ხეობაში, სიონის, ლაკბესა და დალის წყალსაცავებში. ესენი წყალსაცავადაც კი აღარ გამოიყენება და ათეულ ტონობით თევზი უმოწყალოდ ნადგურდება, რადგან ასეულ მეტრობით ბადეებია ჩაკიდული და თევზს აღარ ეძლევა მოძრაობისა და გამრავლების საშუალება. თითქმის იგივე მდგომარეობაა ალაზანზეც. მარტო ერთი დათვალიერების დროს, ეკოლოგიურმა პოლიციამ დამნაშავეთა დიდი ჯგუფი აღმოაჩინა და მათ უზარმაზარი ბადეები მო...

ყ...ვარ...ე კი ყოველდღიურად ამაზე უარესი დანაშაული ხდება. უბედურება ის არის, რომ ამ მეთევზე ბრაკონიერების მოქმედებას ზოგჯერ თვალს არიდებენ იმ უწყებების თანამშრომლები, ვისაც მათი ბოროტმოქმედების აღკვეთა ევალება და ისინიც, გათამამებულები, ელექტროხელსაწყოებით, დენით ნადირობენ და თევზს ანადგურებენ.

იზა ჯაჭკაძე

## გადავარჩინოთ წნორი-გურჯაანის რკინიგზა

კომუნისტების მმართველობის ბოლო პერიოდში გურჯაანის რაიონის სოფელ გურჯაანის ბოლოში რკინიგზის სატვირთო ვაგზლის შენობები აშენდა. შეიყვანეს რკინიგზის ხაზები, გაიმართა სასაწყობო მეურნეობები, დაიკიდა ალაყაფის უზარმაზარი კარები, მოეწყო ტერიტორია. მერე ეროვნულმა პრეფექტურამ, შემდეგ გამგეობამ აშენებულს ვერ მოუარა და ყველაფერი გაიძარცვა; ახლა რკინაბეტონის შენობებიც ინგრევა, ალაყაფის კარები ჩამოხსნეს და წაიღეს. "შპალები" ამოყარეს და წაიღეს, კარ-ფანჯრები ჩამოხსნეს და წაიღეს. აქეთ-იქით მიყრილ ლიანდაგებსაც წაიღებენ. უპატრონო სახლს ეშმაკები დაეპატრონენ. არადა, უზარმაზარი თანხებია გადახდილი.

რუსი მეფის მიერ ოდესღაც გაყვანილ წნორი-გურჯაანის რკინიგზის ხაზსაც იგივე დაემართა: დალპა ან მოიპარეს "შპალები", ლიანდაგებსაც წაიღებენ. სარკინიგზო "შპალს" უამრავი ხის მასალა სჭირდება, ალბათ, ამდენ მასალას საქართველოში ვერც მოვაგროვებთ. იმაზე ფიქრის დროცაა, რითი უნდა შევცვალოთ იგი.

არადა, მოვა დრო, ის ვაგზალიც დაგვჭირდება და წნორი-გურჯაანის რკინიგზის ხაზიც. ახლის აშენებას, დღევანდელ პირობებში, ძველის მიხედვა სჯობია.

თამაზ ჯადოგიშვილი

## »ბნელეთის« უბნელეთა გასაჭირი

მე-8 ლეგიონის ტერიტორიაზე (ა. წულუკიძის ქუჩა) 10-დან 15 აგვისტომდე საერთოდ არ ყოფილა სინათლე. თელასში დარეკვის შემდეგ გვითხრეს, რომ კაბელია დაზიანებული, შეაკეთებენ და ხვალიდან გრაფიკით მოგვაწოდებთო ელექტროენერგია. 16-დან 18 აგვისტომდე (ვითომ) გრაფიკით იყო სინათლე და 19 აგვისტოს საერთოდ არ ყოფილა (ცნობისთვის), 18 აგვისტოს 19 სთ-დან 24 სთ. 30 წთ-მდე უნდა ყოფილიყო სინათლე და იყო მხოლოდ 21 სთ-მდე).

და საერთოდ, შარშან ზამთარში რომ თბილისის ყველა უბანს გრაფიკით მიეწოდებოდა ელექტროენერგია, ა. წულუკიძის ქუჩა მთლიანად ჩაბნელებული იყო ორი-სამი თვის განმავლობაში, რის შედეგადაც, ჩვენს ქუჩას "ბნელეთის უბანი" ეწოდა.

მე-8 ლეგიონის - ა. წულუკიძის ქუჩის მცხოვრებლები

# დამოუკიდებელი უკრაინა ხუთი წლისაა

ხუთი წლის წინ, 1991 წლის 24 აგვისტოს, უკრაინის უმაღლესმა საბჭომ საზეიმოდ გამოაცხადა „ქვეყნის დამოუკიდებლობისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის აქტი". ამ დღიდან მოყოლებული, ქვეყანაში ხორციელდება როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის რეფორმა, ისე გარდაქმნები ჰუმანიტარულ სფეროში. თანდათანობით მიმდინარეობს მეცნიერების რეგიონალური რგოლიდან ეროვნულ სამეცნიერო სისტემად ჩამოყალიბების პროცესი.

მაგრამ მეურნეობრიობის ახალ ფორმაზე გადასვლით გამოწვეულმა წარმოების დაცემამ, სამეცნიერო-ტექნიკურ სიახლეებზე მრეწველთა მხრიდან მოთხოვნილების შემცირებამ ბევრი სამეცნიერო კოლექტივი დაშლის პირამდე მიიყვანა. მკვეთრად უარესდება მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ეცემა სამეცნიერო-ტექნიკური სამსახურების პრესტიჟი, საზღვარგარეთ მეცნიერთა მიგრაციის გამო მცირდება საკადრო პოტენციალი.

ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, ხედავს რა სამამულო მეცნიერებაში შექმნილ რეალურ მდგომარეობას, მუდმივად ჰყავს იგი თვალთახედვის არეში. ამის დასტურია უკრაინის პრეზიდენტის მიერ შექმნილი მეცნიერული სფეროს რეორგანიზაციის მიზნით შექმნილი სახელმწიფო კომისია, რომელმაც ნახევარწლიანი არსებობის მანძილზე შეისწავლა ქვეყნის სამეცნიერო მეურნეობაში შექმნილი მდგომარეობა, შეიმუშავა წინადადებები მისი რეფორმების მიზნით.

სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკა გახდა აგრეთვე უკრაინის მინისტრთა კაბინეტის მოღვაწეობის პროგრამის შემადგენელი ნაწილი.

„განათლების შესახებ" კანონის მიღების შემდეგ შეიქმნა ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა ეროვნული განათლებისთვის. გარდა ამისა, უკრაინის ახალი კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო უზრუნველყოფს უფასო სკოლამდელ, სრულ საშუალო, პროფესიულ-ტექნიკურ, უმაღლეს განათლებას სახელმწიფო და კომუნალურ სასწავლო დაწესებულებებში.

სახელმწიფო მშენებლობა, გარდაქმნები ეკონომიკის, მეცნიერების და განათლების სფეროში, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე, აუცილებლად მოქმედებს კულტურასა და ხელოვნებაზე. შემოქმედებითი კავშირების გაერთიანებულ პლენუმზე დაისახა ინტელიგენციასთან თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები.

ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე ისტორიულ-არქიტექტურული მემკვიდრეობის აღორძინებას. გათვალისწინებულია ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღდგენაც.

ჰუმანიტარული სფეროს ძირეული ტრანსფორმაციის წარმატებით განხორციელებაზე ბევრად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური წინსვლა, ხალხის კეთილდღეობის ამაღლება, თანამედროვე მსოფლიოში უკრაინის პოზიციების განმტკიცება.

საქართველოში უკრაინის საელჩოს მეორე მდივანი

**ვ. ი. მელნიკი**

# საქართველოში უკრაინის ელჩის პრესკონფერენცია

უკრაინის დამოუკიდებლობის აღდგენის 5 წლისთავთან დაკავშირებით (დეკლარაცია 24 აგვისტოს იქნა მიღებული) გუშინ საგარეო საქმეთა სამინისტროში უკრაინის ელჩმა ანატოლი კასიანენკომ პრესკონფერენცია გამართა. ანატოლი კასიანენკომ აღნიშნა, რომ დამოუკიდებლობის პირველი 5 წელი მეტად რთული და დაძაბული იყო უკრაინისთვის, მაგრამ სასიხარულოა, რომ ქვეყანამ გაუძლო ყველა გაჭირვებას და შეინარჩუნა უმთავრესი — სამოქალაქო მშვიდობა და ტერიტორიული მთლიანობა. 1996 წლის 28 ივნისს კი უკრაინამ ახალი კონსტიტუცია მიიღო, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება წამყვანი დემოკრატიული ქვეყნების კონსტიტუციებს. მისი მთავარი მიზანი პიროვნების უფლებების დაცვა და კანონიერების ფარგლებში შესაძლებლობების რეალიზებაა. სასამართლოს გადაწყვეტილებების გარეშე შეუძლებელია პირადი ქონების ჩხრეკა, პიროვნების დაკავება. კანონი ითვალისწინებს დაწყებითი და საშუალო განათლების უფასოდ მიღებას, უფასო სამედიცინო მომსახურებას.

„უკრაინა მტკიცედ მიდის დემოკრატიზაციის გზით, ამტკიცებს კავშირებს მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოებთან." „ბოგდან ხმელნიცკიმ ზაპოროჟიეს სეჩის სახით საფუძველი ჩაუყარა ევროპაში ერთ-ერთ პირველ დემოკრატიულ სახელმწიფოს"-ლირიულად შენიშნა ანატოლი კასიანენკომ. „თანამშრომლობაში პრიორიტეტი აშშ-სთან ურთიერთობას მიენიჭება, უკრაინა დიდი ყურადღებით ეკიდება რუსეთთან ურთიერთობასაც. რუსეთთან შავი ზღვის აუზის ფლოტისა და ყირიმის საკითხზე კომპრომისული შეთანხმებების შემდეგ განზრახულია რუსეთთან ფართომასშტაბიანი ხელშეკრულების დადება თანამშრომლობისა და კეთილმეზობლობის შესახებ. რუსეთმა უპირველესად უნდა განსაზღვროს რა სურს, შავი ზღვის ფლოტი თუ ყირიმი", — აღნიშნა ბატონმა ელჩმა.

ამჟამად საქართველოში უკრაინის დიასპორა 50 ათას ადამიანს ითვლის, ბოლო 2 წლის განმავლობაში ოფიციალური მონაცემებით მხოლოდ 200 კაცმა მოისურვა უკრაინაში გადასახლება.

„საქართველოსთან ურთიერთობას უკრაინა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს", — აღნიშნა ელჩმა და თან ფაქტები მოიშველია — ბოლო 6 თვის განმავლობაში საქართველოს და უკრაინას შორის ტვირთბრუნვა 6-ჯერ გაიზარდა. სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების გაღრმავების მიზნით მოხდება სახელმწიფო დელეგაციების გაცვლები, 30 აგვისტოს უკრაინას ოფიციალური ვიზიტით ეწვევა საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი, 6 სექტემბერს უკრაინას ეწვევიან ტრანსპორტის მინისტრი მერაბ ადეიშვილი და საქართველოს ნავთობის კორპორაციის თავმჯდომარე გიორგი ჭანტურია, ოქტომბერში განზრახულია პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას ვიზიტი კიევში. ამავე დროს, საქართველოს სამუშაო ვიზიტით ეწვევიან უკრაინის პრემიერმინისტრი პაველ ლაზარენკო და პარლამენტის თავმჯდომარე ალექსანდრე მიროზი.

საქართველოს და უკრაინის ქალაქებს შორის გაფორმდება ხელშეკრულებები ურთიერთ თანამშრომლობის შესახებ. ასეთი ხელშეკრულებები დაიდო ბათუმსა და ხერსონს, ზუგდიდსა და ტალალაევსკს, ოზურგეთსა და გენიჩევსკს, რუსთავს და დნეპროპეტროვსკს, ქუთაისსა და ხარკოვს, სენაკს და მარიუპოლს, ზესტაფონს და ზაპოროჟიეს შორის, ასევე ქვემო ქართლის რეგიონსა და ლუგანსკის ოლქს შორის. ანალოგიური ხელშეკრულებები მზადდება კიევ-თბილისსა, კახეთის რეგიონსა და დონეცკის ოლქს შორის.

**ბადრი ოქროცვარიძე**

# რატომ უზის ქართველს გულში ევროპა

## ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა თავის მომავალს ევროკავშირში ხედავს

თბილისში ახლადჩასული უცხოელისთვის, რომელიც მე-19 საუკუნეში აშენებულ ოპერის სახლსა და რუსთაველის პროსპექტის ელეგანტურ, ნეოკლასიკურ სტილში შესრულებულ ფასადებს ჩაუსეირნებს, საქართველოს დედაქალაქი სამხრეთ იტალიის პროვინციულ ქალაქს უფრო ჰგავს, ვიდრე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკისას.

მხოლოდ უცხოელი როდი ფიქრობს ასე. იგივე განცდა აქვთ დღეს ქართველებსაც და მათ პრეზიდენტს — ედუარდ შევარდნაძეს. მიმზიდველად და მოდურად გამოწყობილი ახალგაზრდა ქართველები, რომლებიც დედაქალაქში უხვად მიმობნეულ კაფეებში ნებივრად წრუპავენ ყავას, გამუდმებით ევროპასა და ევროპის ორგანიზაციებთან გაერთიანებაზე მსჯელობენ.

საქართველოს ამასწინანდელი თხოვნა სრულუფლებიან გაწევრიანებაზე ევროპის საბჭოში, რომელიც 1949 წელს დაარსდა მთავრობათაშორისი და პარლამენტთაშორისი თანამშრომლობის წარსამართად და 39 წევრი ქვეყნისგან შედგება, იმ პოლიტიკის ნაწილია, რომელიც მიზნად ისახავს ამიერკავკასიის ამ მზიანი ქვეყნის მომავალ ინტეგრაციას არა რუსეთთან, არამედ — დასავლეთსა და ევროპასთან.

„ჩვენ ყოველთვის გვქონდა კავშირები ევროპასთან", — თქვა ახალგაზრდა ბიზნესმენმა დათო ქადაგიშვილმა, რომელიც ახალი და სტაბილური საქართველოს სიმბოლოდ შეიძლება წარმოვიდგინოთ. ქადაგიშვილმა ერთი თვის წინ თბილისის ცენტრში კაფე და მაღაზია გახსნა და ახლო მომავალში კიდევ რამდენიმე მაღაზიის გახსნას აპირებს. „ადრე ჩვენი არისტოკრატები საფრანგეთსა და გერმანიაში იღებდნენ განათლებას, ევროპელებსაც ძლიერ უყვარდათ ჩვენთან სტუმრობა", — ამბობს ქადაგიშვილი.

სტუმართმოყვარე ქართველებისთვის, რომელთაც ქრისტიანობა მეოთხე საუკუნეში მიიღეს, ევროპასთან შეერთებაში არაბუნებრივი არაფერია. ქართველები ისეთივე ევროპელებად მიიჩნევენ თავს, როგორც იტალიელები — ისინი ამბობენ, რომ მათ ერთი რელიგია, კულტურა და ისტორიული ტრადიციები აერთიანებს.

„ყოველ ქართველს სჯერა, რომ იგი ევროპელია", — თქვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორმა ალექსანდრე რონდელმა. **„ჩვენთან ევროპელობა უკვე ყველაფერს მოიცავს — ეს ცნება ყოველივე დადებითს გამოხატავს: ცივილიზაციას, კულტურას, განვითარებულ დემოკრატიას".**

თბილისში, სადაც ხანდახან ისიც კი გეჩვენება, რომ ყოველი მეორე ადამიანი დრამატურგი, რეჟისორი ან მსახიობია, და სადაც ქუჩებს პოეტების სახელი ჰქვიათ, ხელოვნებასა და კულტურას ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა.

ევროპაში ინტეგრაციისგან ქართველები ყველაზე უფრო კულტურული ურთიერთობის განვითარებას მოელიან. თუმცა, არის კიდევ ბევრად უფრო პრაქტიკული მიზეზები, რომელთა გამოც საქართველოს ევროპასთან დაახლოება სწადია.

„ევროპის საბჭოს წევრობა ჩვენთვის ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრობისთვის მოსაცდელ ოთახში მოხვედრის ტოლფასია", — გვითხრა ევროპის საბჭოში საქართველოს ხუთწევრიანი საპარლამენტო დელეგაციის თავმჯდომარემ, ლანა ღოღობერიძემ. „ევროპასთან უფრო მჭიდრო კავშირები ჩვენი დამოუკიდებლობისა და უშიშროების გარანტიაცაა", — განაცხადა მან საქართველოს მიერ ამ ცოტა ხნის წინ, 70-წლიანი საბჭოთა მმართველობის შემდგომ მოპოვებული დემოკრატიისა და სახელმწიფოებრიობის განვითარებაზე საუბრისას.

არავისთვის საიდუმლო არ წარმოადგენს, რომ რუსეთს გულს უკლავდა ნავთობით მდიდარ და სტრატეგიულად მნიშვნელოვან ამიერკავკასიის რეგიონთან განშორება 1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ.

მაგრამ საქართველოს დაკარგვა, რომელიც საბჭოთა ელიტის საყვარელ დასასვენებელ კურორტს წარმოადგენდა, თავისი თოვლიანი მთებით, შავი ზღვის სუბტროპიკული სანაპიროებითა და აღმოსავლეთის ზვარ-ვენახებით, ალბათ, ყველაზე უფრო აუტანელი და ძნელი იყო რუსეთისთვის.

დღეს კი ყოფილ საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრს, ჭაღარათმიან პრეზიდენტ შევარდნაძეს ძალიან დიდი სიფრთხილე მართებს ევროპისა და რუსეთის გაწონასწორებისთვის.

მოსკოვს ჯერ კიდევ აქვს დიდი სამხედრო ბაზა საქართველოში, ისევე, როგორც სომხეთში, მოლდავეთში, ტაჯიკეთსა და ეთნიკური კონფლიქტის სხვა ზონებში.

პოსტკომუნისტური ინსტიტუტების მოსკოველი ექსპერტი ლილია შევცოვა ამბობს, რომ რუსეთი „ჩეჩნეთში განცდილი ფიასკოს" მიუხედავად, ეცდება, შეინარჩუნოს მისი სამხედრო ძალების განლაგება ზემოხსენებულ ტერიტორიებზე. მიზეზად კი მას ყოველთვის სამშვიდობო ძალის როლი ექნება, რომელსაც დასავლეთის არც ერთი ქვეყანა არ იღებს თავის თავზე.

„საქართველო ყოველთვის მფარველს ეძებს", — თქვა მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის ხელმძღვანელმა გია ნოდიამ. ინსტიტუტი თბილისში ინტელექტუალურ ცენტრს წარმოადგენს.

„საქართველოს ძლიერი მეზობლები ჰყავს — თურქეთი და ირანი. წარსულში მისი მფარველი და დამცველი ძალა რუსეთი იყო. ახლა კი რუსეთი პოტენციურ საშიშროებად აღიქმება, დასავლეთი კი — რუსეთისგან დამცველ ძალად", — დასძინა ნოდიამ.

საქართველოცა და სომხეთიც მაისის თვიდან ევროპის საბჭოს სტუმარ წევრებად მიიჩნევიან, თუმცა, როგორც ყველაფრიდან ჩანს, მოსალოდნელია, რომ საქართველომ, ამიერკავკასიის დანარჩენი ორი ქვეყნისგან — სომხეთისა და აზერბაიჯანისგან განსხვავებით, მომავალი თვის სხდომაზე სრულუფლებიანი წევრობის მოპოვება შეძლოს.

საბჭოს შტაბში, რომელიც სტრასბურგში მდებარეობს, ერთ-ერთმა დიპლომატმა განაცხადა, რომ საქართველოს გაწევრიანებისკენ მიმავალ გზაზე არანაირი „მნიშვნელოვანი შეფერხება" არ ჩანს. მან დასძინა, რომ სომხეთთან და აზერბაიჯანთან შედარებით, საქართველოს პარლამენტის დემოკრატიულობა კავკასიაში ყველაზე მაღალ დონეზე დგას, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროც საუკეთესოა და რაც შეეხება შევარდნაძის მიერ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლას, იგი ყველაზე უფრო ფართომასშტაბიანია კავკასიის რესპუბლიკებს შორის.

„საქართველოს მოთხოვნა მომავალი წლის იანვარში იქნება დებატებზე გამოტანილი. დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით, ეს ქვეყანა ამიერკავკასიის ქვეყნებიდან ყველაზე ნაკლებად კორუმპირებულია. ამდენად, ყველაზე მეტად მისაღებიც", — განაცხადა ევროპელმა დიპლომატმა.

„ევროპის საბჭო ამიერკავკასიის სამივე ქვეყანას ერთდროულად არ მიიღებს, ვინაიდან ისინი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე დგანან", — თქვა ბრიტანეთის არასამთავრობო ორგანიზაცია „ვერტიკის" ამიერკავკასიის ფილიალის დირექტორმა დენის სამუტმა. „საქართველო ამ სამი ქვეყნიდან ყველაზე უფრო წინ დგას თავისუფალი პრესის განვითარების, მუშა პარლამენტისა და ცივილური საზოგადოების მხრივ, იგი თანდათანობით მისაბაძი მოდელი ხდება დანარჩენი ორი ქვეყნისთვის", — დასძინა მან.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს დიდი გზის გავლა მოუხდა 1992 წლის შემდგომ, როდესაც ქვეყანა სამოქალაქო ომში ჩაება, რასაც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების გადატრიალება მოჰყვა, თუმცა, ამ გზის გავლას არცთუ დიდი დრო დასჭირდა.

სამოქალაქო ომმა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატიზმთან ბრძოლამ საქართველოს შედეგად ლტოლვილთა კრიზისი, ქვეყნის ინფრასტრუქტურათა დესტრუქცია და ეკონომიკის კალაპოტიდან ამოვარდნა მოუტანა.

მაგრამ ამჟამად საქართველოს უკვე აქვს ახალი და სტაბილური ვალუტა, რომელმაც გაუფასურებული კუპონი შეცვალა, ჰყავს დემოკრატიული გზით არჩეული პრეზიდენტი და პარლამენტი, აქვს თავისუფალი პრესა. 1990 წლიდან მოყოლებული, ეკონომიკა გასული წლის განმავლობაში პირველად გაიზარდა სამი პროცენტით. უცხოელი ინვესტორები ინტერესს იჩენენ საქართველოს მიმართ.

ამავე დროს კი, აზერბაიჯანში პრესის ცენზურა მეფობს, პარლამენტი და მთავრობა, ძირითადად, პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევის ნათესავებისა და ახლო მეგობრებისგან შედგება.

სომხეთში ოდნავ უკეთესი მდგომარეობაა — პოლიტიკური დაპირისპირება ნაკლებად შეიმჩნევა, თუმცა, საერთაშორისო დამკვირვებლები აცხადებენ, რომ ცოტა ხნის წინ ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები რეალობას ნაკლებად ასახავს და არც წესების დაცვით ჩატარებულა.

**სელინა უილიამსი**

„THE EUROPEAN"

8-14 აგვისტო, 1996



1997 წლის დასაწყისში ამერიკის შეერთებულ შტატებში გათამაშდება ამერიკაში ოჯახთან ერთად კანონიერი ცხოვრების უფლების ანკეტების ლატარია. გათამაშებაში გამარჯვებულებს მიეცემათ შესაძლებლობა, გაემგზავრონ შეერთებულ შტატებში და მიიღონ სახელმწიფო დახმარება. მათ, ვინც 1 სექტემბრამდე წარადგენს მოთხოვნას, შესაბამისად გაეგზავნებათ ანკეტები და გარანტირებული ექნებათ ლატარიის გათამაშებაში მონაწილეობა. ლატარიის ფასია 18 აშშ დოლარი. ჩვენი მისამართია: P.O.BOX 4309. PANORAMA CITY CA 91412, USA. ფაქსი: 1-818-505-9291.



კაცობრიობას ეშინია დროის და დროს ეშინია პირამიდების.

40-საუკუნოვანი ისტორია გელით თქვენ, თუ იმოგზაურებთ ჩვენთან ერთად.

ტურისტული ფირმა გიწვევთ ეგვიპტეში ორი უმშვენიერესი ქალაქის — კაიროსა და ალექსანდრიის სანახავად. მსურველები ესტუმრებიან საოცარ აბუ მინას.

მგზავრობა თვითმფრინავითაა, საბუთების მიღება 2 სექტემბრამდე.

მისამართი: ქავთარაძის 49ა.

ტელეფონი: 22-19-99 (დღისით), 96-27-20 (საღამოს).


# კავკასიონი

ყოველდღიური გაზეთი №

ძვირფასო „კავკასიონის" მკითხველებო! იმისთვის, რომ გაზეთი გახდეს თქვენთვის უფრო საინტერესო და სასარგებლო, გთხოვთ, უპასუხოთ ჩვენს ანკეტაში დასმულ შეკითხვებს.

გაზეთის რედაქცია თქვენი მადლობელი დარჩება, თუკი შეავსებთ ანკეტას, ამოჭრით და მითითებულ მისამართზე გამოაგზავნით.

380002 თბილისი, პეტრიაშვილის 7 გაზეთი „კავკასიონი"

## ინფორმაცია თქვენს შესახებ

სქესი ____________

ასაკი ____________

საქმიანობა ____________

ყოველთვიური შემოსავალი

1. რა გზით შეიტყვეთ „კავკასიონის" არსებობის შესახებ?
   ა) დავინახე და ვიყიდე
   ბ) რეკლამის მეშვეობით
   გ) ხელმოწერის მეშვეობით
   დ) სხვა საშუალებით
2. რა შეხება გაქვთ გაზეთ „კავკასიონთან"?
   ა) ყოველდღე ვყიდულობ
   ბ) ხანდახან ვყიდულობ
   გ) ნაცნობებისგან მსმენია ამ გაზეთის შესახებ
3. რა ტიპის პუბლიკაციები უფრო მოგწონთ ჩვენს გაზეთში?
   ა) ინფორმაციები საქართველოს შესახებ
   ბ) ოპერატიული ინფორმაცია უცხოეთის შესახებ
   გ) პრობლემური წერილები
   დ) „არილი" — ლიტერატურული გაზეთი „კავკასიონში"
   ე) რეპორტაჟები დღის მოვლენების შესახებ
   ვ) რეკლამა (გაყიდვა, გაცვლა)
   ზ) რუბრიკა „იქ, უცხოეთში"
4. ყოველდღიური გაზეთისთვის როგორი წერილები მიგაჩნიათ უპირატესად?
   ა) მხოლოდ მშრალი ინფორმაციის შემცველი
   ბ) ინფორმაციასთან ერთად ანალიზის მომენტის შემცველი
5. რას აქცევთ ყურადღებას, ვიდრე წერილის წაკითხვას გადაწყვეტდეთ?
   ა) წერილის თემას
   ბ) ავტორს
   გ) წერილის მოცულობას
   დ) სათაურს
   ე) შრიფტს
6. გყავთ თუ არა ავტორი, რომლის სტატიას მუდმივად ელით?
   ა) დიახ
   ბ) არა
7. ისურვებთ თუ არა, ჩვენს გაზეთში უფრო ხშირად იწერებოდეს მასალა
   ა) ეკონომიკაზე
   ბ) ბიზნესზე
   გ) ქართულ კულტურაზე
   დ) სპორტზე
   ე) პრობლემური წერილები
   ვ) ოპერატიული ინფორმაცია
   ზ) კრიმინალური ქრონიკა
   თ) რაიმე სხვა
8. გისარგებლიათ თუ არა ოდესმე „კავკასიონის" რეკლამით?
   ა) დიახ
   ბ) არა
9. როგორი ფორმატის „კავკასიონი" უფრო მოსახერხებელია თქვენთვის?
   ა) დიდი
   ბ) პატარა
10. სხვა შენიშვნები თუ სურვილები ____________


ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის თბილისის მე-2 ქართული გიმნაზია აცხადებს მოსწავლეთა მიღებას X სააბიტურიენტო კლასებში შემდეგ განყოფილებებზე:

1. ხელოვნება-ლიტერატურის;
2. ეკონომიკური;
3. ქიმია-ბიოლოგიის.

ჩარიცხვა იწარმოებს გასაუბრების საფუძველზე.

საბუთების მიღება — 20 აგვისტოდან ყოველდღე (კვირის გარდა) 10.00 სთ-დან 13.00 სთ-მდე.

ადგილების რაოდენობა განსაზღვრულია.

მისამართი: ჩიქოვანის (ყოფ. ხილიანის) 24.


# ახლო საზღვარგარეთის სავალუტო ბაზარი

ოფიციალური სავალუტო კურსი ნაციონალურ ბანკებში 9 აგვისტოს მონაცემებით.

| ბანკები | აშშ დოლარი | გერმ. მარკა | რუს.რუბლი (100 რუბლი) |
| --- | --- | --- | --- |
| ლატვიის ცენტრ. ბანკი (ლატი) | 0.5500 | 0.3680 | 0.0107 |
| ლიტვის ბანკი (ლიტი) | 4.0 | 2.6941 | 0.07616 |
| ესტონეთის სახ. ბანკი (კრონა) | 11.8660 | 8.0 | — |
| ნაციონალური ბანკები: | | | |
| საქართველო (ლარი) | 1.2670 | 0.8217 | 0.022 |
| უკრაინა (კარბოვანეცი) | 176100 | 118430 | 3350 |
| ბელორუსია (ნაც.რუბლი) | 13950 | 9392.04 | 265 |
| მოლდავეთი (ლეი) | 4.603 | 3.1001 | 0.0874 |
| ყაზახეთი (ტენგე) | 67.35 | 45.66 | 1.36 |
| უზბეკეთი (სუმი) | 37.9 | 24.93 | 0.741 |
| სომხეთი (დრამი) | 417.3 | 208.26 | 7.96 |
| ყირგიზეთი (სომი) | 12.25 | 8.2458 | 0.234 |
| აზერბაიჯანი (მანათი) | 4290 | 2889.47 | 81.0 |
| ტაჯიკეთი (რუბლი) | 280.0 | 182.6 | 5.4 |



## იყიდება

■ ვაშლიჯვარში ოროთახიანი ბინა ლოჯით. საერთო ფართი 61 კვ.მ, ცხრასართულიანი სახლის მე-3 სართულზე. ტელ: 93-55-69, იკითხეთ ციცო.

■ 3-ოთახიანი ჩეხური პროექტის, კუთხის ნათელი ბინა მე-4 ოთახის გაკეთების საშუალებით, მეტრო „ლრმაღელის" წინ. დიდი კაპიტალური სარდაფით 30 კვ.მ. საგარაჟე ადგილით, რკინის კარებით, ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. მის: ქავშბეთის ქუჩა, მე-5 კორპუსი, მე-2 სადარბაზო, ბ.37. ტელ: 61-63-38, 18 საათის შემდეგ.

■ ნაძალადევის რაიონში, ჯანელიძის ქუჩაზე საკუთარი სახლი, მაღალი ბელეტაჟით, ეზოთი და დიდი ბაღით, მიწის ნაკვეთის ფართია 550 კვ.მ. სახლი 9X15. ყველა სათავსოთი, ცენტრალური გათბობით და ტელეფონით. საწყისი ფასი 37 000 დოლარი. ტელ: 66-72-80, 38-42-03.

■ ან ვაქირავებ სამოთახიან, ნახევრადსარდაფის ტიპის ბინას ყოფილი კალანდაძის ქუჩაზე. ტელ: 23-56-22.

■ ოროთახიანი პრივატიზებული ბინა ტელეფონით, ლოჯით, აივნით, მაღალი ჭერით, ორი მშრალი სარდაფით, მანქანის გასაჩერებელი ადგილით ნაძალადევის რაიონში. ფასი შეთანხმებით. ტელ: 66-11-03.

■ ერთოთახიანი ბინა ტელეფონითა და ავეჯით, რვასართულიანის მესამე სართულზე; იქვე ერთოთახიანი ბინაა ლოჯითა და საგარაჟე ადგილით რვასართულიანის მაღალ პირველ სართულზე, კინოთეატრ „საქართველოსთან". ფასი შეთანხმებით. ან ორივე ბინა იცვლება სამოთახიანზე იგივე რაიონში. ტელ: 61-85-60.

■ 2-ოთახიანი, სუფთა ბინა მეტრო „სამგორთან", სტანდარტული ხუთსართულიანი კორპუსის მ-2 სართულზე, ტელეფონით, სარდაფით. ფასი 8000 დოლარი. ტელ: 78-58-70.

■ ოროთახიანი კერძო, ურემონტო სახლი პატარა ეზოთი, სამზარეულოთი, აბაზანის ოთახით, დაშენების პერსპექტივით. ტუალეტი შიგნითაა. მის: ქობულეთის ქ.№18. ფასი შეთანხმებით. ტელ: 29-06-16.

■ ან იცვლება კურორტ აბასთუმნის ცენტრში ერთოთახიანი იზოლირებული ბინა (18 კვ.მ) მეორე სართულზე, თავისი სარდაფით. სახურველია გამომეხმაურონ „გლდანი", „მუხიანი", „გლდანულა". გაყიდვაზე ფასი შეთანხმებით. ტელ: 63-22-98, იკითხეთ ზაური; 67-36-33, იკითხეთ ზაზა.

■ ორი ოროთახიანი შეერთებული, სუფთა ბინა ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე, 8-სართულიანი სახლის მე-3 სართულზე რკინის კარით, ორი ტელეფონით, სამი აივნით, მანქანის გასაჩერებელი ადგილით, მშენებარე 57 კვ.მ. ლოჯით, 30 კვ.მ. დარბაზით, სამი საძინებელი ოთახით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 30-36-77, 30-36-76.

■ ძალიან ლამაზ 2-ოთახიანი სახლი სარდაფით, დიდი ეზოთი, 40 ძირი მსხმოიარე ხეხილით, აგრეთვე. 15 მეასედი ბაღით, წყლით. კასპის რაიონი, სოფელი გომი, სადგურიდან 3 კმ-ის დაშორებით. მიაკითხეთ თბილისში წინამძღვრიშვილის 158-ში. ტელ: 99-33-68, იკითხეთ ლევანი. კასპში მიაკითხეთგოჩა გოგობერიძეს.

■ კუთხის სამოთახიანი სუფთა ბინა, საცხოვრებელი ფართი 44 კვ.მ. 75 კვ.მ. საერთო ფართით, ჩეხური პროექტი, მიშენებული კარკასით 50 კვ.მ. ტელეფონით, სარდაფით, საკუჭნაოთი. მე-9 სართული დაშენების პერსპექტივით, მეტრო „დელისთან", პურის ქარხნის მიმდებარე კორპუსში. საწყისი ფასი 44 000 ლარი. ტელ: 39-37-19.

■ სამოთახიანი არასტანდარტული ბინა ყაზბეგის გამზირზე (ვაკე-საბურთალოს გადასასვლელთან). ბინას აქვს ტელეფონი, დიდი სარდაფი, მუხის პარკეტი, ფანჯრები გისოსებში. ბინა არის პირველ სართულზე მაღალი ბელეტაჟით. ჭერის სიმაღლე 3,20 მ. აქვს წყლის გამაცხელებელი. გამოიყენება როგორც საცხოვრებლად, ასევე ოფისისთვის. საორიენტაციო ფასი 40 000 დოლარი. ტელ: 39-78-61, 34-08-96, იკითხეთ სოსო.

■ დიდ დიღომში თოთხმეტსართულიანი სახლის მეათე სართულზე ოროთახიანი ბინა სარდაფით, ტელეფონით, ფასი 11 000 დოლარი. მისამართი: დიდი დიღომი, იოანე პეტრიწის 12, ბინა 120. ტელ: 62-07-07, სალამოს საათებში; სამსახური: 36-88-37, იკითხეთ ნუნუკა.

■ ოროთახიანი კეთილმოწყობილი ბინა საბურთალოს ცენტრში ლოჯით, რვასართულიანი სახლის მე-3 სართულზე რემონტით, სარდაფით, შესასვლელში და ლოჯში ჩაშენებული ხის კარადებით. სამზარეულო და საბაზანო კაფელში. ტელ: 38-52-98.

■ ოროთახიანი ბინა ორსართულიანი სახლის მეორე სართულზე, სარემონტო, ტელეფონით, საკუთარი ეზოთი. მის: ლესელიძის ქ.№9. კაფე „ოლიმპიკის" თავზე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 98-40-36.

■ ძმები ზუბალაშვილების ქუჩაზე (ყოფილი ათარბეგოვის ქუჩა) არასტანდარტული, ერთოთახიანი, 25 კვ.მ. ფართობის, 12 კვ.მ. შუშაბანდით იზოლირებული ბინა ბელეტაჟზე სარდაფით (30 კვ.მ.). წინ მანქანის დასაყენებელი ადგილით და აქვს მიშენების პერსპექტივა. ტელ: 95-03-16, იკითხეთ ბესო ან ცირა.

■ საბურთალოს ცენტრში არასტანდარტული ოთხოთახიანი ბინა 130 კვ.მ. საერთო ფართით, მანქანის სადგომით, სარდაფით. ჭერის სიმაღლე 3,30 მ. მე-3 სართული. ფასი შეთანხმებით. ტელ:23-58-49.

■ ოროთახიანი პრივატიზებული ბინა ლოჯით რვასართულიანის მესამე სართულზე, რემონტით, ტელეფონით, სარდაფით, შესასვლელში და ლოჯიაში ჩაშენებული კარადებით. სამზარეულო და აბაზანა კაფელითაა მოპირკეთებული. საბურთალოს ცენტრში. ფასი 23 000 დოლარი. ტელ: 38-52-98.

■ სასწრაფოდ 2,5-ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა რკინის კარებით, სარდაფით, მუხის პარკეტით, ტელეფონით, 3 აივნით მე-4 სართულზე. ზამთარ-ზაფხულ არის წყალი და სინათლე. ბინა მდებარეობს თევდორე მღვდლის ქუჩაზე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 34-54-38.

■ პატარა სახლი მიწის ნაკვეთით და ავტოსადგომით მე-2 ნავთლუღის დასახლებაში. ფასი შეთანხმებით. ტელ: 29-38-06, იკითხეთ დათო.

■ სასწრაფოდ ოთხოთახიანი ბინა ლოჯით, კაპიტალურად გარემონტებული 9-სართულიანის მე-2 სართულზე, მეტრო „ვარკეთილთან", ტელეფონით, სარდაფით, მანქანის გასაჩერებელი ადგილით ბინაში დამონტაჟებულია ავეჯი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 73-64-44, იკითხეთ ნელი.

■ კერძო ბინა დიდი ეზოთი, 10 ოთახით. მის: რუისპირის 7. ტელ: 95-82-86.

■ სასწრაფოდ საკუთარი სართულნახევრიანი სახლი ქობულეთში, 300 კვ.მ. ეზოთი. მეგრელიძის ბინა. საწყისი ფასი 35 000 დოლარი. ქობულეთის მისამართი და ტელეფონი: რუსთაველის ქუჩა №40; ტელ: 6-24-84.

■ ოროთახიანი, გარემონტებული, სუფთა ბინა ვაჟა-ფშაველას მე-6 კვარტალში, I-ბ კორპუსი, მე-4 სადარბაზო, მე-8 სართული. ფასი 13 500 დოლარი. ტელ: 30-37-43.

■ დუშეთის რაიონის სოფელ ჭოპორტში 2-სართულიანი საგარაკე სახლი. 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ხეხილით. ვენახით და ტალავერით. ტელ: 34-46-11, იკითხეთ მზია.

■ შინდისში 3-სართულიანი საავარაკე სახლი მანსარდით. 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ნარგავებით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 34-46-11, იკითხეთ პავლე და მზია.

■ 4-ოთახიანი ჩეხური პროექტის პრივატიზებული ბინა ტელეფონით, სარდაფით, ავტოსადგომით, საშრობით, რკინის კარებით. საერთო ფართი 100 კვ.მ. გარემონტებული. ფასი შეთანხმებით. მის: ვაჟა-ფშაველას მე-5 კვ. I კორპ. მე-4 სადარბაზო, მე-6 სართული. ტელ: 31-40-54, 31-78-77.

■ არასტანდარტული, მაღალჭერიანი, იზოლირებული, სარემონტო 125 კვ.მ. ფართობით. მის: კოსტავას 67, მე-5 სადარბაზო, მე-4 სართული, ბინა 77. ფასი 43 000 დოლარი. ტელ: 36-55-42.

■ ან იცვლება 3-ოთახიანი კუთხის იზოლირებული, სუფთა ბინა ბუხრით. სამსართულიანი სახლის მეორე სართული, ყოფილი სამხედრო „პარადოკის" „ჭენერალსკი ბოლკში". ჭერის სიმაღლე 3,40 მ. საერთო ფართი 175 კვ.მ. მათ შორის ჰოლი 8, ლოჯია — 8,5, სამზარეულო 9,5, აბაზანა, ტუალეტი — 10, ოთახები 22, 18, 17, მიშენებული „ზალა" 57 კვ.მ. ვერანდა 25 კვ.მ. აბაზანა-ტუალეტი ჩეხურ კაფელშია, სანტექნიკა ფინურია, მუდმივი დენი, ცივი და ცხელი წყალი ყველა სველ წერტილში, 20-ლიტრიანი ტემპოსით (ავზი). ოთახებში და ჰოლში კარგი მუხის პარკეტია, მიშენებულ ზალაში" წიფელა და მაკაგონი. ვერანდაზე დაგებულია ფილები, ლოჯში და ჰოლში ჩაშენებულია ხის კარადები, ბინას აქვს ორი სარდაფი დამანქანის სადგომი. ფასი შეთანხმებით. მის: კრწანისის ქ. №8, კორპ. I, სად. II, მე-2 სართ. ბინა №18. ტელ: 72-26-68.

■ სასწრაფოდ ვაკეში, წყნეთის ქუჩაზე ოროთახიანი (მიშენებით) ბინა, 8-სართულიანი სახლის მე-3 სართულზე. ბინა სუფთაა, მუდმივი ცხელი წყლით. ფასი 25 000 დოლარი. ტელ: 23-03-17.

■ სასწრაფოდ ოროთახიანი სუფთა ბინა დიდი ლოჯით, ტელეფონით, სარდაფით ვაჟა-ფშაველას მე-4 კვარტალი, მე-17 კორპუსი მე-4 სართული, ბინა 12. ფასი 14 000 დოლარი. ტელ: 31-29-44.

■ ტიპური ოროთახიანი ბინა დიდუბეში, გამოფენის პირდაპირ. 8-სართულიანი სახლის მე-4 სართულზე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 37-39-62, 38-01-63.

■ კასპის რაიონის სოფელი კავთისხევის ცენტრში ორსართულიანი გარემონტებული სახლი, საკუთარი ეზოთი, ხეხილით და ვაზით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 71-85-17.

■ კუმისში, სადგურიდან მე-3 სახლი. კეთილმოწყობილი ეზოთი, მსხმოიარე ბაღით და ვენახით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 72-45-07, იკითხეთ რაფიკა.

■ 2-ოთახიანი სუფთა ბინა მეტრო „სამგორთან", სტანდარტული ხუთსართულიანი კორპუსის მე-2 სართულზე. ტელეფონით, სარდაფით. ფასი 8000 დოლარი. ტელ: 78-58-70.

■ ფოთის ცენტრში სოფისედ, სავაჭროდ გამოსადეგი ფართი. 240 კვ.მ. გაყოფილი სამ ნაწილად. ფასი შეთანხმებით. ტელ: 31-22-56 ან 95-15-57.



## ვიყიდი

■ ბით, აბაზანით, ტელეფონით. იმავე ეზოში ცალკე პირველ სართულზე ორი ოთახი (27+18) ბაღით, ყოფილ მალაკნების ბაზართან, 9 ძმის ქუჩა 21. ფასი 20000 დოლარი. ტელ: 51-43-28.

■ 3-ოთახიანი გარემონტებული ბინა, ბახმელნიცკის ქ.-ზე. ტელ: 22-25-01, 99-55-61.

■ რუსთაველზე აბაშიძის 4, ოპერის გვერდით სამოთახიანი ლოჯით, ურემონტო ბინა. ტელ: 22-25-01, 99-55-61.

■ სამოთახიანი იზოლირებული, კუთხის ბინა მიშენებით. 4-სართულიანი სახლის მე-3 სართულზე. საბურთალოს ბაზართან, ცაგერის ქ. 3. ფასი შეთანხმებით. ტელ: 37-52-86.

■ სამსართულიანი სახლი-სახელოსნო, ზემოდან მე-4 სართულით (ან ქირავდება საზღვარგარეთის საელჩოსთვის ან ოფისისთვის), მისამართი: გამრეკელის ქ. 37 (ნუცუბიძის ქუჩიდან). ფასი შეთანხმებით. ტელ: 30-13-72 ან 31-71-68, იკითხეთ ნინო ან ირა.

■ სასწრაფოდ სამოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა გადასახვლელი ხიდის მიდამოებში, მეუნარგიას ქუჩა 73, ბინა 33. ტელეფონით, საგარაჟე ადგილით, დაშენების პერსპექტივით. საწყისი ფასი 18000 დოლარი; მიწის ნაკვეთი 700 კვ.მ. ვენახით, ყველანაირი მრავალწლიანი ხეხილით, სახლით, სოფ. გლდანის მიმდებარე ტერიტორიაზე. საწყისი ფასი 2800 დოლარი; მიწის ნაკვეთი (600 კვ.მ.) წავმიანში (უჯარმისკენ), სახლი პირველი სართული აშენებულია. საწყისი ფასი 1000 დოლარი. ტელ: 96-93-01.

■ ქვემო წყნეთში ორსართულიანი აგურის სახლი დიდი ეზოთი. ფასი 100 ათასი დოლარი. შესაძლებელია გაცვლა თბილისში ოთხოთახიან ბინაზე ქალაქის ცენტრალურ რაიონში. ტელ: 22-41-06.

■ ერთოთახიანი იზოლირებული ბინა ვაკეში ფინური სამზარეულოთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 22-22-48, ნათელა.

■ სამტრედიაში ორსართულიანი ხუთოთახიანი ბინა. ფასი შეთანხმებით. ტელ: 22-22-48, ნათელა.

■ 3-ოთახი ნუცუბიძის ქუჩის ბოლოში, პირველ სართულზე, 6 მ.ჭერით, ან იცვლება იგივე რაიონში ერთ ოთახიანზე. ტელ: 37-33-22, ნანა.

■ ჩხეიძის ქუჩაზე 2-ოთახიანი ბინა ლოჯით. ტრავმატოლოგიურ საავადმყოფოსთან 14 კვ.მ+11 კვ.მ+7 კვ.მ, ბელეტაჟზე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 37-33-22, ნანა.

■ ქავთარაძის ქუჩაზე 3-ოთახიანი კუთხის ბინა ლიჩკომბინატთან, 8-სართულიანის მე-7 სართულზე. ტელეფონით და სარდაფით. ტელ: 98-59-90, მარინა, კაკო, 37-33-22, ნანა.

■ მალთაყვაში (ქფოთი) 3000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი 4-ოთახიანი კაპიტალური ფინური სტილის სახლით. სახლს აქვს გათბობა. არის ციტრუსების ბაღი, ხეხილით. საკუთარი სარწყავი სისტემით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 51-16-13, თემური.

■ მთაწმინდაზე, ძმები ზუბალაშვილების, ყოფილი ათარბეგოვის № 34-ში, ოროთახიანი ბინა. ტელ: 98-57-67 (სახლი), 99-05-33 (სამსახური).

■ ერთოთახიანი გადაკეთებული ორ ოთახად გლდანის მეოთხე მიკრორაიონში ცხრა სართულიანი სახლის მე-9 სართულზე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-97-95 (სახლი, 6 სთ-ის შემდეგ).

■ 2000 კვ.მ. ფართობის ნაკვეთი კაკლის ხეებით. 2-სართულიანი სახლის საძირკველი, პროექტი, საცხოვრებელი ვაგონი დუშეთთან ახლოს, სამხედრო გზაზე. ფასი 3500 ლარი. ტელ: 98-80-23. სათავსებით, 25 კვ.მ. საწნახელიანი სარდაფით. წინამძღვრიშვილის ქუჩაზე, მეტრო მარჯანიშვილის უკან. საწყისი ფასი 27000 დოლარი. ტელ: 95-49-97, 38-69-57.

■ 4-ოთახიანი, საკუთარი ბინა კეთილმოწყობილი, ორ-სართულიანი სახლის მე-2 სართულზე, აქვს სარდაფი, გათბობა, ტელეფონი, პატარა ეზო და მანქანის გასაჩერებელი ადგილი. სახურავი ახალი გამოცვლილია. მისამართი: გორკის შეა მეორე მიკრორაიონი. ტელ: 38-30-30. იკითხეთ ნინო ან ჟუჟუ.

■ ერთოთახიან ბინას ქალაქის ნებისმიერ რაიონში 1200 ლარის ფარგლებში. ტელ: 23-26-84.

## ვცვლი

■ მთაწმინდაზე ერთ ოთახს საკუთარი სამზარეულოთი და სათავსოთი ერთოთახიან იზოლირებულ ბინაზე გარეუბანში. ტელ: 98-51-50, მარინა.

■ აგარაკ თბილისის ზღვის მახლობლად ოროთახიან ბინაზე ქალაქის ცენტრალურ რაიონებში. აგარაკს აქვს ოთხოთახიანი ბინა ბუხრით, ხეხილის ბაღი, ცალკე მიწის ნაკვეთი. ეზოში დამხმარე ნაგებობები დგას. დასაშვებია აგარაკის გაყიდვაც. ტელ: 96-65-42.

■ ერთოთახიან იზოლირებულ, ახალ ბინას (ყაველაშვილის პროექტი) დიდი დიღომიდან (IV მ/რ, XII კორპ. VII სართული) ნუცუბიძის ფერდობის ნებისმიერ მ/რაიონში ან მთაწმინდის რ-ნში. ტელ: 31-46-65.

■ ოთხოთახიან ბინას ორ ოროთახიან ან (2+1) ბინაზე. დიღმის მასივში 14-სართულიანი სახლის მე-13 სართულზე (მუდმივად არის დენი, წყალი და ლიფტი). ორი ლოჯით, სათავსოებით, ავტო სადგომით, ტელეფონით, ფასი შეთანხმებით. ტელ: 22-32-24, 29-06-60.

■ ოროთახიან ბინას აბასთუმნიდან თბილისში ერთოთახიანზე . ტელ: 23-51-81.

■ სამოთახიან ბინაში ან ვუიდი ოთხოთახიან ბინას ვაკეში, შატბერაშვილის ქ. 4-ში, შვიდსართულიანი სახლის მე-5 სართულზე. ტელ: 29-06-11.

■ აგარაკს ოროთახიან ბინაზე თბილისში. აგარაკი იმყოფება თბილისის ზღვის თავზე. ოთხოთახიანი ბინა ბელეტაჟზე, ხეხილის ბაღით, ცალკე მიწის ნაკვეთით. ეზოში სხვა დამხმარე ნაგებობები დგას. შემოღობილია ქართული აგურით. შესაძლებელია აგარაკის გაყიდვაც. ტელ: 96-65-42.

■ ერთ და ოროთახიან ტელეფონიან იზოლირებულ ბინებზე ან ვყიდით ოთხოთახიან არასტანდარტულ ბინას ვერაზე პეტრიაშვილის ქუჩაზე (ფართი 70 კვ.მ.) ლვინის ქარხანასთან 10-15 მეტრში, 2 ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. მსურველებს შეგიძლიათ დარეკოთ სალამოს 6 სთ-ის შემდეგ: 29-40-94, 23-50-36.

■ სასწრაფოდ ახალ, მაღალი ხარისხის ნორკის ქურქს 48 ზომას, 6,5 ტონა ფურცლოვან ლითონზე (სისქე 1-3 მმ). ტელ: 34-72-36.

■ სამოთახიან ბინას, აგურის სახლის პირველ სართულზე, მოსკოვის გარეუბნიდან (25 წთ. სავალი კურსკის ვაგზლიდან) თბილისში ოთხოთახიან ბინაზე. მასივებს ნუ შემოგვთავაზებთ. ტელ: 36-12-46, 93-14-31.

■ ერთოთახიან პრივატიზებულ ბინას სამგორის რ-ში ჰოჭინაძის ქ. №1, 9-სართულიან კორპუსის მე-5 სართულზე. ბინა გარემონ... ბულია. ოთახის ფართი 21 ... ლოჯი 8 კვ.მ, სამზარეულ... კვ.მ, იატაკი პარკეტის, ვანაში... სამზარეულოში კაფელი, ტე... ფონი, ასევე გარემონტებ... სარდაფი. ვთხოულობ: ერ... თახიან ბინას იზოლირებულ... რპუსში საბურთალოს რაიონ... ტელ: 95-66-52, ჟანა.

■ 1,5-ოთახიან იზოლირებულ ბი... ნას ამოშენებული ლოჯით, ... მელიც მდებარეობს მეტრო ... რკეთილიდან 1000 მეტრის ... შორებით, მეორე მიკრორაიონ... ში (პლატო) კორპ. 22, ბინა ... ნუცუბიძის პლატოს ან საბურ... თალოს რომელიმე კვარტალ... იგივე მოცულობის ან ერთო... ხიან ბინაზე. ტელ: 31-14-58, 7... 02-69, 73-59-26, ციალა, თამარა, ნინო.

■ 3-ოთახიან იზოლირებულ ბინას... რომელიც მდებარეობს მეტ... ვარკეთილიდან 70 მეტრ მანძ... ზე, ჩავახეთის ქ № 6 კორპუსი, ბინა... 30. თბილისის სხვა რომელიმე რა... იონში 3 ან მეტ ოთახიანზე. ტ... 73-02-69, შოთა, 73-59-26, ნინო...

■ ერთოთახიან ბინას (ყაველაშვი... ლის პროექტი) ოთახი 21 ... ლოჯი 8 კვ.მ. კუთხის ბინას ... ხრივ აივნები. სამგორის რ-ნი ... ჰოჭინაძის ქ. №1, 9-სართულიანი ... ხლის მე-5 სართულზე, რემონ... გაკეთებულია, იატაკი პარკ... სამზარეულოში, ვანაში კე... კარები რკინის, ტელეფონი, ... რემონტებული სარდაფი. მ... გავცვალო ბინა საბურთა... რაიონში ერთოთახიან იზოლ... რებულ ბინაზე, კორპუსში. ტელ: 95-66-52, ჟანა.

■ 2-ოთახიან იზოლირებულ პრი... ვატიზებულ სუფთა ბინას 5-სარ... თულიანი სახლის მე-4 სართულ... ზე, დიღმის მასივში ბაზართან ... ლოს, ერთოთახიან იზოლირე... ბულ ბინაზე დიღმის მასივში, ... დუბეში ან საბურთალოზე პ... ველ, მეორე და ბოლო სარ... თულს ნუ შემომთავაზებთ. ... რეკეთ 51-11-47 ან 66-00-3...

■ ოროთახიან იზოლირებულ ბი... ნას, აივნით მეტრო მარჯანიშვ... თან ახლოს დავით აღმაშენებ... 95 ა, მე-2 სართული; ერთ ... ოთახნახევრიან ბინაზე, სურვ... გვაქვს გავცვალოთ კავშირ... დის (ყოფილი პეკინის), მთაწ... ნდის ან სოლოლაკის რაიონ... მიდამოებში. ტელ: 96-72-... იკითხეთ რუსუდანი.

■ ქუთაისში რუსთაველის პროს... ქტზე პრესტიჟული ოთხსართ... ლიანი სახლის მეოთხე სართ... ზე მდებარე კუთხის ნათ... ოროთახიან (ოთახები 20+1... კვ.მ., მიშენებული ლოჯი — ... კვ.მ., ჭერი 3,60 სმ.), აივნიან, სა... დაფიან, ტელეფონიან, პრივა... ზებულ ბინას ქ.თბილისში 1-... ოთახიან ბინაზე ქალაქის ცე... რალურ რაიონებში. ტელ: 22-00-46, მაია.

■ 2-ოთახიან ბინას (ზელინსკის ... 30 000 ბოთლ შამპანურში. ... ზარ მაისურაძე.

■ ვაჟა-ფშაველაზე ორ გარემ... ტებულ ბინას — ერთი ორო... ხიანი, მეორე — ოთახნახევ... ნი, 4 ან 5-ოთახიან ერთ ბინ... ტელეფონი: 39-56-93.

■ ერთოთახიან ბინას ამოშენე... ლი ლოჯით 9-სართულიანი ... ლის მე-9 სართულზე. ვარკე... ლის ზემო პლატოდან (მე... ვარკეთილლიდან ერთ კილ... ტრში) ვაჟა-ფშაველას IV, III ... კვარტალში ან ნუცუბიძის ... ტოზე. ტელ: 31-14-58, 73-02-69, 73-59-26. ნინო.

■ ტიპური პროექტის ერთო... ან ბინას მაღალ ბელეტაჟზე ... კასიის ბირჟის" პირდაპირ ... ტიპური პროექტის ერთო... ან ბინაზე მეტრო „დელისის" ... დამოებში თანხის დამატებით... რველ და ბოლო სართულებ... შემოგვთავაზებთ. ტელ: 38-18-06, 31-76-07.



## ...ტოზირჟა

...ვიდი ჟიგულს ვაზ 21-07, 1984
...ის გამოშვება, თეთრი ფერის.
...ი 2500 ლარი. ტელ: 95-94-70.
...ვიდი ვაზ 21011 მარკის ავტომო-
...ს (1975 წ.) თეთრი ფერის. მუ-
... მდგომარეობაში. ფასი 1200
...რი. ტელ: 71-52-96.
...ვიდი ავტომანქანას „მაზდა-626“
...ლიანი სტანდარტით. ფასი
...თანხმებით. ტელ: 38-55-78.
...ვიდი ავტომანქანა 06 მარკის
...ის კარგ მდგომარეობაში.
...ტელ: 37-62-56.
...ვიდი ვაზ-21-011 მარკის მანქა-
... 1975 წელს გამოშვებული.
...თეთრი ფერის, მუშა მდგომარე-
...ში. ფასი 13000 ლარი.
...ტელ: 71-52-96.
...ვიდი მსუბუქ ავტომანქანას „ზი-
...“ აუწყობ მდგომარეობაში.
...ან ნაწილებით. ფასი 700
...ლარი. ტელ: 34-43-83.
...ვიდი ავტომანქანა „ვაზ 21-07“
...84 წლის გამოშვება. ფასი 2500
...რი. ტელ: 95-73-37.
...ვიდი თეთრ 07-ს, თეთრი ფე-
...ს 1983 წლის გამოშვება, 2800
...რი. ტელ: 31-62-83.
...ვიდი სატვირთო თვითმცლელ
...ავტომანქანას „ზილ 130“, ფასი
...შეთანხმებით. ტელ: 73-59-36.
...ვიდი მანქანა — 09-ის პარპრიზს,
...ფასი შეთანხმებით.
...ტელ: 36-36-54, კარლო.
...ვიდი სასწრაფოდ სატვირთო
...მანქანას გაზ-66. 1991 წლის გა-
...მოშვებული, საუკეთესო მდგო-
...მარეობაში, ფასი 2500 ლარი.
...ტელ: 95-78-90, 10-16 სთ-მდე.
...ვიდი თეთრი ფერის ავტომანქა-
...ნას „ვოლგა“ გაზ-21, მუშა
...მდგომარეობაში, ფასი შეთანხ-
...მებით. ტელ: 37-21-33, ბორისი.
...ვიდი რუმინულ ორხიდიან მან-
...ქანას „არო“. 1990 წლის გამოშ-
...ვება, ბენზინზე. ფასი შეთანხმე-
...ბით. ტელ: 30-45-74.
...ვიდი ვაზ-ვინჯურ პერლამუტრ
...-სენტორის" — ავტომა-
... 1987 წლის გამოშვება.
...შეთანხმებით.
...23-45-08.
...-53" მარკის ავტომან-
...გამოშვებული 1990 წელს.
...ავს 25000 კმ. სულ...
...მდგომარეობაში. ფასი შე-
... მსურველებს შეუძ-
...მისამარ-
...ეფრენის ქ. 77ბ, მე-
...ზოლოთი, ბინა 27. ტელ:
...25, არჩილი.
...სასწრაფოდ 1981 წლის
... მარკის ავტომანქანა
...მდგომარეობაში. ფასი 4500
...ან ან გადარიცხვით.
...14-72-36.
...ყველა სახის ავტომობი-
...თანამედროვე...
...37-35-54, გიგი, 34-39-68.
...ფერის ვოლგას
... ფასი 700 დოლარი. ტელ:
...43, იკითხეთ ბორისი.
... 1986 წლის გამო-
... კარგ მდგომარეო-
...დამატებითი...
... ფასი 6000
...36-38-55, 36-07-68.
...ლითონის გარაჟს ორ-
...ქუჩაზე „ორბიტას-
... 30 ... თვეში.
...47-38.
...ყველა სახის ავტომობი-
...თანამედროვე...
...37-35-54, გიგი, 34-39-68.
...მანქანას ვაზ 21-21,
... 1990 წელს, თეთ-
... კარგ მდგომარეობაში
... როგორც ნაღდ ანგარი-
...გადარიცხვით).
...41-45-52.

## ვაქირავებ



■ ვაკეში, კერძო ბინაში ერთ ოთახს სამზარეულოთი, აბაზანით, ტელეფონით. მის.: შატბერაშვილის 46ბ, 48 კუთხის სახლთან ჩამოსახვევში — ვაქირავებ ორ ბიჭზე. ფასი 40 დოლარი. ტელ.: 29-42-23.

■ ერთოთახიან იზოლირებულ ბინას წერეთლის გამზირზე, ავტონაწილების მაღაზიასთან. ტელ.: 22-43-50. ფასი შეთანხმებით.

■ 2,5-ოთახიან ბინას 2-სართულიანი სახლის პირველ სართულზე, მაღალ ბელეტაჟზე. გარემონტებული უცხოური ავეჯით, ფერადი ტელევიზორით, კონდენციონერით, მანქანის გასაჩერებელი ადგილით. ჩუღურეთის რაიონში. ტელ.: 95-04-46.

■ ოროთახიან, ლოჯიან, სუფთა ბინას ტელეფონით, მანქანის დასაყენებელი ადგილით, 5-სართულიანი სახლის პირველ სართულზე მაღალ ბელეტაჟზე. მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტთან“, ფასი 200 დოლარი.
ტელ.: 37-23-78, 37-29-73.

■ ერთოთახიან, კეთილმოწყობილ ბინას აივნით, ავეჯით და ტელეფონით. ფასი 125 ლარი.
ტელ.: 99-75-64.

■ ოროთახიანი ბინის ერთ ოთახს სტუდენტ გოგონაზე. მის.: გლდანის პირველი მიკრორაიონი, მე-9 კორპუსი, მე-2 სადარბაზო, ბინა 45. მეტროსთან ახლოს. ტელ.: 67-45-64, იკითხეთ ელისო ან ნანა. ოჯახი ნუ გამოგვეხმაურება.

■ კერძო სახლში ერთ ოთახს (19 კვ.მ.) აივნით, ჰოველიძის ქუჩაზე (ვერა, ყოფილი ბელინსკი).
ტელ: 29-09-14.

■ 3-ოთახიანი ბინის ერთ ან ორ ოთახს, ქავთარაძის ქუჩაზე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 38-55-78.

■ კეთილმოწყობილ, გარემონტებულ სარდაფს სათავსოთი ალმაშენებლის გამზირზე. მოსახერხებელია სავაჭრო საქმიანობისთვის და საბითუმო საწყობის განსათავსებლად. ტელ: 96-35-82, 96-80-86.

■ ოროთახიან გარემონტებულ ბინას ცხელი წყლით. ტელ.: 98-12-04, 98-96-44 (იკითხეთ ნაირა).

■ ერთოთახიან ტელეფონიან ბინას ვაჟა-ფშაველაზე. ტელ.: 23-32-92, 39-19-22, იკითხეთ მედიკო.

■ ოთახნახევრიან იზოლირებულ ბინას რკინის კარებით, საჭირო ავეჯით, დიდ დიღომში (16 სართულიანი სახლის მეთორმეტე სართულზე). ფასი 70 ლარი. ტელ.: 38-64-69, 51-53-29.

■ ოთახნახევრიან საუკეთესო ბინას უცხოელებისთვის ჭავჭავაძის გამზირზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 38-01-11.

■ საოფისედ 2-ოთახიან იზოლირებულ ბინას ალმაშენებლის მიმდებარე ქუჩაზე მუსიკალურ ცენტრთან, ავეჯით და ტელეფონით. ფასი შეთანხმებით.
ტელ.: 38-01-11.

■ ვაკის პარკთან, ტაბიძის ქუჩაზე სამოთახიანი იზოლირებული ბინა ავეჯით, მანქანის სადგომით, ტელ.: 23-17-31, 90-71-98.

■ ხუთოთახიან ბინას უცხოელებზე, ვაკის პარკთან. ფასი შეთანხმებით; ოროთახიან სუფთა ბინას საბურთალოს ცენტრში, ავეჯით და ტელეფონით, ფასი შეთანხმებით. ტელ.: 38-01-11.

■ ვერაზე ფილარმონიასთან ახლოს 4-ოთახიან არასტანდარტულ ბინაში ერთ იზოლირებულ ოთახს ავეჯით, ტელეფონით. სასურველია სტუდენტი გოგონებისთვის. ტელ.ნ 23-32-26.

■ ჩუბინაშვილის 62-ში (ვაგზალთან ახლოს) სამსართულიან ბინას საოფისედ ან სასტუმროს მოსაწყობად. ფართობი 400 კვ.მ. ტელ.: 95-36-84.

## ვიქირავებ



■ ან შევიძენთ სამრეცხაოს მოსაწყობად ნახევრად სარდაფის ტიპის არაუმეტეს 50 კვ.მ. ფართს. გასათვალისწინებელია მიმდებარე ტერიტორიაზე ავტომანქანის გაჩერების შესაძლებლობაც. ტელ.: 93-48-27 (ნინო); 93-30-54 (ლია), 10-დან 17 საათამდე; 72-09-66, 19-დან 22 საათამდე.

■ ბინას ქალაქის ცენტრში რომელიმე მეტროსთან ახლოს.
ტელ.: 36-18-38.

■ ქართული პურის საცხობ თონეს ან თონესთვის გამოსადეგ სათავსოს. ტელ.: 39-86-39.

■ ერთოთახიან ბინას მეტრო „ნაძალადევთან“ ახლოს.
ტელ.: 37-23-78, იკითხეთ ეკა.

■ უცხოელს სურს სასწრაფოდ იქირაოს 5-6 ოთახიანი გარემონტებული ბინა ავეჯის გარეშე, გარაჟით ქალაქის ცენტრში. 2-3 წლით. ტელ.: 95-30-35 (დღისით), 23-35-53, 38-00-66 (საღამოს), იკითხეთ თამრიკო.

■ 30 კვ.მ. ფართობის გასტრონომს ან შესაბამისი ფართის შენობას ქალაქის ცენტრში კომერციული საქმიანობისთვის. ტელ.: 29-28-77 (ბინა), 93-19-93 (სამსახ.) გოგი.

■ ერთ ან ოროთახიან ბინას ვერავაკის მიდამოებში, 100 დოლარის ფარგლებში. ვარ ერთი სტუდენტი გოგონა. ტელ.: 23-20-11 ან 23-38-96
(იკითხეთ ნანა ან მაიკო).

■ ორგანიზაცია იქირავებს მსუბუქ ავტომანქანას მძღოლის გარეშე. ტელ.: 93-66-28.

## სხვადასხვა

■ ვამზადებ სკოლის მოსწავლეებს მათემატიკაში ბინაზე მისვლით. ტელ.: 35-24-81, იკითხეთ ნინო.

■ ვკერავ სამზითვო ლეიბებსა და საბნებს. ტელ.: 95-61-61.

■ მოვუვლი ნებისმიერი ასაკის ბავშვს. ტელ.: 61-21-62, იკითხეთ მაია.

■ ვამეცადინებ მოსწავლეებს პრაქტიკულად ყველა საგანში, მე-9 კლასის ჩათვლით (უცხო ენების გარდა), სახლში მისვლით. ბავშვს წავიყვან და მოვიყვან სკოლიდან, მეთვალყურეობას გავუწევ მშობლების მოსვლამდე. ტელ.: 38-97-76, 39-36-18, იკითხეთ მზიურა 4 საათის შემდეგ.

■ ვყიდი სადილის სერვიზს, ფირმა „ჯონსონ ბროსი“ 61 ნაჭრით, თეთრ-ცისფერი. ფირმის მარკა აღნიშნულია სამეფო გვირგვინით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 34-04-05, იკითხეთ ეკა.

■ ვყიდი კარგად შენახულ საძინებლის „რეჟანსი“, რუმინულ სამზარეულოს „პეტეში“. ორივეს ფასი 3000 დოლარი. მის.: დიდი დიღომი, იოანე პეტრიწის 12, ბინა 120, ტელ.: 62-07-07, საღამოს საათებში; სამსახური: 36-88-37, იკითხეთ ნუნუ.

■ ვამზადებ გერმანულ ენაში, ბერლინში და მიუნხენში შემუშავებული ლინგაფონული სისტემის პროგრამით, ვთარგმნი დოკუმენტებს და ა.შ. ტელ.: 98-45-53.

■ ვყიდი ყურძნის საწურს თავისი წნეხით. მუშაობს როგორც ელექტრონზე, ისე ხელით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 22-41-85.

■ ვხსნი კერძო რუსულ ბაღს 9-დან 17 საათამდე. რაოდენობა 3-4 ბავშვი. მის.: ლესელიძის ქ.№9 (კაფე „ოლიმპიკის“ თავზე). ტელ.: 98-40-36, იკითხეთ მარინა.

■ ვყიდი ძველებურ ავეჯს, როიალს, ორ თეთრ საძინებელს, სასადილოს კარგ მდგომარეობაში, ძველებურ კაკლის ტანსაცმლის კარადას. ტელ.: 99-90-66.

■ ვყიდი წითელი მაკაგონის ხის ექვსკაციან მაგიდას სავარძლით. ფასი 500 ლარი. 40-კაციან წაბლის ხის მაგიდას. ფასი 500 ლარი. ტელ.:36-55-42.

■ ვყიდი წიგნების კარადა-სერვანდს. 300 ლარი. „სეკრეტერს“ — ეს არის დასახური საწერი მაგიდა თაროებით. 300 ლარი. წიფლის დსპ-სგან დამზადებულ მახიურ კამოდს. ზომა: სიგანე — 2 მ, სიმაღლე — 1 მ, სიღრმე — 55 სმ. ფასი 250 ლარი. ხელით საკერავ მანქანას „ზინგერი“, ფასი 150 ლარი. ანტიკვარულ თუჯის ორმაგ მაგიდას, ტელევიზორის და საყვავილეს დასადგამი. ფასი 150 ლარი. ტელ: 36-10-52, 98-39-46.

■ ვყიდი მუსიკალურ ინსტრუმენტს — ჩეხური წარმოების საყვირს — „არიოზო-სუპერ“ — თავისი კეისით. ფასი 300 ლარი.
ტელ.: 99-02-73.

■ ვყიდი სხვადასხვა ფორმისა და ფერის გემოვნებით გაფორმებულ აბაჟურებს ტორშერზე, ლამპებზე და ჭერზე ჩამოსაკიდს. ტელ.: 99-02-73.

■ ვხსნით გახანგრძლივებულ ჯგუფს ვაკის რაიონის სკოლების დაწყებითი კლასებისთვის, რუსული ენის გაძლიერებული შესწავლით. ტელ.: 22-84-27, 22-71-54, იკითხეთ დალი.

■ სამ თვეში შეგასწავლით სასაუბრო ინგლისურ ენას გრამატიკული საფუძვლით. ფასი — თვეში 20 ლარი. ტელ: 95-88-42, 23-24-79.

■ ვყიდი ძველებურ ანტიკვარულ თეთრ საწოლ გარნიტურს „როკოკოს“ სტილის, ჩებენდელის სამეულს, სადაფით და ორნამენტებით შემკულ ძველებურ „ბუფეს“. ტელ.: 22-24-62, იკითხეთ ნატო დილით 12 საათზე და საღამოს 8 საათამდე.

■ ვყიდი ექვსკაციან ახალ კარავს. ფასი 150 ლარი. ტელ.: 51-21-90, იკითხეთ ზურიკო ან გია.

■ ვყიდი ანტიკვარულ როიალ „ბეკერს“, გაკეთებულია დანიის მეფის დაკვეთით, ძალიან კარგ მდგომარეობაში. ტელ.: 96-89-47, იკითხეთ თინიკო.

■ ვყიდი სამზარეულო „ნონას“ (რუმინეთის); ვიდეომაგნიტოფონს „პანასონიკ“ ჟ-50; ტელევიზორს „პანასონიკ“ 72 დიაგონალით; ტელევიზორს „რადუგა-716“ დეციმეტრული — ფერადი, ეკრანი 61 დიაგონალით; ტელევიზორს „იუნოსტი-406“ დეციმეტრული (შავ-თეთრი), ეკრანი 33 დიაგონალით. მუშაობს 12 და 220 ვოლტზე; კონდიციონერს — БК-1500; ტრანზისტორს „ოკეანე“ — მუშაობს ელემენტებზე და 220 ვოლტზე; საბეჭდ მანქანას „ვისტვიცა“ — მექანიკური, ქართული შრიფტი; ფეხის საკერავ მანქანას „პოდოლსკი-2M“; წყლის გამაცხელებელს (ისრაელის გამოშვება). ფასები შეთანხმებით.
ტელ.: 72-26-31.

■ ვყიდი პურის საცხობ საამქროს, რომელიც მდებარეობს თამარ მეფის 13 ნომერში, ფასი შეთანხმებით. ტელ.: 96-12-78, 96-66-01.

■ შევასწავლი სალაპარაკო ინგლისურს და გერმანულს, მოვამზადებ აბიტურიენტებს ორივე ენაში. ტელ.: 93-43-23, იკითხეთ ნანა.

■ ვყიდი 80 მმ. დიამეტრიან მილებს, 11-მეტრიანს. ტელ.: 37-48-14.

■ ვამზადებ ბავშვებს რუსულ ენაში. ვასწავლი სალაპარაკო ენას. ტელ.: 71-81-93.

■ ვყიდი ხის დამამუშავებელ ჩარხს, ქარხნული წესით დამზადებული. ფასი 280 ლარი.
ტელ.: 67-33-60.

■ ვასწავლი ფრანგულ ენას. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 99-65-71.

■ ვყიდი რუმინულ ხის საწოლს. ახალს (შეფუთული) 2 ცალი. ერთის ფასი 220 დოლარი. ტელ.: 36-46-47, 23-41-02.

■ ვყიდი საგარეჯოში რკინის მილებში ჩასმულ ბადეებს 2X2. დამზადებულია შეკვეთით. ერთი ცალის ფასი 22 ლარი. ტელ.: 78-63-70.

■ უნივერსიტეტის ლექტორი ამზადებს ნებისმიერ მსურველს 14 წლის ზევით ინგლისურ ენაში, ბინაში მისვლით, არასტანდარტული ამერიკული ტესტური მეთოდით, თანამედროვე აუდიოკასეტების თანხლებით. ფასი ხელმისაწვდომია. ტელ.: 63-67-34.

■ ვყიდი ორ ცისტერნას. ერთი თავლიაა, ოთხ ტონიანი, ოთხკუთხედი ფორმის, თავისი ონკანით. ფასი 500 ლარი. მეორე თავდახურულია — სამტონიანი, მრგვალი ფორმის, ონკანით, ფასი 500 ლარი. ტელ.: 78-63-70 (იკითხეთ ციცინო).

■ ვყიდი ოთხმოცი მილიმეტრის დიამეტრის თერთმეტმეტრიან რკინის მილებს, აგრეთვე 6-მეტრიან ტესებურ რკინებს საბაზროზე ნაკლებ ფასში.
ტელ.: 37-48-14.

■ ვყიდი წიგნის ჩეხურ თაროებს 6 ცალი, ახალს, შეფუთულს. თითოეულის ფასი 35 ლარია. ასევე ჩეხურ მეტლახის ფილას, 20 კვ.მ., 1 კვ.მ. ფასი 10 ლარი. ჩეხური სალათისფერ უნიტაზს — 180 ლარი. ტელ.: 36-46-47, 23-41-02.

■ ვყიდი პურის საცხობ საამქროს თამარ მეფის № 13-ში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 96-12-78.

■ ვყიდი მწვანე ფერის ნივას (10 წლის, კარგ მდგომარეობაში), ფასი 2300 დოლარი; ორლულიან თოფს (საბჭოთა წარმოების) — 103 34-12, ფასი 400 დოლარი. ტელ.: 36-71-52.

■ ვყიდი უჟანგავ ფოლადის ერთი ტონის ტევადობის რეზერვუარს. ფასი 500 ლარი; ორი ტონის ტევადობის ფასი 600 ლარი; გამსახურდიას ტბის შვიდაბზიანი ლუმელი, ორი ქვაბით, საზელი და სხვა მოწყობილობები. ფასი 3500 ლარი. ტელ.: 71-52-96, სერგო.

■ ვყიდი რკინის მასალა „ტავრიას“, სოფელ წავკისში, 6-მეტრიანი, 200 ცალი.

■ ფასი ერთი მეტრი — 80 თეთრი, რკინის 11-მეტრიანი მილები 80 მმ. დიამეტრის, ფასი ერთი მეტრის 4 ლარი; ტელ.: 37-48-14 17 საათის შემდეგ.

■ ვყიდი წიგნის ჩეხურ თაროებს შეფუთულ მდგომარეობაში (3 ცალი). ერთი თაროს ფასი 30 ლარი. ტელ.: 98-58-65 (ნუნუ).

■ ვყიდი კარავს 6 კაცზე. ძალიან იაფად. ტელ.: 23-32-26.

■ ვამზადებ გერმანულში.
ტელ.: 98-45-53.

■ ვყიდი სხვადასხვა ჯიშის დახერხილ ხის მასალას. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 36-48-25 (დღე), 37-04-06 (საღამო), იკითხეთ სოსო.

■ ვყიდი გერმანულ ორლულიან (ვერტიკალურ) სანადირო თოფს. გამოშვებულია „ზაუერის“ ქარხანაში. კარგ მდგომარეობაში. მოხატული, რეგისტრირებული, გილზების ამომგდები ეჟექტორით. ფასი 1800 დოლარი. შეიძლება გაცვლა ნახმარ ნორმალურ მდგომარეობაში მყოფ „ჟიგულში“. ტელ.: 23-19-62 (დილის 8-დან 11 სთ-მდე).

■ მოვამზადებ ქართულ ენასა და ლიტერატურაში სკოლის მოსწავლეებს და აბიტურიენტებს უმაღლეს დონეზე. ტელ.: 98-24-09, დარეკეთ საღამოს საათებში, იკითხეთ მარინა.

■ ვყიდი ხელის საკერავ მანქანას „ზინგერი“. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 39-72-75.

■ ვყიდი წიფლის ДСП-სგან დამზადებულ მახიურ კამოდს — ანტრესოლი (ლოგინის ჩასაწყობი და ა.შ.) ზომა 2მX1 მ (სიმაღლე)X55 სმ (სიგრძე). ფასი 300 ლარი, სეკრეტერი (დასახური საწერი მაგიდა თაროებით). ფასი 300 ლარი. და საკერავი მანქანა

---

**გაზეთ „გულანის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს ბატონ ნიკო ლეკიშვილს დედის გარდაცვალების გამო.**

---

**ინსტიტუტ „დელტას“ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება ინსტიტუტის დირექტორის, გენერალური კონსტრუქტორის გივი ლეკიშვილის დედის გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

თბილისის პრესის გავრცელების სააქციო საზოგადოება „მაცნე“-ს კოლექტივი იუწყება სახელმწიფო მინისტრის, ნიკო ლეკიშვილის დედის გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

**გაზეთ „კავკასიონის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს ბატონ ნიკო ლეკიშვილს დედის გარდაცვალების გამო.**

ხელბურთი

# ორიოდე სიტყვა ხელბურთზე და არა მხოლოდ გუშინდელ მატჩზე

სამშაბათს თბილისის სპორტის სასახლეში საქართველოს ვაჟ ხელბურთელთა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის საკვალიფიკაციო მატჩში უკრაინის ეროვნულ გუნდს უმასპინძლა.

პირველი ტაიმი, თუ არ ჩავთვლით საწყის რამდენიმე წუთს, ქართველი ხელბურთელების უპირატესობით წარიმართა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ კალანდაძე და თურქია, რომლებიც მოსვენებას არ აძლევდნენ მეტოქის დაცვასა და მეკარეს. მიუხედავად თვალში საცემი უპირატესობისა, ჩვენმა გუნდმა ვერ შეძლო სამ ბურთზე მეტით დაწინაურება და ტაიმი 13:10 მოიგო. შეხვედრის მეორე ნახევარში მასპინძლებმა ტემპი გაზარდეს, თამაში სწრაფ კონტრიერიშებზე ააგეს და ანგარიშში სხვაობამაც ზრდა დაიწყო. ამ პერიოდში მშვენივრად ითამაშეს კეკელიძემ და ორჯონიკიძემ, და პირველ რიგში, მათი კარგი თამაშის წყალობით მეორე ტაიმის შუა წელისთვის ანგარიში 21:15 გახდა და გაჩნდა იმის იმედი, რომ ქართველი ხელბურთელები განმეორებითი შეხვედრის წინ ბურთების სასურველ მარაგს შეიქმნიდნენ, მაგრამ... თამაშის დარჩენილი მონაკვეთი ჩვენმა ნაკრებმა 2:10 წააგო. აშკარად გამოჩნდა, რომ ქართველი ხელბურთელების ფიზიკური მომზადება ძალზე დაბალ დონეზე არის — მასპინძლები დაღლილობის გამო ელემენტარულ შეცდომებს უშვებდნენ, საერთოდ, აღარ ჩანდნენ თურქია და კალანდაძე, დაცვაში მოიშალა ელემენტარული ურთიერთდაზღვევა და მატჩის ბოლო წუთებში მასპინძლები უსუსურად გამოიყურებოდნენ არცთუ ძლიერი მეტოქის ფონზე. საბოლოოდ, საქართველოს ნაკრები 23:25 დამარცხდა და საეჭვოა, რომ საპასუხო შეხვედრაში, რომელიც დღეს გაიმართება უკრაინაში, შეძლოს მდგომარეობის გამოსწორება. არადა, უკრაინის ნაკრები ნამდვილად არ ჩანდა ის გუნდი, რომლის დამარცხება ჩვენებს არ ძალუძდეთ — ინდივიდუალური მონაცემებით, ქართველი ხელბურთელები აშკარად სჯობდნენ სტუმრებს, მაგრამ ფიზიკური მომზადება, რომელიც, სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში სათამაშო სახეობათა წარმომადგენელი ნებისმიერი ქართული გუნდისთვის აქილევსის ქუსლად იქცა, ჩვენს ხელბურთელებს უაღრესად დაბალი დონის აღმოაჩნდათ. ამ ნაკლის კომპენსაცია მატჩის ბოლო წუთებში ნებისყოფითა და ხასიათის სიმტკიცით შეიძლებოდა — ამაშიც ვერ ვივარგეთ — როდესაც უკრაინელები თითქმის უბრძოლველად ამცირებდნენ ანგარიშის სხვაობას, მასპინძლებმა ყურები ჩამოყარეს და გუნდში არ აღმოჩნდა ლიდერი, რომელიც თანაგუნდელებს გამოაფხიზლებდა. ერთი პირობა, თითქოს კეკელიძემ სცადა ამის გაკეთება, მაგრამ მან უბრალოდ, ფიზიკურად ვერ შეძლო წინ გასძღოლოდა გუნდს.

კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანი — მთელი შეხვედრის მანძილზე ქართველი ხელბურთელები დაცვაში ერთი და იგივე ტაქტიკური სქემით, ეგრეთ წოდებული პასიური ვარიანტით — ექვსნი ხაზზე თამაშობდნენ და სხვა რაიმე ვარიანტი არც უცდიათ. ალბათ, შეიძლება იმის თქმა, ჩვენები რომ არ დაღლილიყვნენ, ამ ერთფეროვანი ტაქტიკითაც იოლად სძლევდნენ მეტოქეს, ხოლო როდესაც გუნდი დაღლილობისგან ვეღარ მოძრაობს, რა აქტიურ და მრავალფეროვან თამაშზეა ლაპარაკი. მაგრამ თამაშში სხვა ტაქტიკური ვარიანტების გამოყენება აუცილებელია და საჭირო, მომავალში მაინც.

ასეა თუ ისე, დღეს უკრაინაში განმეორებითი შეხვედრა შედგება და იმედი ვიქონიოთ, რომ ხელბურთელები საპასუხო მატჩში უფრო წარმატებით ისპარეზებენ.

* * *

თამაში თამაშად, წავაგეთ და მორჩა. ვინ არ დამარცხებულა. საწყენი სხვა რამ არის — დიდი ხელბურთი (მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩზე დიდი და მნიშვნელოვანი რაღა უნდა იყოს?!) ისე გვესტუმრა და წავიდა, მთელ საქართველოს ვინ ჩივის, თბილისშიც კი ძალიან ცოტამ გაიგო ამ სტუმრობის შესახებ — სპორტის სასახლის ტრიბუნებზე რამდენიმე ასეული კაცი იჯდა. არადა, უკეთესი დროებაც გვახსოვს — ვიგებდიც კიდეც და ხელბურთზე ათი ათასი კაციც მიდიოდა ხოლმე.

დროება ვახსენე; გახსოვთ, ალბათ, იმ ძველ დროში ჩვენში ერთი გაზეთი გამოდიოდა რუსულ ენაზე, რომლის სახელი ქართულად რომ გვეთარგმნა, „აღმოსავლეთის ცისკარს" ვღებულობდით. დიდი არაფერი გაზეთი იყო, რაც „კომუნისტში" ქართულად ეწერა, ამ გაზეთში რუსულად წერდნენ და საერთოდ, ისეთი დრო იდგა, არათუ აღმოსავლეთი, დასავლეთიც წითლად უნდოდათ შეეღებათ. მე სხვა რამეს ვიგონებ — იმ გაზეთს ერთი ტრადიცია ჰქონდა; დეკემბრის თვეში თბილისის სპორტის სასახლეში ხელბურთელთა დიდ საერთაშორისო ტურნირს აწყობდა ხოლმე თავისი სახელობის პრიზზე.

კარგი ტურნირი იყო, ვინ აღარ ჩამოდიოდა — რუმინელები და უნგრელები, ესპანელები და გერმანელები, იუგოსლავები და სხვა ყველანაირი სლავები — აქაურებიც და იქაურებიც, ყველანი, ვინც ხელბურთს კარგად თამაშობდა.

ბირტალანიც გვინახავს და შმიდტიც, ხორვატიც და კოვაჩიც, კიდევ — ურია, კლიმოვი, მაქსიმოვი, იშჩენკო... ჩვენებიც რომ მაგრები იყვნენ, თანაც, შეიძლება, ყველაზე მაგრებიც; აბა, ცერცვაძე და ანპილოგოვი თუ სხვაზე ძლიერები არ იყვნენ, ვინღა იყო მაგათზე უკეთესი? ანდა, აბაიშვილი, ფხაკაძე, ტაბიძე, რომელი ერთი ჩამოვთვალო...

... და, მიდიოდა ხალხი ხელბურთზე — ათასობით. სპორტის სასახლეში ტევა არ იყო ხოლმე. გახსოვთ? მე კარგად მახსოვს. საერთაშორისო ტურნირს ვინ ჩივის, აქაური, საბჭოთა ჩემპიონატის მატჩებზეც დიდი აჟიოტაჟი იყო ხოლმე, თანაც, ხან ჩემპიონები ვიყავით, ხან პრიზიორები.

მერე იმ ტურნირმა ნელ-ნელა დაკარგა პრესტიჟი — უძლიერეს გუნდებს აღარ აგზავნიდნენ, ანდა სულაც აღარ ჩამოდიოდნენ ხოლმე. ბირტალანი და კოვაჩი მოგონებებში დარჩნენ... სულ ბოლოს პოლონელები გვსტუმრობდნენ სისტემატიურად. მერე კი ისინიც აღარ იყვნენ, ტურნირიც აღარ იყო უკვე.

ბოლოს ამ თექვსმეტი წლის წინ გაავსო ხელბურთის სანახავად მისულმა ხალხმა სპორტის სასახლე. თბილისის „ბურევესტნიკი" ევროთასებზე ესპანეთის გუნდს ხვდებოდა. პირველი მატჩი ცხრა ბურთით გვქონდა წაგებული, მაგრამ იმედი იყო, კარგი გუნდი გვყავდა. მარტო ანპილოგოვი რად ღირს, თანაც კრასნოდარელი კაზაკი გასიც დავიმატეთ, ისიც ძალიან მაგარი იყო. მახსოვს, პირველი ტაიმი ექვსი ბურთით მოვიგეთ, მეტი კი ვეღარ შევძელით; ამ წყეულ ექვს ბურთს ვერ ავცილდით და საბოლოოდ სამით დავკმაყოფილდით. ბოლოს და ბოლოს, დიდი არაფერი მოვლენა იყო — ევროთასების რომელიღაც ფინალის განმეორებითი შეხვედრა. იმიტომ დამამახსოვრდა, რომ მას შემდეგ ხელბურთზე ამდენი ხალხი აღარ მისულა.

... სამშაბათს ეროვნული ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს ატარებდა. წინა დღეებში ერთი-ორმა გაზეთმა გააკეთა განცხადება ამის შესახებ. ალბათ, ტელევიზიითაც გამოაცხადებდნენ, არ ვიცი, არ მომისმენია. არც აფიშები მინახავს... მე ის ვიცი და ის ვნახე, რომ ამ თამაშის სანახავად რამდენიმე ასეული კაცი მივიდა და იმათაც დიდად ხმა არ ამოუღიათ. არადა, ასეთ მატჩს მარტო გულშემატკივარი მოიგებდა, რომ ყოფილიყო.

აღარ დადის თბილისში ხალხი ხელბურთზე. საერთოდ, აღარაფერზე აღარ დავდივართ ქართველები ამ ბოლო ხანებში ბაზრისა და ბაზრობების გარდა, მაგრამ ფეხბურთსა და კალათბურთს, თუ რაგბის ხანდახან მაინც ვწყალობთ ხოლმე, ხელბურთზე რატომ არ გავიღეთ ეს მოწყალება? საწყენია. არადა, დადიოდა გულშემატკივარი ხელბურთის სანახავად, ტრიბუნებს ავსებდა ხოლმე, ერთგულად ქომაგობდა გუნდს. არ გახსოვთ? მე კარგად მახსოვს.

**გიორგი ბერიკაშვილი**

# ნორვეგიელებსაც გავუსწორდით

თბილისის „დინამომ" უეფა-ს თასის მეორე საკვალიფიკაციო წრის განმეორებით შეხვედრაში ფრედ — 0:0 ითამაშა ნორვეგიაში, იქაურ „მოლდესთან" და რადგანაც პირველი თამაში 2:1 ჰქონდა მოგებული, შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა.

არ გამართლდა ჩვენი გაზეთის საფეხბურთო მიმომხილველის, კახა ფაჩუაშვილის ჭარაუდი იმის შესახებ, რომ ნორვეგიელები საკუთარ მოედანზე აუცილებლად გაგვიტანდნენ გოლს — რაც არ უნდა საკვირველად მოგვეჩვენოს, ქართველმა ფეხბურთელებმა ძალზე ყურადღებით ითამაშეს დაცვაში და მასპინძლებს თავის გამოჩენის საშუალება პრაქტიკულად არ მისცეს.

„დინამომ" მატჩი ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ზოიძე, კალაძე, კობიაშვილი, ჯელაძე, მაჭავარიანი, გოგიჩაიშვილი, კიკნაძე, ჯამარაული, ცქიტიშვილი (კერძევაძე), ყიზილაშვილი (ხომერიკი), იაშვილი (კუდინოვი). სამწუხაროდ, პირველი ტაიმის ბოლოს მძიმე ტრავმა მიიღო დავით ყიზილაშვილმა. შემდეგი წრის პირველ მატჩს ვერ ითამაშებს კახი გოგიჩაიშვილიც, რომელმაც მეორე ყვითელი ბარათი მიიღო.

უეფა-ს თასის მომდევნო ეტაპის კენჭისყრა ხვალ მოეწყობა შვეიცარიაში. აქვე გთავაზობთ დანარჩენი მატჩების შედეგებსაც (გამოყოფილია შემდეგ ეტაპზე გასული გუნდი, ფრჩხილებში მოცემულია პირველი შეხვედრის შედეგი):

**სელტიკი** (შოტლანდია)-კოშიცე (სლოვაკეთი) 1:0 (0:0)

პაკა (ფინეთი)-**ლეგია** (პოლონეთი) 1:1 (0:3)

ლოკომოტივი (ბულგარეთი)-**რაპიდი** (რუმინეთი) 0:1 (0:1)

**ოდენსე** (დანია)-შლემა (მალტა) 7:1 (2:2)

**აპოელი** (კვიპროსი)-ირაკლისი (საბერძნეთი) 2:1 (1:0)

**სპარტაკი** (რუსეთი)-კროაცია (ხორვატია) 2:0 (1:3)

**ტორპედო** (რუსეთი)-პაიდუკი (ხორვატია) 2:0 (0:1)

**ნაციონალი** (რუმინეთი)-პარტიზანი (იუგოსლავია) 1:0 (0:0)

მურა (სლოვენია)-**ლუნგბიუ** (დანია) 0:2 (0:0)

ვარდარი (მაკედონია)-**პალმშტადი** (შვედეთი) 0:1 (0:0)

ჯაზი (ფინეთი)-**დინამო** (რუსეთი) 1:3 (1:1)

**აბერდინი** (შოტლანდია)-ჟალგირისი (ლიტვა) 1:3 (4:1)

**ბერი თაუნი** (უელსი)-ვასუტასი (უნგრეთი) 3:1 (1:3) პენალტებით ბერი თა[...]უნმა მოიგო

ლანტანა (ესტონეთი)-**არაუ** (შვეიცარია) 2:[...] (0:4)

**ბეშიქთაში** (თურქეთი)-დინამო (ბელარუსია) 2:0 (1:2)

**ჩერნომორეცი** (უკრაინა)-პიკ-ი (ფინეთი) 2:[...] (2:2)

ვოივოდინა (იუგოსლავია)-**გრაცერი** (ავსტრია) 1:5 (0:2)

**ქსამაქსი** (შვეიცარია)-ანართოსისი (კვიპროსი) 4:0 (2:1)

**პუტნიკი** (პოლონეთი)-სიგმა (ჩეხეთი) 3:[...] (0:1)

**ცსკა** (რუსეთი)-[...]ნესი (ისლანდია) 4:1 (2:0)

**ტიროლი** (ავსტრია)-სლავია (ბულგარეთი) 4:[...] (1:1)

**ტრაბზონსპორი** (თურქეთი)-სლოვანი (სლოვაკეთი) 4:1 (1:2)

**მალმიო** (შვედეთი)-სკონტო (ლატვია) 1:1 (3:0)

**ბოდო გლიმტი** (ნორვეგია)-ბეითარი (ისრაელი) 2:1 (5:1)

**კარლსრუე** (გერმანია)-სტანდარდი (ბელგია) 3:1 (0:1)

**გენგამი** (საფრანგეთი)-როტორი (რუსეთი) 1:[...] (1:2)

**სილკებორგი** (დანია)-სეგესტა (ხორვატია) 0:[...] (2:1)

# «ალანია» - «რეინჯერსი» 3:10

ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ვლადიკავკაზის „ალანია" შოტლანდიის „რეინჯერსთან" საკუთარ მოედანზე 2:7 დამარცხდა, ორი მატჩის ჯამში კი ანგარიში 3:10 გამოვიდა.

ვლადიკავკაზელები და მათი მწვრთნელი ვალერი გაზაევი პირველ მატჩამდეც და განმეორებითი შეხვედრის წინაც დიდ გულზე იყვნენ, მაგრამ უკვე პირველ წუთზე ბებერმა ალისტერ მაკოისტმა ოსების იმედებს ცივი წყალი გადაასხა. მანვე მე-14 წუთზე მეორე გოლი გაიტანა და ყველაფერი ნათელი გახდა. მართალია, იანოვსკიმ ერთი გოლი მაშინვე გაქვითა, მაგრამ ისევ მაკოისტმა მე-19 წუთზე ანგარიში 3:1 გახადა. ამის შემდეგ ყველაფერმა აზრი დაკარგა — პირველ ტ[...] სულეიმანოვმა პენალტი[...] ვან ფოსენმა გოლები გ[...] ლეს, ხოლო შესვენების [...] დეგ სტუმრები, რასაც [...] დათ, იმას აკეთებდნენ [...] ორჯერ ბრაიენ ლაუდ[...] და ერთხელ მილერმა [...] სამი ბურთი გაიტანეს[...] მასპინძელთა განადგურ[...] წერტილი დაუსვეს.

## გერმანია

გაიმართა ბუნდესლიგის ჩემპიონატის მე-2 ტურის შეხვედრები: „ჰამბურგი"-„ფრაიბურგი" 5:1, „ვერდერი"-„ჰანზა" 1:1, „შალკე"-„ბორუსია" მენჰენგლადბახი 0:0, „არმინია"-„სანკტპაული" 1:2, „დუისბურგი"-„ბაიერი" ლევერკუზენი 1:3. დანარჩენი შეხვედრები წუხელ გვიან ღამით დამთავრდა.

## იტალია

გაიმართა ბერლუსკონის თასის ტრ[...]დიციული გათამაშება. მილანის „სან-სი[...]როს" სტადიონზე ადგილობრივმა „მილა[...]ნმა" 1:0 დაამარცხა ტურინის „იუვენტუ[...]სი" და თავისი პრეზიდენტის სახელობის [...]თასს დაეუფლა.

## არგენტინა

დამთავრდა მორიგი, საგაზაფხულო ჩემპიონატი. პირველი ადგილი და ჩემპიონის წოდება კარლოს ბიანკის „ველეზ სარსფილდმა" მოიპოვა. როგორც ცნობილია, ბიანკი ახალი სეზონიდან იტალიის „რომას" ჩაუდგება სათავეში.



„ველეზ სარსფილდის" პარაგვაელი მეკარე ჩილავერტა ჩემპიონობას ზეიმობს

## ინგლისი

გაიმართა ლიგის თასის (კოკა-კოლას თასი) გათამაშების პირველი წრის პირველი შეხვედრები (ამ წრეში პრემიერლიგის გუნდები არ მონაწილეობდნენ). ქინქლ[...]



სტივ მაკმანამანი და რობი ფოულერი

და ყაველაშვილის „მანჩესტერ სიტი" [...]სვლაზე „ბოლტონ უონდერერსთან" [...] რცხდა — 0:1

პრემიერლიგაში სამ დღეს გაიმ[...] მე-2 ტურის მატჩები. 19-ში „ლივერპ[...]მა" სტივ მაკმანამანის მიერ მეორე ტ[...] გატანილი ორი გოლის წყალობით [...] მოუგო „არსენალს". 20-ში „ლიდს იუნა[...]ტედი" საკუთარ მოედანზე დამარ[...] „შეფილდ უენსდეისთან" — 0:2. დანარ[...] შეხვედრები წუხელ გაიმართა.

...ბურთი

# ვინ გაყიდა ნემსაძე

## ...ა ყვანია: მე ამ საქმეში მეორეხარისხოვან როლს ვასრულებდი

...ური გაზეთის ფურცლებზე უკვე დაიბეჭდა ფრაგმენტები ...ბურთო კლუბ თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობის მიერ ...ული პრესკონფერენციიდან, სადაც კლუბის პრეზიდენტმა, ...ამ მერაბ ჟორდანიამ ისაუბრა ეროვნული ნაკრების ნახევარმც... გიორგი ნემსაძის „ტრაბზონსფორში“ მოულოდნელი გადასვლის ...ად. პრესკონფერენციაზე მერაბ ჟორდანიამ აღნიშნა, რომ ამ ...მთავარი ორგანიზატორები, ჯემალ ჩიმაკაძე და ვაჟა ყვანია ...შეხვედრაზე „დინამოს“ კლუბის პრეზიდენტმა გამოთქვა ...რება, რომ პრესკონფერენციის მიზანი იყო ჟურნალისტებისა და ...რთის მოყვარულთათვის გაგვეცნო საქმის ნამდვილი არსი, რათა ...რი ფაქტი საზოგადოებრივი მსჯელობის საგანი გახდესო. ...ც იგივე აზრი გვამოძრავებს. ამიტომ გადავწყვიტეთ, ბოლომდე ...ა ამ საქმეს და მეორე მხარის პოზიციაც შემოგთავაზოთ. თუმცა, ...ნდა აღვნიშნოთ, რომ ამ საქმეში ბევრად მეტი პერსონაჟი ...ა დაკავებული, ვიდრე ბატონ მერაბს, ან ნებისმიერ სხვა ...ინტერესებულ პირს ჰგონია. ამჯერად მოვუსმინოთ საკალათბურთო ...თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტს, ბატონ ვაჟა ყვანიას:

**...საქმე არც ისე მარტივია, ...რც ერთი შეხედვით ჩანს. ...სირთულე ის გახლავთ, ...ს ხალხი, რომლებმაც გა... წარმართეს, კულისებს მი... ...მოჩნდნენ, ხოლო საამშკა... ...მე და ჯემალ ჩიმაკაძე ...ნდით, ანუ ის ადამიანები, ...ამ საქმეში მეორეხარისხო... ...ოლს ვასრულებდით. ვალია... ...რომ მომხდარის გამო, სხვა... ...ფორმით, დანაშაული ყვე... ...გვიძლვის: მეც, ნემსაძესაც, ...ნიასაც, ნოდარ ახალკაც... ...და თურქეთის მხარესაც. ...ამ საქმეში ნოდარ ახალ... ...და თურქეთის მხარის ...ლეობაზე, და საერთოდ, ...რთიერთობაზე უფრო გლო... ...ი მსჯელობაა საჭირო და ...ხელის მოსმით ამ საკითხს ...ნი.**

...არადა, ყველაზე საინტერესო ...ეს საკითხია.

**...მაშინ თავიდან დავიწყებ ...ც საჭირო იქნება, მათაც ...ი. როცა გიორგი ნემსაძის ...გადაყვანა გვარდებოდა, ...თელი ჩემთან მოვიდა და ...ბრივ საუბარში შემომჩი... ...რომ ინგლისში წასვლასთან ...რებით გარკვეული პრობ... ...შეექმნა. „შემოსავლის გა... ...და ბინის ყიდვაზეც ვერ ...მდით და სიტიში გადას... ...უკვე აღარ მაინტერესებს. ...ავსტრიაში ახალ კონტ... ...ვანერდი ხელს. წელიწად... ...400 ათას ამერიკულ ...ს გადამიხდიდნენ. ახლა ...აში წასვლას ვაპირებ, ...საქმეები მაქვს მოსაგვა... ...და იქნებ, ახალ კონტრა... ...მივხედოო“. მე ვუთხარი, ...ვისი საქმის თვითონ იცის ...არიც დამთავრდა. მაგრამ ...საინტერესო ეხლა იწყე... ...მე, როგორც შემდგომში ...ე, ვილაც-ვილაცეები ორ... ...მაშს აწარმოებდნენ და მე ...ს აზრზეც არ ვიყავი. ...ქვენმახერთან“ თამაშის ...ლისში, ვითომ ჯამარაუ... ...ხავად, თურქი სელექცი... ...ჩამოვიდნენ. მათ ჯემალ ...ც ახლდათ. თურქებმა ფე... ...ლი ნახეს, თავიხი საქმეე... ...ვარეს და სამშობლოში ...ბას აპირებდნენ. მაგრამ ...მოულოდნელად, მეორე ...ჯემალ ჩიმაკაძესთან ერ... ...ლში მეწვივნენ. გამიკვი... ...ი ვიზიტი და ახსნა-გან... ...ჯემალს ვთხოვე. მან ...ა, რომ სტუმრებს „დინა... ...მისური სდომებიათ და ...როგორმე გაუხერხოო. კი, მივხვდი, რომ ესენი მაისურისთვის არ დარჩებოდნენ. წარმოგიდგენია, საქმიანი კაცი სადმე მაისურისთვის დარჩენილიყოს? მაგრამ ბაზაზე მაინც წავყევი. ბაზა ცარიელი დამხვდა. მაისური ვერ ვუშოვე და ბოდიში მოვუხადე, რომ ხელცარიელს ვუშვებდი. უცებ, თურქმა ფეხბურთელებზე დამიწყო ლაპარაკი. ჯერ ჯამარაული ახსენა, შემდეგ გოგიჩაიშვილი, იაშვილი, კიკნაძე, ცქიტიშვილზეც თქვა ორიოდე სიტყვა და თავისი ყურადღება ნემსაძეზე შეაჩერა: ნემსაძე როგორ მოგწონს?**

— უნივერსალური ფეხბურთელია-მეთქი, ვუპასუხე. სახე გაუბრწყინდა სიხარულისგან — მეც ასე ვფიქრობდიო. — ამჟამად რას აკეთებს? — „მანჩესტერ სიტისთან“ ახალ კონტრაქტს აფორმებს და, ალბათ, ინგლისში გადავა. — შეგიძლია შემახვედრო? აქ ცოტა დავფიქრდი. ნემსაძესთან რა საქმე უნდა ჰქონდეს-მეთქი. მაგრამ „დინამოს“ ბაზაზე, ჩვენი თანდასწრებით რა უნდა მოხდეს-თქო და ვათანხმდი. მეორე დღეს თურქმა ნემსაძის ტელეფონის ნომერი ჩაიწერა, ყველაფერში გაერკვა და ფეხბურთელს უახლოეს გეგმებზე ჰკითხა. გიორგიმ უპასუხა, რომ მეორე დღეს გერმანიაში აპირებდა წასვლას იქაური საქმეების მოსაგვარებლად. გერმანიის ხსენება თურქ სელექციონერს ძალიან ესიამოვნა და შეხვედრაც ამით დამთავრდა.

ამავე დროს, თურქეთის „ტრაბზონსფორი“ შეკრებაზე სწორედ გერმანიაში ყოფილა, რის შესახებაც მე არავითარი ინფორმაცია არ გამაჩნდა. როგორც ჩანს, „ტრაბზონსფორის“ ხელმძღვანელობა იმ საღამოსვე დაუკავშირდა ნემსაძეს, გადაიბირა იგი, გერმანიაში ჩასვლისთანავე საწვრთნელ მატჩში გამოსცადა და კონტრაქტიც სწრაფადვე გაუფორმა. კიდევ ვიმეორებ, რომ „ტრაბზონსფორის“ გერმანიაში ყოფნის თაობაზე არაფერი ვიცოდი. ეს ამბები დაახლოებით 20 ივლისამდე ხდება. 27 ივლისს, გიორგი ნემსაძე ტელეფონით დამიკავშირდა და საქართველოდან ტრანსფერის მიღებაში დახმარება მთხოვა. აღელვებულმა ამიხსნა, რომ ტრანსფერის ვადა 29 ივლისს იწურება. თუ ამ ხნის განმავლობაში ყველაფერი არ მოგვარდა, ვერსად ველარ ვითამაშებ და საერთოდ, დავიღუპებიო. მე თბილისის „დინამოსთან“ ურთიერთობის გამწვავება აზრადაც არ მომსვლია, მაგრამ ვიფიქრე, რომ ახეთი მოთამაშის გაფუჭება ვერაფრით წაადგებოდა ქართულ ფეხბურთს და დიდი ჭოჭმანის შემდეგ ფეხბურთელს დახმარება აღვუთქვი. მაშინ თურქეთიდან მომივიდა ოფიციალური ფაქსი, სადაც აღნიშნული იყო, რომ მე მენიჭებოდა უფლება „ტრაბზონსფორის“ სახელით ნემსაძის ტრანსფერი მომეთხოვა. 29 ივლისს, ტრანსფერების ბოლო დღეს, ნოდარ ახალკაცს ეს ფურცელი კაბინეტში შეუტანეს. მან შემომითვალა, რომ თუ მის კაბინეტში არ შევიდოდი, ტრანსფერს ხელს მოაწერდა.

— რატომ არ უნდოდა ნოდარ ახალკაცს, რომ მის კაბინეტში შესულიყავით?

**— ო! ეს ცოტა გრძელი ისტორიაა, და ამიტომ შორიდან დავიწყებ. ამ ისტორიაში ნოდარ ახალკაცი აღმოჩნდა ადამიანი, რომელმაც ორმაგი თამაში მოიგო: მე და მერაბ ჟორდანია ერთმანეთს გადაგვკიდა, თურქების გულიც მოიგო (ნემსაძეზე ტრანსფერის გაცემით) და თვითონაც ჩრდილში მოექცა.**

**საქმე ის არის, რომ ნემსაძის გადაბირება თურქებს ადრევე ჰქონდათ ჩაფიქრებული. ამისათვის ისინი ხელისუფლების მაღალ ეშელონებსაც იყენებდნენ. თურქეთის ელჩის მოადგილემ განათლების დარგში ნოდარ ახალკაცს თხოვნით მიმართა, რომ მას ნემსაძის ტრანსფერში დახმარება გაეწია. სამაგიეროდ, ელჩის მოადგილე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, მისივე თხოვნით, ოფისის კეთილმოწყობას და სხვა მატერიალურ დახმარებას შეპირდა. ყველაფერ ამის დამადასტურებელი დოკუმენტები ხელთ მაქვს და მათ პრესკონფერენციაზე გამოვამზეურებ, რომელსაც უახლოეს ხანში მოვაწყობ. ნოდარ ახალკაცმა სტუმარს დახმარება აღუთქვა. ამავე დროს, მან მერაბ ჟორდანიასაც მისცა პირობა, რომ ნემსაძეს ულირსი საქციელისთვის აუცილებლად დასჯიდა (ტრანსფერს არ გასცემდა) და შეიძლება ისეც მომხდარიყო, რომ გიორგი ნემსაძე დიდ ფეხბურთს საერთოდ ჩამოშორებოდა.**

**29 ივლისს, ფეხბურთის ფედერაციაში, როცა ახალკაცმა შემომითვალა, ჩემთან თუ არ შემოხვალ, ტრანსფერს ხელს მოვაწერო, ჩივაძის კაბინეტში ვისხედით. ჩემს გარდა იქ იყვნენ: მერაბ ჟორდანია, გიორგი ნემსაძის მამა, ოთარ გაბელია, ალექსანდრე ჩივაძე და თენგიზ სულაქველიძე. ახალკაცს კი ჩემი კაბინეტში შესვლა იმიტომ არ უნდოდა, რომ წუთი წუთზე იქ მერაბ ჟორდანია უნდა შესულიყო და ახალკაციც ეტყოდა: რა ვქნა მერაბ, მე ბევრი ვეცადე, მაგრამ აგერ შენი მეგობარი ვაჟა ყვანია „ტრაბზონსფორის“ სრულუფლებიანი წარმომადგენელი გახდა და ნემსაძის ტრანსფერს ითხოვსო. მე კი უფლება არა, მაქვს უარით გავისტუმრო — ვერაფრით დაგეხმარებიო. ისე აგიხდეს ფიქრები, როგორც მე ამიხდა. არ გასულა 20 წუთი და ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ვთქვი, რის შემდეგაც მე და მერაბ ჟორდანია ბარიკადების სხვადასხვა მხარეს აღმოვჩნდით.**

**ასე რომ, ვინც ამბობს, ყვანიამ ამ საქმით ხელი მოითბოო და ყველაფერი მისი ბრალიაო, იმათ საყურადღებოდ ვამბობ: ბატონებო! ჯერ საქმის არსში უნდა გაერკვეთ და დასკვნები მერე გამოიტანოთ. ეს არის მოკლე შინაარსი ნემსაძის ტრანსფერთან დაკავშირებით. ვრცელ მოთხრობას კი, თავისი დოკუმენტალური დადასტურებით, მოგვიანებით, პრესკონფერენციაზე მოვყვები, რომელსაც უახლოეს ხანში მოვაწყობ.**

P.S. რედაქცია მიზნად ისახავს, ნათლად წარმოაჩინოს მხარეთა პოზიცია, რათა მომხდარი ფაქტი საერთო მსჯელობის საგანი გახდეს და მტყუან-მართალი საბოლოოდ გაირკვეს.

კახა ფარუაშვილი



## ველოსპორტი



**ლიდსში გაიმართა მსოფლიოს თასის გათამაშების მე-7 ეტაპი. 235 კმ-იანი რბოლა „როსლოტოს“ იტალიელმა ველოსიპედისტმა ანდრეა ფერიგატომ მოიგო. მეორე ადგილზე იტალიური წარმოშობის ბრიტანელი, ოლიმპიური თამაშების პრიზიორი მაქსიმილიანო შიანდრი („მოტოროლა“) გავიდა. მესამე ბელგიელი იუჰან მიუზეევი („მაპეი“)**



იოჰან მიუზევი

იყო. შვიდი ეტაპის ჯამში მიუზევს 137 ქულა აქვს. მეორე-მესამე ადგილებზე იტალიელები სტეფანო ძანინი — 88 ქულა და სტეფანო ბარტილი — 73 ქულა არიან. შემდეგ მოდიან: 4. ალექსანდრე გონჩენკოვი (რუსეთი) — 67; 5. ფაბიო ბალდატო (იტალია) — 65; 6. ანდრეა ფერიგატო — 62.

* * *

საფრანგეთში გრძელდება ტრადიციული ქალთა „ტურ დე ფრანსი“. მე-7 ეტაპი მოიგო მასპინძელთა წარმომადგენელმა კატარინა მარსალმა. საერთო ჩათვლაში დამაჯერებლად ლიდერობს კიდევ ერთი ფრანგი, სახელგანთქმული ვეტერანი ჟანი ლონგო.

* * *

ესპანეთის ქალაქ კამბრეში დასრულდა „გალისიის ტური“. ბოლო ეტაპამდე უკრაინელი ანდრეი ჩმილი ლიდერობდა, მაგრამ შეჯიბრების ბოლო დღეს დაყოფილი სტარტით 7,8 კმ-ზე რბოლაში ყველას მსოფლიოს ჩემპიონმა, ესპანელმა აბრაამ ოლანომ აჯობა და ამ გამარჯვებით მთელი ტურიც მოიგო. საერთო ჩათვლაში ჩმილი ოლანოს 5 წამით ჩამორჩა. ველოსიპედისტთა რეიტინგის ლიდერი, ფრანგი ლორან ჟალაბერი მესამე იყო — მან გამარჯვებულთან 11 წამი წააგო.

* * *

იტალიაში გამართული მრავალდღიანი რბოლა „რეჯიო ტური“ წლევანდელი „ტურ დე ფრანსის“ ერთ-ერთმა გმირმა, გერმანელმა იან ულრიხმა მოიგო. მეორეზე მისი თანამემამულე იენს ხეპნერი გავიდა, მესამეზე — რუსი პიოტრ უგრიუმოვი.

## ჰოკეი



მსოფლიოს თასის მონაწილე გუნდები უკანასკნელ საჩვენებელ მატჩებს მართავენ. გთავაზობთ ზოგიერთი მათგანის შედეგს: ფინეთი-შვედეთი 3:1, რუსეთი-ფინეთი 5:4, შვედეთი-რუსეთი 2:3, ჩეხეთი-შვედეთი 2:4, სლოვაკეთი-გერმანია 3:4, ჩეხეთი-ფინეთი 3:2.

მსოფლიოს თასზე გუნდები ორ ჯგუფად იქნებიან გაყოფილნი - კანადა, აშშ, რუსეთი და სლოვაკეთი ჩრდილოეთ ამერიკაში იასპარეზებენ, ხოლო ჩეხეთი, შვედეთი, ფინეთი და გერმანია ევროპაში. ნახევარფინალები და ფინალები ამერიკასა და კანადაში გაიმართება.

თასის გათამაშება 26 აგვისტოს დაიწყება.

## მძლეოსნობა

ინგლისში გაიმართა დიდი ბრიტანეთისა და „ვარსკვლავთა“ ნაკრებების სამატჩო შეხვედრა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ...ვაქეთა შორის სირბილი, სადაც ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ ბარსელონას ოლიმპიადის ჩემპიონი, ინგლისელი ლინფორდ კრისტი და ატლანტის თამაშების გამარჯვებული, კანადელი დონოვან ბეილი. სამწუხაროდ, ეს დუელი არ შედგა — კრისტიმ ბოლო მომენტში 200-მ-ზე სირბილი ამჯობინა, სადაც მხოლოდ მეორე ადგილს დასჯერდა. პირველი მისი თანამემამულე რეჯისი იყო. რაც შეეხება ბეილის, მან ადვილად მოიგო შეჯიბრება საკმაოდ მოკრძალებული შედეგით — 10,19 წმ. ყურადღებას იწვევდა ატლანტის ოლიმპიადის კიდევ ერთი უიღბლო მონაწილის, სამხტომში მსოფლიოს რეკორდსმენის, ბრიტანელი ედვარდსის გამოსვლა. ედვარდსმა ადვილად მოიგო ასპარეზობა, თუმცა, არც მისი შედეგი ყოფილა ძალიან მაღალი — 17,38 მ.



## პრესაში განცხადებას ნუ ეხუმრებით ანუ კონკურენტების მზაკვრობა




თურმე, ბრაზილიის ქალაქ სან-პაულოს გაზეთებში თავის დროზე შემდეგი განცხადება გამოჩნდა: „უნივერსალურ მაღაზია „ფურტადოში" დამეკარგა კალათა, რომელიც სავსე იყო ჟარარაკებით. მპოვნელს დაბეჯითებით ვთხოვ, დამიბრუნოს კალათა სათანადო გასამრჯელოს საფასურად". გამოვიდა თუ არა გაზეთები გაყიდვაში, დასახელებული უნივერსამი უმალ დაცარიელდა. საქმე ის არის, რომ ჟარარაკა ეწოდება შხამიან გველს, რომელიც ბრაზილიაში ბინადრობს. მისი ნაკბენი იწვევს მომენტალურ სიკვდილს. „ფურტადოში" არც მეორე დღეს შესულა ვინმე, არც მესამე და არც მეოთხე დღეს. რა არ ილონეს მაღაზიის მეპატრონეებმა — არაერთხელ გამოაცხადეს, რომ შენობა საგულდაგულოდ დაათვალიერეს, მაგრამ გველები ვერ აღმოაჩინეს, ტელევიზიით გამოიყვანეს ქალაქში ფართოდ ცნობილი კერძო დეტექტივი, რომელმაც ავტორიტეტულად განაცხადა: პირადად შევამოწმე ყველა სათავსო, იქ უხსენებლის ხსენებაც კი არ არისო. მაღაზიაში საქონელს ფასი ორჯერ დააკლეს, მაგრამ არაფერმა არ გაჭრა. მყიდველები „ფურტადოს" სათოფეზე აღარ ეკარებოდნენ.

წარმოიდგინეთ მაღაზიის მფლობელთა მდგომარეობა, როდესაც გამოირკვა, რომ აურზაური ჟარარაკების გარშემო სხვა არაფერია, თუ არა კონკურენტების ხრიკი, რომლებმაც ამ ვერაგული ხერხით გადაიბირეს „ფურტადოს" კლიენტები...

## სუპერმენო ბები, აგრეთვე ბენაცვლები!

თურმე, ნორვეგიაში უკვე რამდენიმე წელია ტარდება ერთობ თავისებური დღესასწაული — „ბებიების ფესტივალი", რომელზეც 60 წელს გადაცილებული მანდილოსნები ერთმანეთს ეჯიბრებიან... მოტოციკლეტის ტარებაში, პარაშუტით ხტომაში და წყალქვეშა ცურვაში, თანაც საკმაოდ ცივ ჩრდილოეთის ზღვაში! ამას წინათ ერთ-ერთმა მათგანმა, 76 წლის ასაკში მიიღო „ქალი-ტარზანის" საპატიო წოდება. 1996 წლიდან ორგანიზატორები აპირებენ ფესტივალს საერთაშორისო ხასიათი მისცენ, ასე რომ, ქართველ ბებიებსაც მიეცემათ თავის გამოჩენის საშუალება.



თუმცა, ქართველი შვილიშვილების აზრით, უკეთესი იქნება, თუ ქართველი ბებიები თვითონ მოაწყობენ კონკურსს, ოღონდ არა პარაშუტით ხტომაში, არამედ ჩურჩხელების ამოვლებაში!

## პრინცი — ნავიგატორი

თურმე, როდესაც ინგლისის მეფე გეორგ V ჯერ კიდევ ტახტის მემკვიდრე, უელსის პრინცი იყო, სამხედრო სამსახურს, ტრადიციისამებრ, გადიოდა სამხედრო გემზე. ერთხელ კაპიტანმა მას დავალება მისცა — პრინცს უნდა დაედგინა გემის ზუსტი ადგილმდებარეობა ზღვაში. გარკვეული ხნის შემდეგ პრინცმა კაპიტანს ჩააბარა ფურცელი თავისი გამოთვლებით და ძალზე განცვიფრდა, როდესაც კაპიტანმა წინადადება მისცა, დაუყოვნებლივ მოეხადა ქუდი.

— კი მაგრამ, სერ, რა კავშირი აქვს ქუდს ჩემს ბარათთან?!

— პირდაპირი კავშირი, სერ. თქვენი გამოთვლებით ჩვენ ახლა ტემზაზე მივცურავთ და ვესტმინსტერის სააბატოში შევდივართ!

## კოსმოსი — სასაფლაო?!

თურმე, ამერიკაში არსებულმა რიტუალური მომსახურების ფირმა „ჩელესტისმა" გამოაცხადა, რომ მზად არის თავის კლიენტებს შესთავაზოს ახალი, ეკოლოგიურად სუფთა სასაფლაო-კოსმოსი. „დაკრძალვა" შემდეგნაირად მოხდება — ურნას მიცვალებულის ფერფლით მოათავსებენ კოსმოსური ხომალდის სარაკეტო დანადგარში და გატყორცნიან კოსმოსურ სივრცეში სამარადჟამოდ. ასეთი „გასვენების" ღირებულება, წინასწარი გაანგარიშებით, იქნება დაახლოებით 4500 დოლარი, პლუს ტეხასის შტატის ქალაქ ჰიუსტონში თვითმფრინავით მგზავრობის საფასური. სწორედ იქ მდებარეობს ამ ერთობ „პროგრესული" ფირმის რეზიდენცია.



## საკუთარი გამომგონებლობის მსხვერპლი

თურმე, როდესაც გამოჩენილი ამერიკელი ფიზიკოსი ჯონ ბარდინი მეორედ დააჯილდოვეს ნობელის პრემიით, ილინოისის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ სთხოვა მას, დასწრებოდა პრესკონფერენციას, რომელიც სწორედ ამ მოვლენას მიეძღვნა. მეცნიერი მართლაც მივიდა პრესკონფერენციაზე, მაგრამ საშინელი დაგვიანებით. დარცხვენილი ბარდინი დაგვიანების მიზეზს არ ამხელდა, მაგრამ ბოლოს მაინც გამოტყდა — მას ტრანზისტორებმა უმუხთლა, სწორედ იმ ტრანზისტორებმა, რომელთა გამოგონებისთვისაც მიიღო მან პირველი ნობელის პრემია. მისი საკუთარი ავტოსადგომის კარის მიკრო... მიანი კლიტე უეცრად მწყობრი... დან გამოსულა, ჰოდა, ტრანზის... ტორების შემქმნელს ავტომანქანა... ვეღარ გამოუყვანია ქუჩაში.

## კაქტუსი ვახშმად?!



თურმე, კაქტუსი იქმევა... პალი — ასე ეწოდება კაქტუსის ერთ სახეობას, რომელიც ევრო... პაში ცნობილია როგორც დეკო... რატიული მცენარე, მაგრამ მე... ხიკაში ის ტრადიციულ საკვებ... პროდუქტს წარმოადგენს. მეხიკო... მახლობლად მდებარეობს სოფელი მალპა ალპა, რომლის გარშე... 15 კვადრატული კილომეტრი... ფართობზე ხარობს ეს კაქტუსი... ყოველწლიურად ადგილობრი... მაცხოვრებლები აწყობენ სპეც... ლურ დღესასწაულს, რომ... დროსაც მიირთმევენ მხოლოდ... ქტუსისგან დამზადებულ კერძ... ეკლებს, რაღა თქმა უნდა, აცლი... და კაქტუსს ხარშავენ, წვავე... თუშავენ სხვადასხვა სანელებ... თან ერთად, მათ შორის იყო... წიწაკას და ნიორს. უკანასკნ... ტრადიციულ დღესასწაულზე... ტუსის მარმელადიც კი იყო... რმოდგენილი!

## ჩვილი ტირის? მიუგდეთ ყური!

თურმე, შვედი და ფინე... ექიმების გაერთიანებული ჯგუ... 10 წლის განმავლობაში მაგ... ტოფირზე იწერდა ჩვილ ბავშვ... ტირილს. აღმოჩნდა, რომ ჯანმ... თელი ბავშვის ტირილი ძლი... განსხვავდება ავადმყოფი ბავშვ... ტირილისგან. ექიმებმა შექმ...



სპეციალური მოწყობილობა, რო... მელსაც აქვს შკალა გრად... ბით: „ნორმალური", „საეჭვო"... „ავადმყოფური" და რომე... ზუსტ შეფასებას აძლევს ჩვი... ტირილს. ექიმები დარწმუნებულ... ნი არიან, რომ ეს ხელსაწყო... ბავშვთა ყოველი საავადმყოფო... თვის არის აუცილებელი და მ... შეძენა არც მშობლებს აწყენ...

## კროსვორდი

თარაზულად: 1. ბრტყელი ჩაკეტილი ამოზნექილი წრე. 7. რელსების საყრდენი. 10. ბულგარელი ნათელმხილველი. 11. ძველი სამეფო თანამედროვე ისრაელის ტერიტორიაზე. 12. ძალის ერთეული. 13. გამაგრილებელი სასმელი. 14. თავდამსხმელი, რომლის ადგილი ცენტრალურ თავდამსხმელსა და გარემარბს შორისაა, შუამარბი. 16. ლექვი, გოშია. 19. ყურძნის გამოშრალი მარცვლები. 22. უ. შექსპირის ტრაგედია „ოტელოს" პერსონაჟი. 23. სახელმწიფო მოწყობის ფორმა. 28. ტალინის ძველი სახელწოდება. 29. პირი, რომელიც გასესხებული კაპიტალის სარგებლით ცხოვრობს. 30. ბრაზილიელი ფეხბურთელი, მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონი. 31. ფულადი ან მატერიალური სახსრები, რომელიც გარკვეული მიზნისთვის არის განკუთვნილი. 32. ინგლისელი ფილოსოფოსი, ავტორი ნაშრომისა „ტრაქტატი ადამიანური ცოდნის საწყისების შესახებ". 35. საიდუმლო სიტყვა ან ფრაზა თავისიანების გამოსაცნობად. 37. ფინეთის პრეზიდენტი. 38. დაუძლეველი ლოგიკური წინააღმდეგობა ანტიკურ ფილოსოფიაში. 40. იტალიელი საბავშვო მწერალი, „ჩიპოლინოს თავგადასავლის" ავტორი. 43. ვნება, ზარალი, დანაკლისი. 49. სასარგებლო წიაღისეული. 50. სასკოლო ინვენტარი. 51. დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებული სამეფო გვარდია. 52. კაკბის მსგავსი მინდვრის მომცრო ფრინველი. 53. ქალაქი ბოსნიაში, ახლო წარსულში გააფთრებული ბრძოლების არენა. 54. ფასიანი ქაღალდი. 55. საზეიმო სიმღერა.

შვეულად: 1. უზენაესი ღვთაება სკანდინავიურ მითოლოგიაში. 2. ლონდონის ერთ-ერთი რაიონი. 3. მთიანი მხარე შუა აზიაში. 4. მოთელილი მატყლისგან დამზადებული წამოსასხამი. 5. თევზის სახეობა. 6. კაუჩუკის ვულკანიზაციის პროდუქტი. 8. ფორმალისტი. 9. ქართველი მინისტრი. 15. სატელევიზიო საინფორმაციო პროგრამა. 17. ერთგვარი აზარტული თამაში. 18. ბოსტნეული. 20. ისრაელის პრემიერმინისტრი. 21. მხატვრული ფილმი „მიმინო"-ს პერსონაჟი. 24. ფეხბურთში ევროპის 1996 წლის ჩემპიონატის საუკეთესო მეკარე. 25. ერთ-ერთი ავიაკომპანია. 26. სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსის ანთება. 27. მცენარე, რომლისგანაც წითელი საღებავი მზადდება. 33. საფეხური, სტადია მოვლენის განვითარებაში. 34. წვრილი ღვედი. 36. თეთრი ლაქა თვალის გუგაზე. 39. ერთ-ერთი სამრეწველო ცენტრი საქართველოში. 41. ჩეჩნეთის ყოფილი პრეზიდენტი. 42. ახაჩატურიანის ბალეტი. 44. ქართული საესტრადო ანსამბლი. 45. ხელით შესრულებული გრაფიკული გამოხატულება. 46. ქართული ხალხური ზღაპრის პერსონაჟი. 47. იტალიელი კომუნისტების გაზეთი. 48. რამდენიმე იარაღიდან ერთდროული გასროლა.

შეადგინა გ. მირიანაშვილმა



რედაქტორ-გამომცემლები

ვასილ მაღლაფერიძე და პაატა ვეშაპიძე

გენერალური დირექტორი ვახტანგ სალია

პასუხისმგებელი მდივანი დავით ნინიკაშვილი

დამკაბადონებელი თამაზ ჩხაიძე

მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7.

ტელ: 29-48-05, ფაქსი 23-52-12